


საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი

# მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union  
of Composers of Georgia

№ 4  
2011



## საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი



ერმან ალექსანდრე ლეონიძე. 1847-1931

# მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

4 · 2011



ეურნალი გამოიცემა  
საქართველოს კულტურისა და ტექნიკა დაცვის  
სამინისტროს ფინანსური მსარდაჭერით

ISSN 1987-7773

განათლება	
თამარ თავშავაძე. პროექტების აირისაირ.....	2
ფინანსები	
ნარგიზა გარდაფხაძე. ფასივალების ქვეყანა .....	7
გამოთხოვება	
ვაჟა ჩახავა.....	21
ძართვებები ეპხოთაში	
ლევან ინაშვილი. "SOSTALENTS" .....	25
საკონცერტო ცხოვრება	
რუსუდან ქუთათელაძე	
ეთერ ეგაფოლიშვილი – ასთავაი ერთეულებია .....	27
ოსსატი	
თამარ წულუკიძე. გამი რომელიც პიოლინოებს ქანის ...	31
მუსიკა და მცენლობა	
ნანა ქავთარაძე.	
"ხელში ავიღო ჩოგჩასა ლეპსიების დასაპირზაფა".....	36
გახსენება	
მშია ჯაფარიძე. არაორინარელი აიროვნება .....	44
კონკურსი	
მარნა გეგეშვიძე. თარება 2011.....	48
რიგორი კარაძე	
ნუკრი კარაძე. "მინეა" ერთასები.....	50
რაფიონ ლეროს ფონდი	
ლალი გაბურია.	
გაკარია ფალიაშვილი თერიტორია და მომინიჭება .....	52
მუსიკა და ეთნიკორება	
ფონოვანი .....	54
კაგი	
ევგენი ჭავჭავაძე. გამო, ძღვა, ცვალ .....	56
ახალი გამოსახვები	
გულბათ ტორაძე. უნიკალური პროექტი.....	61
ესტრადა	
გიორგი კრავევეშვილი. კილა დათვაშვილი .....	62
მანანა დოკვეუშვილი.	
რა გაპირობა პონერებას მონიშვნის 2000- 2011.....	64
www .....	78
ასოციაციონ კლასიკოსები	
რომან ბერჩენკო.	
ისპალუხიანი ილიაშვილი პიოლოზ პირველისონ .....	80

რედაქტორი: მიხეილ ოძელი  
თანარეზაპორუები: მშია ჯაფარიძე, თამარ წულუკიძე  
ღიზაბინი: ვახტანგ რურუა, ვანო კიკნაძე, გოგი ჭეთხოძე  
მისამართი: დავით ალმერენებლის 123  
ტელ.: (+995 32) 95 41 64, (+995 32) 96 75 05  
ფაქს.: (+995 32) 96 86 78



თამარ შენგელია

# პროფესიას კირისპირ

(საუბარი გ. ფალიაშვილის სახელობის №1 სამუსიკო სასწავლებლის დირექტორთან თამარ შენგელიასთან. უძლვება მუსიკისმცოდნე თამარ თავშავაძე)

თბილისის გ. ფალიაშვილის სახელობის №1 სამუსიკო სასწავლებლი, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, „ნიჭიერთა ათწლედი“, თითქმის საუკუნოვან ისტორიას ითვლის. „ნიჭიერთა ათწლედი“ ნამდვილად ამართ-ლებს თავის სახელს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ

მის კედლებში აღიბარდა მთელი ქართული მუსიკალური ელიტა. სხვადასხვა დროს აქ სხავლობდნენ სულხან ცინცაძე, სულხან ნასიძე, ბიძინა კვერნაძე, ჯანსულ კახიძე, ნოდარ გაბუნია, მედეა ამირანაშვილი, ბურაბ და ეთერ ანჯათარიძები, ელისო ვირსალაძე, დები იაშვი-

ლუბი, ლიანა ისაკაძე, ლექსო თორაძე, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის მთელი შემადგენლობა, ელი-სო ბოლქვაძე, ლიზა ბათიაშვილი, ნინო გვეტაძე, ხატია ბუნიათიშვილი და მრავალი სხვა.

დღეს „ნიჭიერთა ათნლედი“ მრავალი პრობლემის ნინაშე დგას – არა აქვს საკუთარი შენობა, სავალალო მდგომარეობაშია მუსიკალური ინსტრუმენტები, ფაქტურად განადგურებულია ბიბლიოთეკა და ფონოტეკა. უარყოფითად იმოქმედა სკოლაზე განათლების რეფორმაცია – მომავალ მუსიკებს ძალიან ცოტა დრო რჩებათ ინსტრუმენტან სამეცადინოდ.

დიდი ხანი არ არის, რაც სკოლის ხელმძღვანელად მისივე კურსდამთავრებული ქალბატონი თამარ შენგელია დაინიშნა. ქალბატონი თამარი უკრნალ „მუსიკას“ სკოლის პრობლემებსა და სამომავლო ვეგმებზე ესაუბრა.

– ქალბატონთამარ, თქვენ ზაქარიათალიაშვილის სახელობის პირველ სამუსიკო სასწავლებელს, იგივე „ნიჭიერთა ათნლედს“, იმ დროს ჩაუდექით სათავეში, როდესაც ამ უდიდესი ტრადიციების მქონე სკოლას მრავალი პრობლემა აქვს.

– პრობლემები უკვე დიდი ხანი აქვს ამ სკოლას. მე აქ მოვედი იმ დროს, როდესაც სიტუაციამ უკვე კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. სკოლა, ფაქტობრივად, დაშლილია. ვგულისხმობ როგორც მატერიალურ ბაზას, ასევე სასწავლებლის სტრუქტურას. ერთადერთი, რაც გაგვაჩნია, გასლავთ მაღალი კლასის პედაგოგები, საქმის ერთგული, შრომისმოყვარე ადამიანები და ნიჭიერი ბავშვები.

### – როგორ გესახებათ ამ პრობლემების გადაჭრა?

– პირველ რიგში ეს სახლემწიფომ უნდა გადაჭრას. ცივილიზაციულ საზოგადოებაში, როგორც წესი, ხელოვნების მხარდაჭერის საქმეში კერძო ბიბნესიც მონაწილეობს. ჩვენ ორივე მათგანის თანადგომის იმედი გვაქვს. ვერც ერთი დირექტორი ამას მარტო ვერ დაძლევს. „ნიჭიერთა ათნლედი“ არ გახლავთ უბრალოდ სამუსიკო სასწავლებელი, სადაც ბავშვები მოდიან მუსიკასთან ზიარების სურვილით. ეს სკოლა ათნლეულების მანძილზე ბრდიდა პროფესიონალუებს. სწორედ ათნლედი განაპირობებს, თუ როგორ ვითარდება ქართული სამუსიკო ხელოვნება. ყველა სახელმწიფოს

სომ აქვს თავისი პრიორიტეტები – ზოგან ნანოტექნოლოგიებია, ზოგან – მოდის ინდუსტრია, ზოგანაც – ნავთობი... მიმჩნია, რომ ჩვენი ქვეყნისთვის პრიორიტეტული სწორედ სამუსიკო ხელოვნებაა. ქართველები მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულები ვართ, კლასიკური მუსიკა გახლავთ ის სფერო, სადაც მსოფლიო დონის მიღწევები ვვაქვს. ამდენად, თუ ხელისუფლება ამას გააცნობიერებს და ადეკვატური დამოკიდებულება იქნება სკოლისადმი, ყველა პრობლემის მოგვარება არის მუსიკალური დონი. თუ ინტერესი არ იქნა, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ვინ იქნება სკოლის სათავეში – მე თუ ვინმე სხვა, ბოლო-ბოლო დაინგრევა ყველაფერი და დაიშლება...

– თქვენ თვლით, რომ საქართველო სწორედ მუსიკით უნდა გაიცნოს მსოფლიოში?

– უნდა გაიცნოს კი არა, იყნობს, უკვე ძალიან ბევრი წელია და თან ძალიან კარგი მხრიდან. გარდა ამისა, ჩვენ უნიკალურები ვართ იმითაც, რომ ჯერ წარმოვადგენთ რეზულტატს და მხოლოდ ამის შემდეგ ვითხოვთ ინვესტიციებს. ყველა სხვა შემთხვევაში არის პირქით. მაშინ, როდესაც „ათნლედს“ უკვე წლებია არანაირი პირობები არა აქვს, აქ მანც გაბარდეს დიდი მუსიკოსები. თუ ხელს შევვინობენ, დაგვეხმარებიან, დარწმუნებული ვარ, რომ განეულ ძალისხმევას რეზულტატი ერთიანად გადააჭარბებს. ამას გარანტირებაც არ სჭირდება.

– როგორ ფიქრობთ, სახელმწიფოს მხრიდან არის ინტერესი სამუსიკო ხელოვნებისადმი?

– ნამდვილად არის, ამაზე მეტყველებს უამრავი ღონისძიება თუ კონცერტი. მარტო შემოდგომაზე ოთხი ფესტივალი ჩატარდა. საერთოდ, ადამიანებს უყვართ მუსიკა. ვიცი ადამიანები, რომლებიც არ დადიან მუზეუმებში, თეატრებში, მაგრამ არ ვიცი ადამიანი, რომელიც არ უსმენს მუსიკას. შეიძლება ვინმეს კლასიკური მუსიკა არ მოსწონდეს მაგრამ უსმენდეს ჯაშს, ესტრადას უანრს მნიშვნელობა არა აქვს, მუსიკისადმი გულგრილი არავინ მეგულება

– „ათნლედს“ დიდი ხანია არ აქვს საკუთარი შენობა. ხომ არ არის სიახლე ამ კუთხით?

– ვიცით, რომ არის ერთიანი აზრი, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს სხვა შენობა. ახლა კულტურის მინისტრი

## განათლება

ბატონ ნიკა რუსუასთან ერთად ვართ გამოსავლის ძიებაში.

— „ათწლედი“, განათლების რეფორმის დაწყებამდე, მთელ სასწავლო კომპლექსს წარმოადგენდა, სადაც უშუალოდ სამუსიკო სკოლასთან ერთად გაერთიანებული იყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და ინტერნატი. ახლა ასე არ არის. როგორ ფიქრობთ, რამდენად მიზანშეწონილია, რომ თქვენს მოსწავლეებს აქ გაკვეთილების შემდეგ მოსვლა და გზაში დროის დაკარგვა უხდებათ?

— მოგახსენებთ. აღრე, მათ შორის მაშინაც, მე რომ ვსწავლობდი, დღის განრიგში ზოგადი საგნები მუსიკალურ საგნებთან ერთად იყო შერწყმული, სკოლა მთელი დღე ფუსფუსებდა... დღეს ასე აღარაა. აქ რომ დავიწყე მუშაობა, სამი საკითხი ერთდროულად დაგაუწენე: შენობა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და ინტერნატი. არაფერი ეშველება ამ სიტუაციას, თუ ამ სამი სურუქტურის ერთიანობა არ იქნება. თუმცა, ამ სამიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა გამოვყავი. დღეს ცხოვრება ისედაც როულია, ეკოლოგიაც ცუდია... ადრე იყო საშუალება გაძრომის, გაკლენის, არჩაბარების... ახლა, როდესაც გამკაცრდა ყველაფერი, ჩვენი ბავშვებიც ისევე დადიან სკოლაში და სწავლობენ, როგორც სხვები, სხვა გზა არა აქვთ. ისინი რვა საათზე დგებიან, ცხრიდან სამამდე სკოლაში არიან. გაკვეთილების დასრულების შემდეგ ქალაქის სხვადასხვა უბნიდან მოდიან მეტროთი ან ავტობუსთ რუსთაველამდე, ფეხით ამოვლიან აღმართს და სადღაც ხუთისკენ დალლილები, მშივრები, იწყებენ აქ მეცადინეობას. სახლში დაბრუნებასაც საათნახევარი-ორი საათი სჭირდება, მერე სკოლის გაკვეთილებიც ხომ უნდა მოამზადონ?! ფაქტობრივად, სპეციალობის მეცადინეობის საშუალება ამ ბავშვებს არა აქვთ. მუსიკოსობა კი ის პროფესიაა, რომელიც ბავშვისაგან მოითხოვს, მინიმუმ, ოთხსაათიან მეცადინეობას მხოლოდ სპეციალობაში. თეორიული საგნების შესწავლასაც ხომ დრო უნდა. ბევრი ბავშვი ამ რეჟიმს ვერ უძლებს და მუსიკას თავს ანებებს.

მივესალმები რეფორმას განათლების სისტემაში, მაგრამ ამ რეფორმამ არ უნდა შეინიროს საქართველოში სამუსიკო ხელოვნება. გადაჭარბების გარეშე ვამბობ ამას. დაახლოებით ხუთი წელია, რაც ათწლედის

აღარ აქვს თავისი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და უკვე ვხდება შედეგს — წელს კონსერვატორიაში ჩასაბერ საკრავებზე ჩაბარების მსურველები თითქმის არ აღმოჩნდნენ, საფორტეპიანო ფაკულტეტებიც კი კონკურსი საერთოდ არ იყო, მაშინ, როდესაც ადრე ერთ ადგილზე ათი აბიტურიენტი მოდიოდა ხოლმე.

— ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა აღბათ იმიტომ გაუქმდა, რომ აქ ზოგადი საგნები გამარტივებულად ისწავლებოდა და მოსწავლე სრულფასოვან საშუალო განათლებას ვერ იღებდა.

— არავითარ შემთხვევაში არ დაგეთანხმებით. აქ იყო არა გამარტივებული, არამედ ადაპტირებული სწავლება. ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები დღეს არიან მსახიობები, მხატვრები, არქიტექტორები, ისტორიკოსები, ქიმიკოსიც კი. ბუნებრივია, ამ სკოლის აღსაბრდელები მუსიკას ან სხვა ჰუმანიტარულ დარგებს ანიჭებენ უპირატესობას. რაც შეეხება სრულფასოვან განათლებას, რაზეც თქვენ დამისვით შეკითხვა, არა მეონია, განათლების ნაკლებობა ჰქონდეს ელისო ვირსალაძეს, გიზი ამირჯიბს ან ნოდარ გაბუნიას.

— როგორც ჩნდს, თქვენ ათწლედის ინტერნატის აღდგენაც საჭიროდ მიგაჩნიათ?

— აუკილებლად.

— ზოგადად რა მიზანი აქვს „ნიჭიერთა ათწლედს“?

— „ათწლედის“ ამოცანაა გააგრძელოს ქართული სამუსიკო ტრადიციები და განავითაროს თანამედროვე მუსიკალური სპეციალობები, აღჭურვოს ნიჭიერი ახალგაზრდები იმ უნარებით, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ უმაღლესი განათლების მიღებაში და მომავალი კარიერის ჩამოყალიბებაში.

— იქნებ გვითხრათ „ათწლედში“ სწავლა უფასოა, თუ მარტო განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვები თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისაგან?

— „ათწლედში“ რამდენიმე წლის წინ შემოიღეს ფასიანი სწავლებაც. მე რომ მოვედი, პირველი, რაც გავაკეთე, გავაუქმე ფასიანი სექტორი. ამ სკოლაში უფასოდ უნდა სწავლობდეს ყველა ის ბავშვი, ვინც თავისი მონაცემებით შეესაბამება სკოლის სახელს „ნიჭიერთა ათწლედი“.

— ოფიციალურად სკოლას ასე რომ არ ჰქვია?

— დიახ, ასეა, მაგრამ ოფიციალურ სახელზე მე-

ტად ქვირფასია ეს წოდება, რომელიც კი არ დაარქეს, არამედ ამ სკოლამ მოიპოვა ძალიან ნიჭიერი ხალხის თითქმის საუკუნოვანი შრომის ფასად.

— გამოდის, რომ თქვენ გაქვთ გარკვეული სტანდარტები და ვინც ამ სტანდარტს ვერ დააკმაყოფილებს, სკოლიდან გაუშვებთ?

— ჩემი ამრით, ეს სტანდარტები ახლა ცოტა დაწეულიც კია. ბავშვების რაოდენობაც ძალიანაა გაზრდილი. მე რომ ვსწავლობდი, სკოლაში იყო დაახლოებით 400 მოსწავლე, ახლა არის 640. ვერ ვიტყვი, რომ ყველა მათგანი მუსიკალურად ნიჭიერია. მინდა მოსწავლეთა რაოდენობა თანდათან შევამციროთ და დავიტყვოთ მხოლოდ ისინი, ვისაც დანამდვილებით აქეს პოტენციალი მომავალში გახდეს მუსიკოსი.

— არსებობს ასევე მოსაბრება, რომ პროგრამები, რომლებითაც ათწლების მოსწავლეები სწავლობენ, ძალიან რთულია და მათი ასაკისთვის შეუფერებელი. ისინი, ფაქტობრივად, მთელ დღეს ინსტრუმენტით ატარებენ. რას გვეტყვით ამის შესახებ, რამდენად მიზანშეწონილია ბავშვების ასეთი დატვირთვა?

— ვეთანხმებით, ბავშვებს უქირთ... მათთვის ძნელია ერთ ადგილას დიდხანს გაჩერება. ხშირად ეს ხდება დედების, ბებიების ძალისხმევით. დარწმუნებული ვარ, ძალიან უკმაყოფილო იყო ბავშვობაში ლექსო თორაძე, როცა მშობლები აიძულებდნენ ბევრი დაეკრა, მაგრამ ახლა, ალბათ, ყოველდღე დედას მადლობას უხდის. შვილი-რვა წლის ასაკში ბავშვი ვერ აკნობიერებს რისთვის იქანება. სამწუხაროდ, დიდ ასაკში ამ პროფესიის დაუფლება უკვე დაგვიანებულია. სხვა გამოსავალი არ არის, ბავშვმა უნდა იმეცადინოს, თუმცა საკმარისი არ არის მხოლოდ ამეცადინო და აკვრევინო, ძალიან მნიშვნელოვანია შეაყვარო ბავშვებს მუსიკა, დააინტერესო. დღეს ეს განსაკუთრებით რთულია, როცა კონკურენციას ინტერნეტი ვიზინებს.

— ბევრ სამუსიკო სკოლას ინსტრუმენტების პრობლემა აქვთ. როგორი მდგომარეობაა თქვენთან?

— ჩვენთვისაც ინსტრუმენტები საშინელი პრობლემაა — ბაზა, ალბათ, ორმოცდაათი წელია არ განახლებულა. ამასთან, ათწლებში საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე არ იყო გათბობა, ტემპერატურის ცვალებადობამ კი ინსტრუმენტები ძალში დაატიანა.

გვაქვს ასევე ჩასაბერი და სიმებიანი ინსტრუმენტების პრობლემა.

— ბიბლიოთეკა?

— ბიბლიოთეკა საშინელ მდგომარეობაშია. წიგნების ნაწილი პირველ სართულზე ნესტიან ოთახში ყრია და ლპება. რაღაც ნაწილი მოთავსებულია პატარა ოთახში, სადაც ბიბლიოთეკარი ასრულებს აკრობატულ ილეთებს, რომ სასურველ თარომდე მივიდეს. ახალი ლიტერატურა კი ათეული წლებია არ შექმნილა. ასეთივე მძიმე მდგომარეობაშია ფონოტეკაც.

— თქვენი კიდევ ერთი პრობლემა დარბაზია, არა?

— სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ჩვენი დარბაზი, არადა, მუსიკოსი ბავშვობიდან უნდა მიეჩვიოს საბეჭიმო გარემოსა და სკუნას, ეს პროფესიის ნაწილია.

— ახლა დარბაზებს ქირაობთ?

— მე წელს ჯერ არ მომინა კონცერტების სეზონში. ჩვენ გადავხედავთ ურთიერთობებს კონსერვატორიასთან და იმედია, საერთო ენას გამოვნახავთ, ვინაიდან მათ ინტერესებშიც შედის, რომ ეს სკოლა ფეხზე დადგეს.

— თბილისში თქვენი სკოლის მსგავსი კიდევ ორი სამუსიკო სკოლა არსებობს: მე-2 სამუსიკო სასწავლებელი და კონსერვატორიასთან არსებული სამუსიკო სემინარია. ხომ არ გეგმავთ საერთო სასწავლო გეგმის შექმნას?

— სხვა სკოლებზე ვერაფერს გეტყვით. აქ იმდენი საქმეა, უბრალოდ, სხვა სკოლებზე ფიქრის დრო და ძალა არ მყოფია. მცაფიოდ ვიცი რისი გაკეთება მინდა აქ. თუ იქნება ისეთი პროექტები, სადაც ჩვენი თანამშრომლობა ბავშვებისთვის სასარგებლო იქნება, სიამოვნებით ვითანამშრომლებთ.

— რა სიახლეების დანერგვას აპირებთ სკოლაში?

— ძალიან მინდა, რომ „ათწლების“ ბაზაზე მაღალ კლასებში არსებობდეს ხმის ოპერატორის კურსები. ჩვენ ძალიან გვჭირდება ამ საქმის პროფესიონალები, რომლებმაც იკიან როგორ მიაღწიონ სასურველ უღერადობას ღია, თუ დახურულ სივრცეში, როგორ ანარმონ ცოცხალი კონცერტების ან სტუდიური ჩანაწერები. ამის პრობლემა არსებობს და მის გადასაჭრელად არც მხოლოდ აპარატურის შეძენაა საკმარისი და არც მარტი იმის სწავლება, თუ რომელ ღილაკს უნდა და-

## **განათლება**

---

ვაჭირო თითო. მიმჩნია, რომ ხმის ოპერატორს უნდა ჰქონდეს კარგი მუსიკალური განათლება და უკვე შემ-დეგ აითვისოს ეს აპარატურა. მხოლოდ ამ შემთხვევა-ში იქნება ეფექტური მისი მოღვაწეობა.

ასევე მინდა დავნერგო არანურების სწავლება და საკონცერტო შემოქმედების მენეჯმენტის კურსი. ვფიქ-რობ, რომ მენეჯმენტის კურსის რამდენიმე ლექციის მოსმენა ძალიან სასარგებლო იქნება მომავალი შემ-სრულებლის ან იმპრესარიოსათვის. მიუხედავად მათი პროფესიული თვისებებისა, რომლისთვისაც დამახასი-ათებელია ექსტრემალური მგრძნობელობა, თანამედ-როვე მუსიკოსს უნდა ესმოდეს საბაზრო ეკონომიკის არსი და მისი ფუნქციონირების მექანიზმები. დღეს ხე-ლოვნება ძალიან დიდად არის დამოკიდებული მატე-რიალურ მხარეზე. ამას ვერ გაექცევი. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, რეალობის იგნორირებას ვერ შევძლებთ. თუ ადამიანი არ აჰყა ახალ ტენდენციებს, თამაშის ახალ წესებს, ის ხდება მარგინალი.

— კიდევ რა სიახლეებს გეგმავთ?

— ჩვენ დავაარსეთ საქართველოში სამუსიკო ხელოვნების განვითარებისა და ხელშეწყობის ფონდი, რომელშიც გაერთიანდება ყველა ის ადამიანი, ვისაც აღელვებს სკოლის ბედი, ზოგადად, ქართული სამუსიკო ხელოვნების მომავალი, გაჩნია სერიოზული ავტორიტეტი, კონფაქტები, ფინანსური თუ ადმინისტრაციული რესურსი და აქვს სურვილი საკუთარი შესაძლებლობები სკოლის აღორძინების საქმეს მოახმაროს.

დიდი მადლობა საინტერესო ინტერვიუსათვის,  
ნარმატებას გისურვებთ.

# ფასტივალების ძრევანა

საქართველოში უკვე დამკვიდრდა ტრადიცია მრავალი მუსიკალური ფესტივალისა, რაც იმის ნიშანია, რომ ჩვენთან შემოქმედებითი ცხოვრება ნამდვილად ჩქეფს. აგვისტოში, აჭარაში ჩატარებული „ლამის სერენადები“ შემდეგ, სექტემბერში, „შემოდგომის თბილისი“ დაიწყო. ოქტომბერში, მას თელავში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი მოჰყვა; შემდეგ კი, ოქტომბრის მიწურულს, თბილისში ჯაზ-ფესტივალი გაიმართა. მხელია მიადევნო ყველა ამ საინტერესო მოვლენას თვალი, თუმცა მე მაინც შევეცადე და პირველი ორი ფესტივალის გარშემო ცოტაოდენი დაკვირვება ვანარმო. გთავაზობთ ამის შედეგებს

## «ლამის სერენადები» ბათუმსა და გონიოში

ვისაც ახსოეს ლიანა ისაკაძის „ლამის სერენადები“ ბიჭვინთაში, ნამდვილად გაეხარდებოდა, რომ იგივე ფესტივალი აჭარაში წელს უკვე მესამედ ჩატარდა.

მე პირადად, შარშან პირველად და წელს უკვე მეორედ დავესწარი ამ ფესტივალს. შარშან უკლებლივ ყველა კონცერტზე მოვახერხე წასვლა. წელს კი ოთხი კონცერტიდან - მხოლოდ ორბე. სწორედ ამაზე მოგითხობთ.

ჯერ შარშანდელთან დაკავშირებით მინდა ასეთი რამ გავიხსენ: იმ განბილებულ მაყურებლებს მოვიგონებ, რომლებიც აღმოჩენას ვერ მალავდნენ, რომ გახსნის დღეს პიანისტ ვლადიმერ ბერებოვსკის ჩამო-

უსვლელობის გამო, ორგანობაფორებმა მათ ექსპრომ-ტად ლიანა ისაკაძე შესთავაზეს. ამას გარდა, პროგრამას ნიკა მემანიშვილის „ქართული კინოს“ პროექტი დაემტა, რომელიც ფორმაჟორის გამო ნაწილობრივ ფონოგრამით წავიდა, რამაც კიდევ უფრო აღაშფოთა პლიაუიდან მოსული პუბლიკა. ძალიან ვწუხვარ, რომ ნეგატივს უფრო ადვილად ვეტებთ ყველაფერში, ვიდრე პოზიტივს და იმის ნაცვლად, რომ გავიხაროთ თუ როგორ მოასწრეს გამოსავლის პოვნა და საერთოდ, ფესტივალის გასსნის დღის გადარჩენა, მხოლოდ უკმაყოფილებას გამოვხატავთ.

თუ შარშან ბოგიერთი მომთხოვნი მსმენელი გან-



ლიანა ისაკაძე

ბილდა ბერებოვსკის ჩამოუსვლელობის გამო, ვეტყვი, რომ წლევანდელი „დამის სერენადების“ ყველა მონ-ვეული სუმშარი უკლებლივ ჩამოვიდა. ჩამოვიდნენ იმიტომაც, რომ სიამოვნებით განევრიანდნენ ლიანა ისაკაძის ახალ ანსამბლში, სახელწოდებით: „ფეისბუ-ქის ვირტუოზები“.

ქ-ნ ლიანას ვკითხეთ, თუ როგორ მოუვიდა მას ამ ახალი ანსამბლის შექმნის იდეა:

„- მე ვდებულობ სიამოვნებას ცხოვრებისგან და ამიტომაც ყოველთვის ვიგონებ ხოლმე კარგ რაღაცე-ებს! ფეისბუქი ყოფილაო, რაღაც ეგეთი, გავიგე, შარშან დამპატიუეს, რომ შევსულიყავი ქსელში... მეც შევედი! ჰოდა, ამომივიდა იმდენი მეგობარი, გადასარევი ხალ-ხი, მთელი მსოფლიოდან, იმდენი ნაცნობი, უცნობიც... მეც ვიფიქრე, არ უნდა გავახარო ამდენი მეგობარი-მე-

თქი? ჰოდა შევკრიბე ეს გნიოსები მთელი მსოფლიო-დან. ყველას სიამოვნებით მოუნდა ამ ახალ ორგესტრ-ში დაკვრა და მეც გადავწყვიტე მათი მოწვევა „დამის სერენადებთან“ დაკავშირებით.“

„ფეისბუქის ვირტუოზები“ არ არის მუდმივმოქმედი ანსამბლი ერთი საცხოვრებელი ადგილით. მისი წევ-რები წარმატებულად მოღვაწეობენ მსოფლიოს სხვა-დასხვა წერტილში; ხოლო როდესაც მათ „ფეისბუქის ვირტუოზების“ დამაარსებელი და მუსიკის მაგი ლიანა ისაკაძე მოუხმობს, ყველანი ერთ ადგილზე ჩნდებიან და სასწაულებიც მაშინ იწყება.

ჩამოვითვლით მათ, რათა დაინტერესების შემთხ-ვევაში, თქვენ თვითონაც შეძლოთ ინტერნეტით მათი პროფესიული პორტფოლიოს გაცნობა:

ალექსანდრე რუდინი — ჩელო (რუსეთი), იური

ეისლინი – ალტი (ინგლისი), ფიოდორ რუდანი – ვიოლინო (საფრანგეთი), ანა ლიბა ბეზროდნი – ვიოლინო (ფინეთი), ელენა დადუკევიჩი – ვიოლინო (უკრაინა), დიმიტრი ბერლინსკი – ვიოლინო (აშშ), ევგენი უკი – ვიოლინო (გერმანია), ალექსი ლუდევიგი – ალტი (რუსეთი), თამარა მელიქიანი – ჩელო (გერმანია), კატა სკანავი – ფორტეპიანო (რუსეთი, საბერძნეთი), ალისა მარგულისი – ვიოლინო (გერმანია), ალექსანდრე პავჩინსკი – ვიოლინო (პორტუგალია), ალექსანდრე ბარანოვი – ვიოლინო (შვეიცარია).

**საქართველოდან:** დავით მუქერია – დირიჟორი, თამარ ლიჩელი – ფორტეპიანო, ქეთევან თუშმალიშვილი – ვიოლინო, გივი ნასარიძე – ვიოლინო, ეკატერინე ფანცხავა – ვიოლინო, გიორგი თაგაური – ალტი, გიორგი ჯორჯაძე – ჩელო, სერგო ეროიანი – ალტი, ანასტასია წერეთელი – ჩელო, დიმიტრი გაგულიძე – კონტრაბასი.

ფესტივალის დღეები: 25–28 აგვისტო. ადგილი: 25 – ბათუმი. 26–28 გონიო.

25-ში კონცერტი ახლადგახსნილ ბათუმის ოპერის თეატრში ჩატარდა. ვისაც ეს შენობა არ გინახავთ, ნამდვილად ღირს, რომ ერთხელ მაინც ეწვიოთ. ერთმა ახალგაზრდა არქიტექტორმა მას „სტიქური კიჩი“ შეარქვა, რაც ჩემის აზრით, ზუსტად გამოხატავს ამ შენობის სტილს. იქ დამსწრე ბათუმის საბოგადოება შენობით აღფრთოვანებას ვერ მაღავდა და ქანდაკება – მსახიობებთან, რომლებიც ბედის ირონით, „მოძრაობის თეატრის“ წარმომადგენლები იყვნენ, სურათებს იღებდნენ.

ალბათ, ყველაფერს მივეჩვევით და ამ ახალ შენობასაც, როგორც ყველაფერ დანარჩენს. თუმცა იმ საძამოს ჰოლში სეირნბილისას ისეთი უჩვეულო გრძნობა მქონდა, თითქოს თეთრ საქორნილო ტორტში აღმოვჩნდი შიგნიდან. თეთრ ჰოლთან შედარებით საკოცერტო დარბაზის ექროსფერ-წითელი გამა ძალიან პომპეზური ჩარჩო აღმოჩნდა ლიანას „ღამის სერენადებისთვის“; მგონა, რომ მათ უფრო თავისუფალი, არცისტული სივრცე ესაჭიროებათ, რაც გონიოს ციხე-სიმაგრეს ნამდვილად გააჩნია.

გახსნის დღეს შემოგვთავაზეს ორი საორკესტრო

უვერტურა და ორი კონცერტი. პირველ ორბე მოვინციეთ (ორივე რატომდაც ზედიზედ და უხალისოდ შესრულდა), მეორე ორბე კი გავისარეთ. ალექსანდრე რუდინმა ფანცხასტიკურად შეასრულა ჩაიკოვსკის „ვარიაციები როკოკოს თემაზე“ ჩელოსა და ორკესტრისათვის და მინდა აღვინიშნო, რომ ბათუმის ორკესტრმაც, დავით მუქერიას დირიჟორობით, აქ უკვე ღირსეული პარტნიორობა გაუნია მსოფლიოში განთქმულ ვიოლონჩილისტს.

საინტერესოა სხვადასხვა ქალაქების აუდიტორიების შედარება ერთმანეთთან: მაგალითად, განსხვავებით თბილისელებისგან, ბათუმელებმა კარგად იცოდნენ, რომ კონცერტის ნაწილებს შორის ტაშის დაკვრა არაა საჭირო; სამაგიეროდ, დედაქალაქელებს პატარა ბავშვები არ დაჰყავთ კონცერტზე; ბათუმში კი ამან, კონცერტის მსვლელობის დროს «საინტერესო» ხმოვანი კაბუსები გამოიწვია.

მეორე კონცერტი ლიანა ისაკაძემ და ალექსანდრე რუდინმა ერთად დაუკრეს. ეს იყო გაეტანო დონიცეტის ორმაგი კონცერტი ვიოლინოს, ჩელოსა და ორკესტრისათვის, რომელიც მე პირადად, პირველად მოვისმინე. დონიცეტის საოპერო კომპოზიტორის ნიჭის თაყვანის-მცემელმა, ამ კონცერტით აღფრთოვანება მხოლოდ შემსრულებლების ხარჯზე მომინა. დარბაზის პომპეზურ სივრცეს ვერც ლიანას ცეკველოვანი ტემპერამენტი და უსაყვარლესი ღიმილი მოერია და მთლიანობაში კონცერტი შედგა, მაგრამ დღესასწაული არა.

ფესტივალის შემდეგი კონცერტი, რომელზეც მოვხვდი, რიგით მესამე, ნამდვილად სადღესასწაულო გახლდათ. იგი თავისუფალ სივრცეში, გონიოს ციხე-სიმაგრის საბათხულო სკენაზე გაიმართა. ერთადერთი დისკომფორტი ის იყო, რომ აკუსტიკური პრობლემის გამო მუსიკალურ საკრავებს მიკროფონები აძლიერებდნენ, რაც ხანდახან, მუსიკოსების მიერ გამოწვეულ არასასურველ ხმაურსაც (პერანგის ხახუნი და ა.შ.) აძლიერებდა. ვისურვებდი, რომ მომავალში, გონიოში, ანტიკური ამფითეატრი აშენდეს, თავისი არაჩვეულებრივი აკუსტიკით და «ღამის სერენადებიც» ღია ცის ქვეშ უკვე გამაძლიერებულების გარეშე მოგვესმინოს. თუმცა იმ დღის განსხვავებული სპეციფიკის გამო ამან ძლიერ არ შეგვანუხა, რადგანაც ვიკოდით, რომ იმ დღეს მუსიკო-



რეზო ჩხითავავილი

სუბს უნდა ეხუმრათ.

მუსიკოსებმა ჯერ შეასრულეს «სერიოზული» მუსიკა, ანუ ჩაიკოვსკის სექსტეტი «ფლორენციული სუვენირები», სადაც ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ საქმე გვაქვს ძალიან მაღალი კლასის შემსრულებლებთან, ხოლო მეორე განყოფილება პროგრამაში გამოცხადებული იყო, როგორც «მუსიკოსები ხემრობენ», სადაც ლიანას აღიარება, – რომ ის «ღებულობს სიამოვნებას ცხოვრებისგან და სულ ახალს და კარგ რაღაცეებს იგონებს» – ნამდვილად სისრულეში ვიხილეთ.

ჰირველად, ფესტივალი «მუსიკოსები ხემრობენ» ლიანა ისაკაძემ 1987 წელს განახორციელა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. მაშინ ზედიზედ რამდენიმე კონცერტი ჩატარდა და ხალისი და ფანტაზია ნამდვილად არ აკლდა ამ სანახაობებს. ლიანას მუსიკოსების ხემრობებისკენ თურმე მხატვარ – გერარდ პოტნუნგის გრაფიკულმა ნამუშევრებმა უბიძგა.

პოფნუნგის სახუმარო სკეტჩებს, მუსიკოსების თემებზე, ჩვენ «ღამის სერენადების» ბუკლეტში გავეცანით. ვინც პირადად იცნობს მუსიკოსებს, კარგად იცის, რომ მათ სცენის მიღმა გართობა და მუსიკალური ხუმრობები ძალიან უყვართ; პოდა, რა გასაკვირია, რომ ლიანა ისაკაძეს, მსოფლიოში ყველაზე გულწრფელი ღიმიღლის პატრონს, შინაურული ხემრობები დიდ მაყურებელთან გამოსატანად არ ენახებოდეს?

სამწებაროდ, 24 წლის წინ, ლიანა ისაკაძეს ყველამ ვერ გაუგო; «მუსიკოსების ხემრობების» მიმართ კრიტიკული შენიშვნები დადებით გამოხმაურებებს ანეიფრალებდა. ერთმა ცნობილმა მუსიკისმცოდნემ, რომელიც საერთოდ იშვიათად იღიმება, როდესაც შუბერტის «ავე-მარია» ნაოსტე შესრულდა, ნამოიყვირა: «ეს სირცხვილია!» და დატოვა დარბაზში პროექსურის ნიშნად, სამაგიეროდ, ვინც დავრჩით დარბაზში კიდევ დიდხანს ვიცინოდით მუსიკოსების ხემრობებზე.

არა უშავს, ქალბატონო ლიანა! თქვენს ღიმიღლს ეს

წყენა არ დასტუყობია. მისარია, რომ აგრძელებთ დი-  
მილს და კიდევ დიდხანს მინდა გელიმებოდეთ და ჩვენც  
გვახარჯდეთ ამით.

«ნუ გეშინია იყო პატიოსანი და თუ ბრბო პატიოს  
აღარ გვეშს, დაიმახსოვრე, რომ ბრბო არსებობს წამი-  
ერად და პირბითად, როცა კვდება, კვდება მარადიუ-  
ლად – შენ კი შეგიძლია მარადიულად იყო ცოცხალი»  
(ლიანა ისაკაძის მედიტაციებიდან).

რამდენიმე წლის წინ, წინანდალში, ვიდონ კრე-  
მერმაც თავის ანსამბლთან ერთად კონცერტის მეორე  
განყოფილებაში «მუსიკოსების ხემრობები» გამართა,  
თუმცა ეს უკვე სხვა დრო, სხვა ხალხი და სხვა ადგილი  
იყო. მაშინ კრემერის კრიტიკა უკვე ვერავინ გაბედა.

გონიოს კონცერტის მხიარულებას კი ჩვენი საყვა-  
რელი და მონაცერებული მსახიობი, რეზო ჩხიგვიშვილი  
გაუძღვა. ვერ აგინერთ, რა შარმი და იუმორი გადმო-  
აფრქვია მან! არც კი ვიცი, რეზობე უკეთ ამას ვინ გაა-  
კეთებდა.

არც ის ვიცოდი, რომ რეზო თვითონაც გადასარევად  
უკრავს ჯაბს. იმ საღამოს რეზომ საზოგადოების გული  
ბევრჯერ მოიგო და ჯაზური იმპროვიზაციების დროს  
მართლაც ფეიერვერკი დაატრიალა!

«ფეისტერის ვირტუოზების» ყველა წევრი იმ სა-  
ღამოს სიამოვნებით «ხემრობდა»: მაგალითად, ზოგი  
კოსტუმში გამოდიოდა, თუ საჭირო იყო უსტვენდა ან  
მთვრალს ანსახიერებდა.

მევიოლინე თედორე რუდინმა დრამატული მსახი-  
ობობაც კი იყვირთა: საცურაო კოსტუმში გამოწყობი-  
ლი ცოტა ხანს თურქულად გაესაუბრა საზოგადოებას;  
პასუხებმაც აჭარლებისგან არ დაყოვნა. შემდეგ კი  
“ხემრობების” დამაგვირვენიებული ნომერი, ლიანას-  
თან ერთად შეასრულა. ნომერი ასე დაიწყო: ლიანა გა-  
მოვიდა ვიოლინოთი და აქაოდა მარჯვენა ხელი მტკი-  
ვაო, საბანაო კოსტუმში გამოწყობილ რუდინს სთხოვა  
დახმარება. თედორეს ხემი ეჭირა, ხოლო ლიანა მხო-  
ლოდ მარტენა ხელის თითებით უკრავდა. ძალიან  
ჩქარი და ვირტუოზული პიესა ისე დაუკრეს, თითქოს  
ერთი ადამიანი უკრავსო!

ეს იყო ისეთი ეფექტური, რომ დარბაზი ოვაციებით  
და ტაშით აფეთქდა. არადა ვიცით, რომ ძალიან ძნელი  
იყო ამის გაკეთება! ამას გარდა, რუდინი პარალელუ-

რად, დაკვრისგან პაუზებში, სიგარულსაც ეწეოდა.

მართალია, წელს ყველა მუსიკალური ნომერი ერ-  
თნაირად სასაცილო არ გამოუვიდათ, მაგრამ ნუ გან-  
ვხვით მათ მკაცრად. აქ ხომ რეჟისორები და სკენა-  
რის ავტორებიც თვითონ მუსიკოსები არიან; ჰოდა, მათ  
ფანტასტიკურად დაგვიკრეს და გვამხიარულეს. ჩვენც,  
შევის ზღვის ნაპირზე გარუჯვის შემდეგ, ვისიამოვნოთ  
იმ დღესასწაულით, რასაც „ღამის სერენადები“ ჰქვია  
და რასაც ლიანა ისაკაძე ასე უხვად გვთავაზობს ყოვე-  
ლი წლის აგვისტოს ბოლოს.

სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ფესტივალის კულ-  
მინაციურ, დასკვნითი დღის კონცერტს, მე უკვე თბი-  
ლისში, ტელევიზით ვყურე, მაგრამ ამან, ხელი არ  
შემიშალა ჩემი აღტაცება გამომეხატა იმ დღით გამოწ-  
ვეული ემოციით.

28 აგვისტოს საღამო, მარიამობის დღესასწაულს  
დაქმთხვა და ფესტივალის ორგანიზატორებმა დას-  
კვნითი კონცერტი საქელმოქმედო აქციასაც მიუ-  
სადაცეს. კერძოდ, შემონირულობები მახათას მთაბე  
ღვთისმშობლის სახელობის სამონასტრო კომპლექსის  
აშენებას უნდა მოხმარებოდა.

მთელი საღამო სკენაზე „ფესტურების“  
კამერული ანსამბლი იყო, ანუ მსოფლიოში აღიარებუ-  
ლი სოლისტებით დაკომპლექტებული შემადგენლობა. პროგრამაც საინტერესო და ძალიან მსუყე გახლდათ.

დასაწყისში ჯერ მოცარტის „ღამის პატარა სერენა-  
და“ შესრულდა. პირველი ბერებიდანვე, მოცარტის ამ  
ჰიტად ქცეულმა კომპოზიციამ სულ სხვანაირად გაი-  
ღერა: ამდენი ბრწყინვალე მუსიკოსი, ამდენი ფანტა-  
სტიკური ინსტრუმენტი, გონიოს ციხის ბაფხულის სკენა-  
ზე – ყველაფერი ეს რაღაც დაუვიწყარ ემოციას ბა-  
დებდა. პირველ ვიოლინობე უკრავდა იური უსლინი;  
ორკესტრი უკრავდა დირიჟორის გარეშე; უკრავდნენ  
როგორც ერთი, შეწყობილად და ძალიან ხალისანად.  
როგორ ვოცნებობ ხოლმე, რომ კამერული თუ სიმფო-  
ნიური ორკესტრის წევრებმა, პროფესიონალიზმთან  
ერთად, მეტი ხალისი გადმოატრქვიონ სკენიდან! ალ-  
ბათ, მსოფლიოში დაფასებული ვირტუოზი თუ არ ხარ,  
ამის მოთხოვნა რიგითი ორკესტრანტისგან ნამეტანია  
ჩემის მხრიდან...

შემდეგ დაუკრეს მენდელსონის რე მინორული



თამარ ლიხველი, ააშია საანავი, ლიანა ისაკაძე

კონცერტი (რომელიც უფრო იშვიათად სრულდება, უფრო პოპულარულ მი მინორულ კონცერტათან შედარებით) ვითლინოსა და ორგესტრისათვის; სოლისტი დიმიტრი ბერლინსკი. ჰაგანინის კონკურსის ლაურეატის, ამერიკელი დიმიტრი ბერლინსკის შესრულებას არ შეიძლებოდა აღფრთოვანებაში არ მოევანა მსმენელი! 3 ნაწილიან კონცერტში მან გრძნობების მთელი გამა გადავვიშალა – დრამატული თხრობიდან (მეორე ნაწილში) გულლია მხიარულებამდე (მესამე ნაწილი). უდიდესმა მუსიკოსმა, ბერლინსკიმ, ორგესტრის ვირტუოზ წევრებთან ერთად, განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი განონასწორებული და ამავდროულად მგზნებარე ეძოციურობით; მაგრამ კონცერტის კულმინაცია ჯერ კიდევ წინ იყო.

შემდეგი ნაწარმოები იყო მოკარტის საფორტეპიანო კონცერტი ორგესტრთან ერთად. სოლისტი – კაფია სკანავი. საერთაშორისო აღიარება მას 18 წლის ასაკში მარგარიტა ლონგისა და უკა ტიბოს კონკურსზე გამარჯვებამ მოუტანა. შემდეგ იყო მარია კალასის კონკურსი

საბრექნეთში და ისევ გამარჯვება. „იგი საოცრად მომზიბვლელი არტისტია და მას არ ეშინა რომანტიკული პიანისტის როლი შეასრულოს“, წერდა მასზე „ვაშინგტონ პოსტი“ 2000 წელს. მოცარტის შესრულებით მან თავისი რომანტიკული ნატურა დახვეწილ კლასიკურ ჩარჩოებში მოაქცია და გონიოში შეკრებილი მსმენელიც ამით განსაკუთრებით მოხიბლა.

მეორე განყოფილებაში სცენაზე უკვე ფესტივალის სულისჩამდგმელის, ლიანა ისაკაძის ბოლო გამოსვლას დაეთმო. მან შეასრულა ვივალდის მი მინორული სავითლინო კონცერტი. ლიანას დაუფარავი ემოციურობა ყოველთვის ჩქეფს, მუდამ მასთანაა; სადღაც ზეციდან მოედინება თითქოს. ამ კონცერტშიც მას ეს ღვთაებრივი იმპულსი მთელი ნაწარმოების განმავლობაში მოჰქონდა ჩვენამდე და ორგესტრის განუმეორებელი წევრებიც მას ტოლს არ უდებდნენ ამაში. როგორ ვინანე, რომ კონცერტის დასრულებისას იქ არ ვიყავი! მინდოდა ჩემი აღფრთოვანების ხმა შემსრულებლების ყურამდე მისულიყო, თუმცა „ბრავო“ – ს ძახილი და ტა-

შის დაკვრა ტულევიზორის წინაც არ დამიყლია!!

მაგრამ წინ კიდევ ერთი კულმინაცია გველოდა.

პაგანინის ცნობილი 24-ე კაპრისი, დამუშავებული კამერული ორკესტრისათვის ლიანა ისაკაძის მიერ იყო ის, რასაც მე მთელი კონცერტის და ფესტივალის ზე-იმს დავარქებული. ვირტუოზული ვარიაციები პაგანინის ცნობილ თემაზე რიგორობით ორკესტრანტების და სოლისტის, თავად ლიანა ისაკაძის მიერ სრულდებოდა. სოლოს შესრულებისას ორკესტრის რომელიმე წევრი ფეხზე დგებოდა და ისე უკრავდა; შემდეგ ისევ ჯდებოდა და ორკესტრის რიგოთი წევრი ხდებოდა. მეხუთე ვარიაცია თავად ლიანაზ ისეთ ტემპში და ისეთი ცეკვლით დაუკრა, რომ დასრულებისას შემოჰყვირა სიხარულით, რათა სული მოეთქვა. ორკესტრსაც ეს ცეკვლი გადაედო და კიდევ უფრო მგზებარე კონცერტის გაიმართა მუსიკოსებს შორის. ამდენი ვირტუოზი ერთად, ამდენი მსოფლიოში საუკეთესო ინსტრუმენტის უღერადობა ერთდროულად, ალბათ ძალიან იშვიათი მოვლენაა საკონცერტო პრაქტიკაში და ჩვენ, ტელემაყურებლები და გონიოში შეკრებილი საზოგადოება, ამის მომსწრენი გავხდით! დიდი ხანია კლასიკური მუსიკის კონცერტებზე ასეთი დღესასწაულები აღარ მნახავს! ვისურვებდი, რომ კონცერტის ეს ვიდეო ჩანაწერი DVD დისკებზე გაიყიდოს და ჩვენი სამჩნაო ბიბლიოთეკის მარგალიტად იქცეს.

„ფესტუკის ვირტუოზების“ ეს ზეიმი ამ ნომრით არ დასრულებულა. შესრულდა კიდევ ბრამსის საფორტეპიანო კვარტეტის ფინალი, დამუშავებული ორკესტრისათვის ლიანა ისაკაძის მიერ. სოლისტები: ლიანა ისაკაძე (ვიოლინი), ალექსეი ლუდევიგი (ალტი), თამარ ლიჩელი (ფორტეპიანო). ესეც საინტერესო მოვლენაა დღევანდელ საკონცერტო ცხოვრებაში: კამერული მუსიკის შესრულება ორკესტრის მეშვეობით, რამაც ახალი სიცოცხლე შესძინა უკვე ნაცნობ ნაწარმოებებს.

კონცერტი გრძელდებოდა და კონცერტი არ გლლიდა, რადგანაც მისი დრამატურგია ძალიერ საინტერესოდ იყო აგებული: თუ მუსიკალურ ფორმას დავესესხებით, კონცერტის დრამატურგია სონატურ ფორმაში ჩაჯდებოდა: მოცარტის „დამის სერენადები“ ეს იყო შესავალი, მენდელსონის კონცერტი — პირველი ნაწილი;

მოცარტის კონცერტი თავისი გენიალური ადაჯოთი — მეორე ნაწილი, ვივალდის კონცერტი მესამე ნაწილს წარმოადგენდა, პაგანინის „კაპრისი“ და ბრამსის კვარტეტის ფინალი კი დასკვნით, მეოთხე ნაწილს.

დასასრულს ყველას ელოდა სიურპრიზი: აფხაზეთიდან მონვეულმა მომღერალმა სალომე ჯიქიამ, ლიანა ისაკაძე და თამარ ლიჩელმა (ფორტეპიანო) ერთად შეასრულეს რახმანინვის რომანის «*Не пой красавица при мне ты песен Грузини далекой*».

ნლევანდელი „დამის სერენადები“ ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობას მიეძღვნა და ამ ნაწარმოებით, მთელი ფესტივალის სავსებით ლოგიკური და-სასრული გამოვიდა, რომელიც როგორც მთელი კონცერტის კოდა ისე აღიქმებოდა. კარგი იქნებოდა, რომ საკონცერტო პროგრამები ყოველთვის ასეთი გემოვნებითა და მაყურებელთა აღქმის მშაობით იყოს ხოლმე გათვლილი.

იმ საღამოს შევიტყეთ, რომ ქალბატონი ლიანა წელს იუბილარია და ფესტივალის სპონსორმა „ბანკმა რესპუბლიკამ“ მას ანაბრიანი ბარათი გადასცა საჩუქრად.

საიუბილეო თარიღს გილოცავთ ქალბატონო ლიანა! დმტრთმა არ მოგაკლოთ ჩვენდა გასახარად ახალი იდეები! და მომავალ შეხვედრამდე „ფესტუკელო ვირტუოზებო!“

“ჩვენ უნდა მოგვყვებოდეს არსებობის სიხარული, ვუზიარებდეთ მას ყველას და სიყვარულით განვაგრძობდეთ სვლას შშვენიერი გზით“ (ლიანა ისაკაძის მედიტაციებიდან).

## შემოდგომის ფესტივალი

ტრადიციული საერთაშორისო ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ ჯანსულ კანიდის სახელობის მუსიკალურ ცენტრში, წელს მე - 19 – ედ გაიმართა.

სექტემბერ-ოქტომბერში თბილისში, პარალელურად საერთაშორისო თეატრალური ფესტივალიც მიმდინარეობდა. მით უფრო სასიამოვნო იყო კლასიკური მუსიკის მოსამენად მოსული ხალხის სიმრავლე. არავისთვის არაა ეს ახალი, რომ დღეს, კლასიკური მუსი-

კის კონცერტზე დასავლეთში მხოლოდ შუა ხნის ასაკის ადამიანები დადიან. თუ რატომ, ეს ამ რეცენზიის განხილვის მიზანს არ წარმოადგენს. მით უფრო სასიხარულოა, რომ ჯანსულ კახიძის ცენტრში, „შემოდგომის ფესტივალზე“ წელს, ყველა ასაკის ადამიანთა სიმრავლე იყო. ეს აღბათ გამოწვეულია იმითაც, რომ განახლებულ დარბაზში ბილეთის ფასები არ გაძვირებულა (5 -დან 25 ლარამდე) და ნებისმიერი ბიუჯეტის მსმენელი ერთნაირ პირობებში იძყოფება, როგორც ხილვა-დობის, ასევე სმენადობის თვალისაზრისით.

ყოველზღვიური „შემოდგომის ფესტივალი“ ჯანსულ კახიძემ დაარსა 1993 წელს, ხოლო 2002 წლიდან, ამ ფესტივალის სათავეში მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მისი ვაჟი კომპოზიტორი და დირიჟორი ვახტანგ კახიძეა. წელსაც მან ძალიან საინტერესო პროგრამა და სუერები შემოვთავაზა: 10 კონცერტი და პირველად ფესტივალის ისტორიაში-თხი მოწვეული დირიჟორი, რასაკვირველია, ასევე მოწვეულ სოლისტებთან ერთად.

თარიღები: 20 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე.

**ვახტანგ კახიძე:** „ წელს მე პირველად გადავწვდე მომენტია დირიჟორები. თვითონ მე მხოლოდ ორ კონცერტში ვმონანილეობ, დანარჩენ ოთხ სიმფონიურ კონცერტს მოწვეული დირიჟორები უხელმძღვანელებენ. ყოველი მათგანი ძალიან ცნობილია: მაგალითად, პირველ კონცერტს უდირიჟორებს ტან ლიჭა ჩინეთიდან; იგი პეკინის სიმფონიური ორკესტრის მუსიკალური დირექტორი და მთავარი დირიჟორია. აქ გამოვა აგრძელებულ საერთაშორისო სახელის მქონე ესპანელი დირიჟორი პერეს სიერა; რუსეთიდან ფელიქს კორობოვი – მოსკოვის მუსიკალური თეატრის მთავარი დირიჟორი; ასევე განთქმულია ამერიკაში უინსტონ დენ ფოგელი – აშშ-ს საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელიც დასკვნით კონცერტს უდირიჟორებს. მოწვეული დირიჟორების ჩამოყვანა იმანაც განაპირობა, რომ ორკესტრის მუსიკოსები უკვე იმ დონეზე არიან, რომ ნებისმიერ დირიჟორთან შეუძლიათ დაკვრა. მეც რომ ვუსმენ მათ დარბაზიდან და ვაკვირდები, ვხედავ, თუ როგორ მუშაობენ სხვასთან. ეს საინტერესო გამოცდილებაა ჩემთვისაც“.

ძელია, მთლიანად წარმოგიდგინოთ მთელი ფეს-

ტივალის მრავალფეროვანი პროგრამა და შთაბეჭდილებები, მით უმეტეს, რომ 10-დან 2 კონცერტს მე, სამწუხაოდ, ვერ დავესწარი, მაგრამ მაინც შევეცდები მოკლედ ვიმოგბაურო ამ მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენის გარშემო.

პირველივე კონცერტზე დირიჟორმა ტან ლიჭა არინელი კომპოზიტორის, კე ჯი ფანგის ტიბეტური ცეკვა სიმფონიური ორკესტრისათვის შემოვთავაზა. ეს ნამდვილად უკხო და სასიამოვნო ჰანგი იყო ქართველი მსმენელისათვის. საერთაშორისო კონკურსებზე არაერთგზის გამარჯვებულმა და მსოფლიოში აღიარებულმა ქართველმა ჰანგისტმა – თათა ლიჩელმა პროკოფიევის მესამე საფორტეპაინო კონცერტი ჩვეული პროფესიონალიზმით წარმოვიდგინა. თათას პროფესიონალიზმს ხელეწიფება ნებისმიერი სირთულის და ემოციის ნაწარმოების გათავისება და საკუთარი ინტერპრეტაციის დელიკატური შეთავაზება, რაც ახლოსაა ხოლმე ავტორისეულ ჩანაფიქრთან. ასე მოხდა იმ დღესაც.

კონცერტის შემდეგ, დირიჟორმა სიბელიუსის № 1 სიმფონია დაუკრა. ჩინელი დირიჟორის ინტერპრეტაციამ ძალიან ამაღლებულ განწყობაზე დაგვაყენა; ფინელი კომპოზიტორის ნადვილიანი, პატრიოტულ-რომანტიკული განწყობები აღმოსავლური ტემპერამენტით გაამდიდრა, რამაც დარბაზის გამოცდილი მსმენელის მგბწებარე აპლოდისტმენტები გამოიწვია.

მეორე კონცერტის პროგრამა მთლიანად ჯაბური სტილით შთაგონებული ნაწარმოებებით იყო შედგენილი: გერმვინი, კახიძე, ბერნსტაინი. გერმვინის „ცისფერ რაფსოდიაში“ საფორტეპაინო სოლის გიორგი მიქაელე ასრულებდა. მანვე წარმოვიდგინა ვახტანგ კახიძის №1 საფორტეპაინო კონცერტი ორკესტრთან ერთად. გიორგი დღეს ქალაქ ბოსტონის ბერკლის მუსიკალურ კოლეჯში სწავლობს ჯაზის განყოფილებაზე. მას ხშირად უწევს გამოსვლა ცნობილ მუსიკოსებთან ერთად. იგი ბავშვობიდანვე მრავალი კონკურსის მონაწილე და პრიზიორია.

**გიორგი მიქაელე** – „განსაკუთრებული გრძნობა მაქვს დღეს მე ამ დარბაზში, როგორც სახლში ისე ვარ. დიდ მასტეროს (ჟ.კახიძე) ბიჭუნათა გუნდში ვმღეროდი, მაშინ გუნდის სოლისტი ვიყავი და დღეს პირველად,



პასახი ალექსანდრი, პასა დიმიტრი კარასი, ვაჩავანგ კახიძე, ნაცალია ჩეთათოლაძე.

**ვახტანგ კახიძესთან ერთად დავუკარი სოლო, თანაც მის საფორტეპიანო კონცერტში;** ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, როდესაც ავტორთან ერთად ასრულებ. ჯერ არ მისაუბრია მასთან, მაგრამ შემიძლია უკვე გითხრათ, რომ კონტაქტი შესრულების დროს არაჩვეულებრივი გვექნდა!

**ვახტანგ კახიძე —** „ეს კონცერტი მოსკოვში დავწერე, როდესაც მეოთხე კურსზე ვსწავლობდი პროფესორ სიდელნიკოვთან. მაშინ, მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტობის ერთი ნახევარი მუსიკას პროფესიელის სტილში სწერდა, ხოლო მეორე ნახევარი შოსტაკოვიჩის სტილში.

როდესაც ეს ჯაზური კონცერტი წარმოვადგინე, უჩვეულო იყო, თუმცა უველამ მოიწონა; გააგზავნეს საკავშირო კონკურსზე და დამაჯილდოვეს პრემიით, რაც იმაში გამოიხატა, რომ ეს კონცერტი შევასრულე ცნობილ დირიჟორ ვერონიკა დუდაროვასთან ერთად.“

**ნ.გ. — კონცერტის მთავარი თემა ჩვეულებრივი დო**

მაჟორია; ჰქონია თუ არა სხვა კომპოზიტორს ანალოგური იდეა — გამა, როგორც მთავარი თემა გამოეყენებინა?

**ვახტანგ კახიძე —** „მე არ გამიგია, ყოველ შემთხვევაში! მინდოდა მეჩვენებინა, თუ რა შესაძლებლობები — მეტამორფოზები — შეიძლება განავითარო ჩვეულებრივი მაჟორული კილოდან, თანაც ჯაზური კომპოზიციის ელემენტებით. ამ ნანარმოების მოსმენის შედეგად ბევრმა სოლისტმა შემიკვეთა საკონცერტო ნაწარმოები სხვადასხვა საკრავებისათვის; მე დავწერე კონცერტი ალტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის იური ბაშმეტისათვის, გიდონ კრემერის დაკვეთით — ვიოლინისათვის და ემილია ბარანოვსკაიასთვის — ჩელოსა და ორკესტრისათვის.“

ფესტივალის მესამე კონცერტი განსხვავდებოდა სხვა დღეებისგან იმით, რომ მასში ორგანი მონაწილეობდა და კიდევ იმით, რომ იმ დღეს ორი მსოფლიო პრემიერა გაიმართა.

ასალი ორგანი ძალიან მოუხდა დიდი დარბაზის დიბაინს, სადაც თავად ორგანისტი, სცენის აივანზეა მოთავსებული.

საორგანო პროგრამასთან დაკავშირებით, გერმანიდან ჩამოვიდა ცნობილი ორგანისტი ჰანს დიტერ კარასი. იმ დღეს მან შეასრულა ჯერ ლისტის “ფანტაზია და ფუგა” მეიერბერის თემბზე სოლო ორგანისტვის, ხოლო შემდევ საკუთარი “ფანტაზია” ორგანისა და ორკესტრისათვის, რომლის მსოფლიო პრემიერა იმ დღეს შედგა.

ლისტის ურთულესი კომპოზიცია ნამდვილად დიდებულად შეასრულა კარასმა და მსმენელიც ლამაზი, საორგანო მუსიკის მედიტაციაში გვმყოფა; რაც შეუხება საკუთარ თხზულებას, აქ, რბილად რომ ვთქათ, კომპოზიცია გრძელი და მოსაწყენი იყო და მარტო მე არ ვიყავი ამ აზრის. მართალია, სტუმარ-კომპოზიტორს დარბაზმა ეს არ აგრძნობინა და როგორც თბილის სჩვევია, მანიც თბილი ტაშით დააფასა იგი.

მეორე განყოფილებაში ჩვენ გველოდა ვახტანგ კახიძის „ალელუიას“ პირველი შესრულება მსოფლიოში, რომელიც კომპოზიტორმა ჩელოს, ორგანისა და ხმის-თვის დაწერა. ჩელოს პარტია გერმანელმა მუსიკოსმა, მრავალი პრიბის მფლობელმა ბეატე ალფრედურგმა შეასრულა, ხოლო ვოკალური პარტია ნატალია ქუთათელაძემ. ნატალია – ნანი ბრევვაძის შვილიშვილი და ეკა მამალაძის ქალიშვილია; მით უფრო დიდი იყო მსმენელის ინტერესი მისი გამოსვლის მიმართ. „ალელუიამ“ მოგვებილა თავისი გულწრფელი ინტონაციით, ტემბრალური გამჭვირვალობით. სამი ინსტრუმენტი – ორგანი, ჩელო და ვოკალი ერთმნეთს დელიკატურად აკლიდნენ სათქმელს. მეცოს დაბალი და ჩუმი რეგისტრი ლოცვასავით უღერდა. ნატალიას თბილი და ობერტონებით მდიდარი ხმა მოუხდა ამ განწყობას. სიტყვები – მხოლოდ „ალელუია“. სამივე ტემბრი ერთად კი, ძალიან თბილ და ცოტა მისტიკურ განწყობას ქმნიდა.

ამ ნაწარმოების შექმნის ისტორიაზე ინტერვიუ თავად კომპოზიტორს ჩამოვართვი.

**ვახტანგ კახიძე:** „ალელუია“ დავწერე 1994 წელს, საფრანგეთის დაკვეთით. მაშინვე ჩაიწერა, გრეხობლთან ახლოს მდებარე ერთ დარბაზში, სადაც ძალიან საინტერესო ორგანია. ამ ორგანის არა მარტო კარგი

ხმოვანება აქვს, არამედ იშივათი დიზაინიც: იგი ხელის მარცხენა მტევნის ფორმისაა. ჩაწერაში მონაწილეობდა ფრანგი ორგანისტი და ჩელისტი – ემილია ბარანვსკაია, ვისადმიც იყო ეს ნაწარმოები მიძღვნილი. სხვათა შორის, ვოკალური პარტიაც მაშინ თვითონ ემილიამ შეასრულა. ეს ჩანაწერი შევიდა ჩემი ნაწარმოების დისკები, რომელიც „სონი კლასიკალ“-მა გამოსცა. შემდეგ უნდა შემდგარიყო პრემიერა პარიზში, მაგრამ სხვადასხვა მიზებების გამო ვერ მოხერხდა და აი დღეს, 17 ნოემბერი „შემდევ, როდესაც „შემოდგომის თბილისტე“ შეიკრიბნენ ორგანისტი და ჩელისტი გერმანიდან, მე შევთავაზე და მუსიკოსებიც სიამოვნებით დამტეახსმნენ; ფაქტობრივად მსოფლიო პრემიერა გამოვიდა!“

**5.3.** თუ შეიძლება, შენი ნაწარმოებების მუსიკალურ ენაზე გვიამბე; 21 – ე საუკუნეში შენ ცონალურ მუსიკას წერ...

**3.3.** – „კი, მე ტონალურ მუსიკას ვწერ; რადგანაც მიმაჩინია, რომ შვიდი ნოტი ჯერ არ არის ამონტურული! მე მიყვარს მელოდია, ჰარმონია... ბევრი ტექნოლოგიები ვკადე, მაგრამ იქ აბსოლუტურად დაკვარგე ჩემი თავი... ეს კი ის მუსიკაა, რასაც მე ვწერ; ვისაც მოსწონს, მოსწონს, ვისაც არა ...“.

**5.3.** – დღევანდელი რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, ძალიან მოსწონთ! ფიქრობ, რომ მუსიკის მომავალი მანიც მელოდიაშია?

**3.3.** – „ასე ვერ იტყვი! ყველაფერს წყვეტს პიროვნება, კომპოზიტორი; შიონბერგი და ბერგი რომ ნერდნენ მუსიკას, იმ გაგებით, როგორსაც მოკარტი და მალერი წერდნენ, მელოდიას ვერ დაარქმევ... გააჩინია თვითონ კომპოზიტორი რაში იპოვის თავის მუსიკალურ ენას და როგორ გაუკეთებს მას რეალიზაციას... მე მაგალითად ჩემი თავი ვიპოვე ამაში... მთავარია, რომ კომპოზიტორმა იპოვოს თავისი თავი და იყოს ცნობადი, როდესაც ცნობ კომპოზიტორის მუსიკას!“

კონცერტის დასასრულს აუდიტორიამ დიდხანს არ გაუშვა ვახტანგ კახიძე სცენიდან. ბოლოს მან ორკესტრთან ერთად, ბისტე შეასრულა საკუთარი მუსიკა კინოფილმიდან „რუსული სამკუთხედი“. ნამდვილად ძალიან ემოციური კონცერტის დასასრული გამოვიდა! ეს საღამო შეიძლება მთელი ფესტივალის კულმინაცი-

ად ჩაითვალოს. ვატოს მელოდიურმა ნიჭმა ამ მუსიკაში ფრთხი შეისხა და შიშველ ემოციად გადმოიღვარა. დარბაზი აფეთქდა ტაძით, რაც იმის ნათელი დასტური იყო, რომ შვიდი ნოტი ჯერ ნამდვილად არ არის ამონურული...

უანრობრივი მრავალმხრივობა „შემოდგომის ფესტივალის“ თანმდევი ნაწილია და მართლაც, მეოთხე კონცერტტე ორგანიზაციორებმა ჯაზური მუსიკის სამართლო შემოვთავაზეს. შემსრულებლები: ჯაზ-კვარტეტი: ბურაბ რამიშვილი (ფ-ნო), რევაზ კიკნაძე (საქსოფონი), პავლე კვაჭაძე (კონტრაბასი), გიორგი სალალიშვილი (დასარტყებამი).

კვარტეტის წევრებმა შეასრულეს ჯაზის, როგორც სუანდარტული, ასევე ორიგინალური კომპოზიციები. ერთ-ერთი მათგანი, „შემოდგომა“ ზურაბ რამიშვილისა, ძალიან ნაცნობი, ნოსტალგიური მელოდიით. მუსიკოსებმა ასევე კარგი რიტმული ანსამბლით შეასრულეს ტელონიუს მონკის სუანდარტები. იგრძნობოდა, რომ კარგ ტალღაზე იყვნენ იმ საღამოს. თუმცა, ეს საღამო დროში ცოტა გაიწელა – კვარტეტმა შეუსვებლივ ორ საათზე მეტხანს დაუკრა, ნაცვლად 1 საათი და 20 წუთისა, როგორც გაირკვა მოგვანებით. მართალია, ძალიან კარგი მუსიკოსები არიან, მაგრამ ასე შეუსვენებლივ, მინიმალური ინტერაქტიულობით (კომპოზიციები, მესამის შემდეგ თითქმის აღარ ცხადდებოდა), თანაც დიდ საკონცერტო დარბაზში და არა კლუბში, ცოტა მოსაწყენი აღმოჩნდა. ამხელა დარბაზს ბიგ – ბენდი ვერ გაავსებდა ორი საათის განმავლობაში, არათუ კვარტეტი ძირითადად ერთი სოლისტით.

საერთოდ ჯაზი დღეს მსოფლიო კრიზის განიცდის. ამერიკაში ახალგაზრდები არ დადიან იმ კლუბებში სადაც ჯაზს უკრავენ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? ამ კითხვით მივმართე კვარტეტის წევრებს კონცერტის შემდეგ.

**ზურაბ რამიშვილი** – „წელს გაიხსნა ჯაზის კოლეჯი თბილისში, სადაც მე ვასნავლი. სხვათა შორის, ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მოდის. ჩვენთან ხომ იცით ყველაფერი დაგვიანებით მოდის; ამიტომ ჯერჯერობით ჯაზის მიმართ ახლაგამრდების მხრიდან ინტერესს არ ვუჩივით“.

**რევაზ კიკნაძე** – „ჩვენ ყველანი ერთად, ვაკეში,

ჯაზ-კლუბში გამოვდივართ ხოლმე; იქ მობრძანდით და ნახავთ როგორი ცხოველი ინტერესია. რაც შეეხება ამერიკელებს, მართალი ხართ! ამიტომ ამერიკელი ჯაზმენები ევროპაში მორბიან, რადგანაც იქ აღარაა ჯაზი პაპულარული. დღეს მე ვერც კი შევნიშნე, როგორ გადავაცილეთ დროს; საერთოდ მე ელექტრონული მუსიკის კომპოზიტორი ვარ; ჯაზი კი, ერთ-ერთი ნაწილია ჩემი შემოქმედების.“

ძალიან სასიამოვნო პიროვნება აღმოჩნდა ბატონი რეზი! მასზე დოკუმენტური ფილმიც მინახავს და მისი ელექტრონული მუსიკაც ძალიან საინტერესოა. აუცილებლად უნდა წავიდე ბერძენიშვილის ქუჩაზე ჯაზ-კლუბში; დარწმუნებული ვარ, რომ იქ სულ სხვა შთაბეჭდილება დამრჩება...

მომდევნო კონცერტი „შემოდგომის თბილისისა“ მთლიანად დვორუჟაკის შემოქმედებას მიეძღვნა. გერმანელმა ვიოლონჩელისტმა, ჩვენთვის უკვე ნაცნობმა ბეატე ალტენბურგმა, დვორუჟაკის კონცერტი ორკესტრთან ერთად შეასრულა, რომელსაც ესპანელი მიგელ პერეს სიერა დირიჟორობდა. ბეატეს შესრულება კრიტიკოსებს დაუხსასიათებიათ „განსაცვიფრებელი სიღრმით“ და „უსაბლვრო ენერგიით“; მე დავუმატებდი – არაჩვეულებრივი სინაზით ბერის და ზოგადად მელოდის მიმართ.

ვილონჩელისტს ერთი შეკითხვა დავუსვი კონცერტის შემდეგ:

**6.გ.** – როგორ ფიქრობთ, რა მესოფი იყო ამ ნაწარმოების თქვენს დღევანდელ შესრულებაში?

**ბეატე ალტენბურგი** – „როდესაც დვორუჟაკი ამ კონცერტს წერდა, ის ამერიკიდან სამშობლოში, ჩეხეთში უნდა გამგზავრებულიყო; მეც ახლა გერმანიაში მივდივარ დიდი ხნის არყოფნის შემდეგ. ამიტომ ამ გრძნობას აღბათ მონაცერებას დავარქებული.“

ბეატე მადრიდში ცხოვრობს და მუშაობს. თბილისიდან სახლში მიემგზავრებოდა. ჩვენც მასთან და დვორუჟაკთან ერთად, სამშობლოს მონაცერების გრძნობას ვეტიარეთ იმ საღამოს.

ფესტივალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტრადიციულად, წელსაც ერთი კონცერტი ქართული ფოლკლორის საღამოს დაეთმო. კერძოდ, ანსამბლ „შვიდკაცას“ 55 წლის იუბილეს. ჩემდა სამწუხაროდ, ავადმყო-

ფობის გამო, ვერც ამ და ვერც მომდევნო, სიმფონიური მუსიკის კონცერტს ვერ დავესარარი. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან საიტერესო პროგრამის და მონაწილეების გათვალისწინებით ორივე კონცერტი ფესტივალის ღირსშესანიშნავი მოვლენა უნდა გამზდარიყო. ამიტომ, ჩემს თხრობას „შემოდგომის თბილისი“ გარშემო, მომდევნო კონცერტით გავაგრძელებ.

შემდევი კონცერტი, რომელსაც დავესარარი, თბილისის სიმფონიური ორკესტრის მონაწილეობით გაიმართა. ეს ტრადიცია, ვახტანგ კახიძემ, გასული გამორიდან დაანხსა, როდესაც კონცერტების მთელი სერია გამართა ორკესტრის სოლისტების მონაწილეობით. ფესტივალზე მათი მონაწილეობით კამერული მუსიკის საღამო მოეწყო მცირე დარბაზში. სოლისტებმა საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამა შემოვთავაზეს. განსაკუთრებით ვისიმოვნეთ კლარნეტის შოთა გოგონის გამოსვლით, რომელმაც ვიდორის ინტრიდუქცია და რონდო შემოვთავაბა. ასევე მინდა ალვინშნო ფლეიტისტი ნატალია ლომინაძე, რომელმაც პულენკის სონატა შეასრულა.

დასასრულ, ორკესტრის მენდელსონის და შოსტაკოვიჩის ოქტოები წარმოვიდგნება. იმ საღამოს ახალი და საინტერესო კამერული მუსიკის შესრულებით მსმენელმაც ისიამოვნა და ორკესტრის მუსიკოსებსაც პროფესიული დახვეწის სერიოზული მოტივაცია გაუჩნდათ.

დაბოლოს, ფესტივალის დასკვნითი კონცერტი.

დირიჟორებდა ამერიკელი უინსტონ დენ ფოგელი, რომელიც 1994 წლიდან აშშ-ს საოპერო თეატრის სამსახურო ხელმძღვანელია. თავიდან შესრულდა ვაგნერის უვერტურა ოპერიდან „ტანკობერი“. უნდა ითქვას, რომ თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა, მონვეულ დირიჟორთან ერთად, შესანიშნავად შეასრულა სიმფონიური მუსიკის ეს მარგალიტი, რითაც ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ დღეს ის საუკეთესო ორკესტრია საქართველოში. მინდა ალვინშნო სასულე საკრავთა ჯგუფის მუსიკოსთა მნიშვნელოვანი როლი და განსაკუთრებით ტუბის სოლო, სადაც მუსიკოსმა ბრნეინგალედ აამღერა ვაგნერის უკვდავი მელოდია თავის, არცთუ ისე მოქნილ ინსტრუმენტზე.

ამის შემდეგ შესრულდა მენდელსონის სავიოლინო,

მი მინორული კონცერტი. სოლისტი – ქართველი მევიოლინე ალექსანდრე თიგიშვილი, შვეიცარიიდან. ალექსანდრემ კონსერვატორია უენევაში დაამთავრა. არის სხვადასხვა კონკურსების ლაურეატი. მათ შორის პირველი პრემია მიენიჭა ქალაქ პალუას საერთაშორისო კონკურსზე იტალიაში. ჩემი სუბიექტური აზრით, იმ საღამოს მენდელსონის მისული ინტერპრეტაცია არ იყო ისეთი ემოციური, როგორსაც ჩვენ ვეღოდით. რატომდაც სოლისტის მიკროფონი არ იძლეოდა იმის საშულებას, რომ მისი ბერები მთელი სისავსით მოსულიყო დარბაზში, მსმენელამდე. შეიძლება ეს ტექნიკური მიზეზი იყო, რამაც შეამცირა მისი დაკრულის ემოციური ბერმედება? ახლა ძნელია ამის გარკვევა. კიდევ ერთი შეფერხება იყო მესამე ნაწილში, სადაც სოლისტი და ორკესტრი დასაწყისში რიტმულად არათანხვდენილად უკრავდნენ. თუმცა ეს მცირე შეფერხება მაღლევე გამოსწორდა.

კონცერტის შემდეგ ალექსანდრეს მივულოცეთ და ვთხოვთ კომენტარი დღევანდელ კონცერტზე:

**ალექსანდრე თიგიშვილი** – „ამერიკელი დირიჟორი დიდებული მუსიკოსი! მესამე ნაწილი ორკესტრმა დაიწყო და ტემპიც მაესტრომ აირჩია. თავიდან მოხდა მცირე გაუგებრობა, მაგრამ ამაშია ცოცხალი შესრულების სკეციფიკა; ზოგჯერ ასეთი რამებიც ხდება, ეს ხომ ჩანაწერი არ არის!“

მაესტროს დიდებულებაში ჩვენ იმ საღამოსვე, მეორე განყოფილებაში დავრწმუნდით, როდესაც მან უდირიჟორა ბრამსის №1 სიმფონიას, რითაც დასრულდა იმ საღამოს კონცერტი.

თბილისში ეს სიმფონია დიდი ხანია არ შესრულებულა. თავის დროზე „ბეთოვენის მე-10 სიმფონიად“ მონათლები ეს ნაწარმოები, მრავალფეროვან და ურთულეს სიმფონიურ ტილოს წარმოადგენს. ჩვენმა ორკესტრმაც და ამერიკელმა დირიჟორმაც ამ ფინალური ნაწარმოებით ბრნეინგალედ დაასრულეს „შემოდგომის თბილისი“ – ს მე-19 ფესტივალი.

დასრულდა ფესტივალი, თავისი მდიდარი პროგრამით და გამომსვლელებით, სადაც თითოეული კონცერტის დრამატურგია, ორკესტრის დირიჟორს და სამხატვრო ხელმძღვანელს – ვახტანგ კახიძეს, სათუთად ჰქონდა გათვლილი.



გერმანიაშვილი

მომავალ წელს მეოცე „შემოდგომის თბილის“ გველოდება. რას ვისურვებდით საიუბილეო წლისთვის?

მე და ჩემნაირი მუსიკის პროფესიონალები აღბათ მეტ ახალ, ჯერ კიდევ არაულერებული ნაწარმოებების მოსმენას; რიგითი მსმენელები კი უფრო მეტს, „ჰიტად“ ქცეულ კლასიკურ მუსიკას — ანუ მეტ მოცარტს და ბოგადად, ვერის კლასიკოსების ნაწარმოებებს — ეს მე მცირე გამოკითხვით დავადგინე.

მილოცვებითა და ამ კეთილი სურვილებით დავემ-შვიდობეთ ბატონ ვახტანგ კახიძეს.

ჩემს შეკითხვაზე, თუ როგორ იგეგმება ფესტივალის პროგრამა, მან ასე მიპასუხა:

ვასტანგ კახიძე — „ფესტივალის პროგრამის შედგენა რამდენიმე პუნქტზეა დამოკიდებული; ესენია: 1. რეპერტუარი, რასაც გვთავაზობს სოლისტი ან დირიჟორი; 2.

მუსიკალური მასალა. მაგალითად, მე -20 საუკუნის კომპოზიტორთა ნაწარმოებებზე გარდაცვალებიდან 50 წლის განმავლობაში ვრცელდება საავტორო უფლებები, როგორც სანოტო მასალაზე, ასევე შესრულებაზე. ეს ფინანსური მხარეა ამ პრობლემის; 3. კიდევ რეპერტიციების შეზღუდული რაოდენობა. როდესაც პატიჟებ დირიჟორს და მას სულ 4 რეპეტიცია აქვს, უნდა დაახვედრო მზა ნაწარმოები; ახალ ნაწარმოებს ის 4 რეპეტიციაში ვერ მოასწრებს. მე ძალიან ბევრს ვშრომობ რეპერტუარის განახლებისათვის. ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი რამ მაქვს პირველად დაკრული და სხვათა შორის, ნოტების ნახევარზე მეტი, ჩემი საკუთარი ფულით მაქვს ნაყიდი. ასე რომ, ამ რეპერტიციების შეზღუდული რაოდენობის გამო, როდესაც ჩვენ გვინდა რაც შეიძლება მეტმა მოწვევულმა მუსიკოსმა მიიღოს



ალექსანდრე თბილიშვილი

მონაწილეობა ფესტივალში, იძულებული ვართ კლასიკა— რომანტიზმიდან ავარჩიო რეპერტუარი. თუმცა წელსაც ბევრი ისეთი ნაწარმოები შესრულდა, რომელიც დიდი ხანია არ მოგვისმენია; ასეთებია: ვაგნერის უვერტურა „ტანკოიზერიდან“, ბრამსის პირველი სიმფონია მამაჩემს აქვს დაკრული 2000 წელს და იმის შემდეგ არ შესრულებულა; ასევეა სიბელიუსის პირველი სიმფონია, რომელიც 30 წელზე მეტია არ აუღირებულა.”

დიდი მადლობა ვახტანგ კახიძეს „შემოდგომის თბილის“ ასეთი ერთგულებისთვის. მაესტრო ჯანსულ კახიძეს 1993 წელს, როდესაც ამ ფესტივალს აფუძნებდა, სჯეროდა, რომ მას დიდი მომავალი ექნებოდა.

მშვიდობით ფესტივალო, რომელსაც არა მარტო მუსიკალური სიამოვნება მოაქვს ჩვენთვის, არამედ რა

ხანია დიდი სოციალური დატვირთვითაც გამოიჩინა — იგი, ხომ აგერ უკვე თითქმის ოცი წელია თბილისელთა თავშეყრის ერთ-ერთი საყვარელი ადგილია...

ქართულ კულტურას, ქართულ მუსიკას გამოაყენდა საერთაშორისო მასშტაბის მუსიკოსი, პანისური, უდიდესი აკომპანიატორი, რომელსაც ქართულ და რუსულ საოპერო საშემსრულებლო ხელოვნების ვარსკვლავებთან არაერთი აოეული წელი უთანაშშ-რომლიდა. მათ შორის საკმარისია დავასახელოთ ზურაბ სოსკილავა, მაყვალა ქასრაშვილი, ლამარა ჭყონია, ელენა ობრაზცოვა (რომელთანაც 30 წელი ითანამშრომლა), ირნა არჩი პოვა და სხვ. თბილისში მოღვაწეობის პერიოდში იგი თანამშრომლობდა ქართველ ინსტრუმენტულისტებთანაც.

მოსკოვისა და თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, პედაგოგი, რომელმაც არაერთი თაობა აღმარდა, მათ შორის: დენის შაცუევი, რემ ურასინი, ლუბოვ გეგეჭკორი და სხვ. მან შეადგინა სახელმძღვანელო „კონცერტუმაისტერის ხელოვნებას“. სამწუხაოდ, ამ რანგის მუსიკოსის გარდაცვალებამ სათანადო გამოხმაურება ვერ ჰქოვა ქართულ მედიაში. სამაგიეროდ რუსეთში (სადაც იგი 1977-ლიდან 2009 წლამდე მოღვაწეობდა, იყო მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი) (1994), ხოლო 2000 წლიდან საკონცერტუმაისტერო ხელოვნების კათედრის გამგე), რომელიც მან 2008 წლის ავგისტოს ომის გამო დაუღოვა, ვაჟა ჩაჩავას გარდაცვალების სრავიკულ ფაქტს დიდი გულისუკივილით გამოეხმაურნენ. რადიოარხმა „*Эхо Москвы*“-მ სპეციალური, ერთსაათანი შესანიშნავი გადაცემა მიუძღვნა ვაჟა ჩაჩავას შემოქმედებას, ამ ვაჟუმორებელ პიროვნებას, არუსისტს.

საქართველოს კომპოზიტორთა კაფშირი, უურნალ „მუსიკის“ რედაქცია დიდ გულისუკივილს გამოთქვამს ამ ფაქტს ვამ და მკითხველს ბ-ნ ნოდარ ანდულაძის გამოსათხოვარ ნერილთან ერთად სთავაზობს ამონარიდებს რადიოარხ „*Эхо Москвы*“-ის გადაცემიდან „საოპერო კლუბი“, რომლის წამყვანები არიან თეატრმცოდნე, მუსიკალური კრიტიკოსი, ლიბრეტისტი, მთარგმნელი და პოეტი ალექსეი პარინი და პაველ სოკარევი – დიდი თეატრის პრეს-სამსახურის წამყვანი უურნალისტი, მენეჯერი, პროდიუსერი.

# რასმა პარვი აგივია

შეწყდა უდიდესი ქართველი მუსიკოსის ვაჟა ჩაჩავას გულისცემა.

თბილისის კონსერვატორიაში გამეფებულმა აუტანელმა მოვლენებმა წელში გაწყვიტეს ვაჟა ჩაჩავას გმირული სული. მისი მოღვაწეობა ბოლო თრი წლის განმავლობაში, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, საოცარი აქტივობითა და უმაღლესი რანგის მოღვაწეობით გამოვლინდა, რაც უქნარებმა ვერ აიტანეს. მას აეკრძალა შემოქმედებითი მუშაობა, გამოაძევეს ბოძებული კლასიდან და ვ საათზე მეტი მუშაობის უფლება არ მისცეს კონსერვატორიაში.

ეს საყვედურები გამოხატავდა ძველ ქართულ შეუფარ-დებლობას მხატვრულ შთაგონებასა და მორჩილებას

შორის. სწორედ აქ გამეორდა დიდი კონსტანტინე გამ-სახურდიას ნათევამი არსაკიძეზე: „ხეკორძულას წყალი მისვამს მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, მეღავი მომჭ-რეს, რატომ კარგი აგივია“.

ვაჟას წასვლა მიგვანიშნებს, რომ საქართველოს კულ-ტურულ ცხოვრებაში შეწყდა სულიერი დღესასწაულები, ყოველივე დაიყვანება პროვინციულ ტიკტიკზე.

ჩვენ მივირთ ვაჟას და მწუხარებას გამოვუთქვამთ ქართველ ხალხს, რომელმაც დაკარგა სულიერი გმი-რი, რაინდი და მსოფლიო კლასის მუსიკოსი.

ცოდარ ანდლულაძე

07.10.201



ნოდარ ანდოლაძე და ვაჟა ჩაჩავა

### რადიო „Эхо Москвы”

გადაცემა „საოპერო კლუბი” – პროგრამა ეძღვნება  
ვაჟა ჩაჩავას ხსოვნას

09.10.2011

ალექსეი პარინი – დიდი ხანია არ ვყოფილვართ  
პირდაპირ ეთერში. დღევანდელი გადაცემა დაკავშირებულია სამწერაო მოვლენათან: ამა წლის 6 ოქტომბერს, რამდენიმე დღის წინ, გარდაიცვალა ვაჟა ჩაჩავა, შესანიშნავი მუსიკოსი, უდიდესი პიანისტი, მრავალი მომღერლის აკომპანიატორი, ადამიანი, რომელმაც მოსკოვის მუსიკალურ პროცესებს მისცა ძალიან ბევრი რამ. ჩვენ მას ვიცნობდით პირადად. ჩემთვის იგი იყო ახლობელი ადამიანი, რომელთანაც მე განვიხილავდი სხვადასხვა მოვლენებს, შემოქმედებითსაც და პოლიტიკურსაც და როგორსაც გნებავთ... ჩემთვის პირადად ეს უდიდესი დანაკარგია.

პაველ ტოკარევი – ... რა თქმა უნდა, მასშტაბი ვაჟა ჩაჩავას პიროვნებისა უბარმაზარია – არა მხოლოდ როგორც კონცერტმაისტერისა და პიანისტის, არამედ

როგორც ძალიან დიდი მუსიკოსის. გამოჩენილი მომღერლების უდიდესი ნაწილი, ვფიქრობ, გლოვობს, და საერთოდ, რუსეთის მუსიკალური საზოგადოება გლოვობს დღეს, გლოვობს ამ დღეებში...

ალექსეი პარინი – ... მინდა მოგიყვეთ, როგორ გავიცანით ჩვენ ერთმანეთი. ეს იყო 25 წლის წინ. იმ ხანებში მზადდებოდა მომღერლისა და აკომპანიატორის ჯერალდ მურის მოგონებების წიგნი „მოგონებები და ფიქრები მუსიკზე”, მე, რომელიც ვიყავი შემდგენელი ამ წიგნის, მესმოდა, რომ არის ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია მისთვის წინასიტყვაობის დაწერა, ეს იყო ვაჟა ჩაჩავა. ჩვენ მას შევცემოდით შორიდან, როგორც რაღაც ეგზოტიკურ არსებას – ქართველი, უბარმაზარი ქერა გრუბა თმით, ჩვენ ის შორიდან უცნაურად გვეჩვენებოდა, მაგრამ როდესაც ის ინუბდა დაკვრას, მთელი უცნაურობა სადღაც ქრებოდა. და აი, მივედი მასთან... თვითონ არ წერდა, ის პრაკტიკულად ისე მკარნახობდა ტექსტს, რომ ჩასწორებას არ საჭიროებდა, საჭირო იყო მხოლოდ ყურადღებით ჩაგენერა

ყველაფერი. ტექსტს, რომელიც მაშინ შეიქმნა, პირდა-პირი კავშირი აქვს თვით ვაჟა ჩაჩავასთან და იმასთან, თუ როგორ ესმოდა მას თავისი პროფესია. შესავალ სტატიას ჰქვია „აკომპანიატორ-შემოქმედი”... ის ბევრს წერს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს შემოქმედი: „არცთუ უმინშენელო როლი მური-შემოქმედის ჩამოყალიბებაში შეასრულა მისმა წარმოსახვის ძალაში. თუ ადამიანს არ აქვს წარმოსახვა, მას საერთოდ არა აქვს უფლება ატაროს შემოქმედის წოდება: „წარმოსახვა ფუნდამენტური თვისებაა, გადამწყვეტი ნიშანი პიროვნების, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მხატვრული შემოქმედების უნარს. როგორი ბუნებრივი ფიზიკური მონაცემებიც არ უნდა ჰქონდეს ადამიანს – განსაკუთრებული ხელები, ლამაზი ხმა, ის ვერ შეცვლის წარმოსახვას. თუ ეს არ არის, არტისტულ გზაზე გაფიქრებაც კი არ შეიძლება”.

ვაჟა ჩაჩავა უსაზღვროდ შეყვარებული იყო მისთვის იმ უმშვენიერეს პროფესიაში, რომელსაც მთელი თავისი ძალები და ცხოვრება შესწირა. ამ სიყვარულს ის მსმენელსაც გადასცებდა, ისევე როგორც, დარწმუნებული ვარ, არ შეიძლება არ მიიჩიდოს მკითხველი თავისი საინტერესო, გრძნობებით და აზრებით დატვირთული წიგნით.

**პაველ ტოკარევი – ნამდვილად ასეა... ეს იყო საოცარი, ენციკლოპედიური ცოდნის ადამიანი, რომელმაც გასაოგებლად იკოდა ლიტერატურა... ბევრ მუსიკოსს შევსვედრივარ, მათ შორის აკომპანიატორებს, კონცერტმასისტერებს, ძალიან განათლებულებს თავიანთ სპეციალობაში. დასა, ისინი არიან კარგი აკომპანიატორები, შეპყრობილი თავის პროფესიით, მაგრამ ვაჟა ჩაჩავასთან შედარებაც არ შეიძლება, ის იმდენად უფართოვესი დიაპაზონის მქონე შემოქმედებითი პიროვნება, მუსიკოსი იყო... ის მუშაობდა ასევე დრამატულ თეატრში...**

**ალექსეი პარინი – ...რა თქმა უნდა, იგრძნობოდა უბარმაზარი პიროვნული მასშტაბი და უწნაურია, რომ ის როგორც სოლისტი არასდროს არ გამოდიოდა... მე ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისი ვარ, რადგან მომისმენია როგორ უკრავდა სოლოს ვაჟა ჩაჩავა. 1996 წელს, ფესტივალზე „**Sacro Art**”, ქალაქ რებურგლოკუმში, მე ვიყავი ამ ფესტივალის სამხატვრო ხელმ**

ძღვანელი, მივიწვიე ვაჟა ჩაჩავა და ასმიკ პაპიანი. ისინი ასრულებდნენ კომიტასის სიმღერებს... ჩვენ ჩავედით რებურგ-ლოკუმში და წავედით იქ, სადაცაა მონასტრის რეფერენტორიუმი (სატრაპეზო – მ.ჯ.), სადაც უნდა შემდგარიყო კონცერტი. მე ვერძნობდი, ვაჟა მიდიოდა შინაგანად დაძაბული, ის შევიდა დარბაზში, მივიდა როიალთან, დაჯდა და დაგუგუნა ლისტი... ეს იყო სრულიად ფენომენალური რამ... ნამდვილად გაუგებარია, ასეთ ადამიანს როგორ შეეძლო, გარკვეული თვალსაბრისით, ჩაკეტილი ჰყოლოდა საკუთარი თავი... ვაჟა ჩაჩავას გაქანება, როგორც შემოქმედი პიროვნებისა, მუდავნდებოდა ყველაფერში. რა თქმა უნდა, ყოველი მომღერალი საკუთარი პიროვნებიდან გამომდინარე აგებს თავისი საკონცერტო პროგრამას, მაგრამ მე ვიცი, რამდენის გასცემდა ის თავისი ცოდნას, პროგრამის შედგენის უნარს, მაგალითად, როდესაც ელექნა ვასილევნა ამზადებდა თავი პროგრამას. გარკვეული პერიოდიდან მე არ ვაცდენდი მათ არცერთ კონცერტს... არ შემიძლია დავივიწყო ფრანგული მუსიკის კონცერტები, რომლებიც სრულიად განსაკვიფრებლად უდერდა ორივეს მხრიდან... მასხოვეს, როდესაც გაჩნდა ახალი მასალები, როცა გაჩნდა პულენკი, გაჩნდა კურტ ვაილი, როცა ვაილის ბონგები (der Song – მ.ჯ.) დაუკრეს და იმღერეს ისე, რომ ვიფიქრეთ, საერთოდ სხვა დროში შევდით, თითქოსდა სრულიად განსაკუთრებული რაღაც გაჩნდა ჩაჩავას და ობრაზკოვას ურთიერთქმედებაში. აი, ასეთ, აბსოლუტურ ბეშთაგონების მომენტებს, როცა დარბაზს სული ეკვრება, როცა დარბაზი სუნთქვაშეკრული ისმენს, იშვიათად შეხვდებით ცხოვრებაში... მისი უნარი განბავებულიყო მუსიკაში, სტილის ფაქტი, დახვეწილი ცოდნა, – ეს, რა თქმა უნდა, იმ პიროვნების თვისებაა, რომელსაც ვაჟა ჩაჩავა წარმოადგენდა.... მან იცოდა სახვითი ხელოვნება, კარგად იცოდა ახალი ხელოვნებაც, ფლობდა უბარმაზარი ცოდნას და ყველაფერი ეს გამოიხატებოდა სულის უშუალო მოძრაობაში, რომელიც შემდეგ ბეგერებში აისახებოდა... ვაჟას, როგორც არტისტულ პიროვნებას, არ შეეძლო მშვიდად შეგუებოდა ადამიანებს, რომლებიც ძალიან საღად მოაზროვნენ იყვნენ, იმიტომ, რომ ის არტისტიმის განსხეულება იყო.

**პაველ ტოკარევი – ...ჩვენ გვაქვს ორი მომღერლის**

ჩანსწერი, რომლებსაც ძალიან უყვარდათ ვაჟა ნიკოლაევიჩი და არც შეიძლებოდა არ გყვარებოდათ იგი, იმიტომ, რომ ის იყო უბარმაზარი ხიბლის მქონე პიროვნება.

**მაყვალა ქასრაშვილი (დიდი თეატრის სოლისტი, დიდი თეატრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი)** – უბარმაზარი სევდა ყველასთვის, ვისაც ნილად ხვდა ბედნიერება ემუშავა, ეცხოვრა, ურთიერთობა ჰქონდა მასთან, როგორც უდიდეს მუსიკოსთან და არცისტთან... ვფიქრობ, რომ ეს უბარმაზარი დანაკარგია არა მხოლოდ რუსული და ქართული, არამედ მთელი მუსიკალური სამყაროსთვის. ის ბევრ ქვეყანაში გამოდიოდა ჩვენ შესანიშნავ მომღერლებთან ერთად – ელენა ობრაბცოვასთან, ვლადიმერ ჩერნოვთან და სხვა. ჩვენ ვარსკვლავებთან. ჩვენ გვქონდა იმედი, რომ ის კიდევ ბევრს შექმნიდა სკენაზე და ვიცი, რომ ელენა ობრაბცოვას უნდოდა მასთან ერთად თბილისში, სადაც ბოლო ხანებში ასწავლიდა ვაჟა ჩაჩავა, სოლო კონცერტი გაემართა, ახალი პროგრამა მოემზადებინა... მისთვის მოძაკვდინებელი იყო იმის გაგება, რომ ვაჟა ჩაჩავა უკვე აღარ არის – საოცარი ადამიანი, მეგობარი და ამხანაგი. ვიცი ელენა ვასილევნა როგორ ვანიცდის, უბრალოდ ქვითინებს. მისთვის ეს შოკი იყო... ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გაგვიყინობიერებია რა დავკარგეთ და ეს აღმატებითი სიტყვები კი არაა, ეს სიმართლეა, იმიტომ, რომ იშვიათად შეხვდებით ჩვენ პროფესიაში ისეთ შერწყმას, როგორიც მასში იყო – გამაოგნებელი ცოდნა, ოსტატია, რომელსაც ის გასცემდა და ვასნავლიდა ყველა ჩვენგანს და ახალგაზრდა მომღერლებს, რომლებთანაც ის მუშაობდა აქაც, მოსკოვის კონსერვატორიაში და ყველგან... მოგზაურობდა მთელ რუსეთში – მას ინვევდენ მასტერკლასებზე და ეს იყო გამაოგნებელი გაკვეთილები ოსტატისა. იმ ადამიანებისთვის ვინც მას შეხებია, ვაჟა ჩაჩავა ყოველთვის იქნება მათ გულებსა და მეხსიერებაში...

**ზურაბ სოფკილავა (დიდი თეატრის სოლისტი, მოკვის კონსერვატორიის პროფესორი) – ... მე დავკარგე მეგობარი, მეგობარი, რომელიც მე ბევრ რამეს მასწავლიდა, რომელმაც გამიღვივა კამერული მუსიკის სიყვარული, მეცადინეობდა ჩემთან კამერულ მუსიკაში. რომ არა ის, შესაძლოა მე ეს მუსიკა არასდროს მემ-**

ღერა, რომ არა ეს ადამიანი, ჩემს გვერდით ჩაიგლიდა უდიდესი მუსიკა. ამ ადამიანის წყალობით დავკავდი ამით... ისაა ჩემი პირველი კონცერტმასტერი თბილის საოპერო თეატრში. მასთან მოემზადე „რიგოლეტო“ – არასდროს დამავიწყდება!... მაშინ ეს ჩემთვის იყო ძალიან მძიმე, ძალიან რთული... პირველი სპექტაკლი ჩავარდა – ავად ვიყავი, მეორე სპექტაკლი-სათვის ვემზადებოდით თვევანახევარი – ვმკურნალობდი და ვმეცადინეობდი მასთან. არასდროს დამავიწყდება, როდესაც სპექტაკლის დასასრულს ავიღე ბოლო ბერა... მახსოვს ამ სი-ს მერე როგორ მომვარდა და რა ბედნიერი იყო იმით, რომ ჩვენ ასე კარგად ვიმღერეთ მთელი სპექტაკლი. შემდეგ ბევრი გამოსვლა ვაკინდა ერთად – ვიმარჯვებდით კონკურსებში: ბულგარეთში, მოსკოვში და რაც მთავარია, ესპანეთში, ბარსელონაში, სადაც ჩვენ ავიღეთ გრან-პრი. იქ იყო ელენა ობრაბცოვა, რომელიც ვაისმენდა, ისმენდა ჩვენს მეცადინეობებს და სწორედ მაშინ მითხრა: „მე შენ წაგარმევ ამ ბიჭს“ – ი. მართლაც, მან ყველაფერი გააკეთა, რომ ვაჟა მოსკოვში ჩამოეყავანა, უბრუნველპყო მისთვის ბინა, მოსკოვის კონსერვატორიის გვერდით. ვფიქრობ, რომ ვაჟა ჩაჩავა იყო მოსკოვის კონსერვატორიის მშვენება, მან თავისი მეცადინეობებით, მან აქ ყოფნით გაამდიღრა მოსკოვის კონსერვატორია... ეს უშარმაზარი დანაკარგია ქართული კონსერვატორიისთვისაც, სადაც იგი ბოლო ხანებში მუშაობდა; დიდი დანაკარგია იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც მივიდნენ კონსერვატორიაში სასწავლად და იმათოვისაც, ვინც მომავალში მივლენ. ამიერიდან საქართველოში მრავალი, მრავალი წლით ჩამოვრჩებით ამ სფეროში. ამიტომაც, ეს უბარმაზარი მუსიკალური დანაკარგია ჩემი ერისთვის....

მასალა მოამზადა

მასალა მოამზადა



პარენტების თაობარაპი, ილია ლომთათიშვილი, ელისო პოლკვაპი, გვარეა ქობალია ლევანი ინავოლი გურაჯ ჭიათურეა დომინიკი.

# „SOS TALENTS“

პიანისტთა საერთაშორისო ფონდი – „SOS TALENTS-MICHEL SOGNY“-ის ინიციატივით ამა წლის 19-25 აგვისტოს, სამ ნორჩ პიანისტთან ერთად გავემგზავრე შვეიცარიაში, ქალაქ რუსმონში და მივიღეთ მონაწილეობა მიშელ სონის მიერ ორგანიზებულ კონცერტებსა და მასტერკლასებში.

მიშელ სონი – ცნობილი პედაგოგი, კომპოზიტორი და პიანისტი, ფორტეპიანოზე სწავლების უნიკალუ-

რი მეთოდის ავტორი, დამაარსებელი ფონდისა „SOS TALENTS-MICHEL SOGNY“

ფონდი უკვე 10 წელზე მეტია არსებობს და მისი ძირითადი მიზანია ახალგაზრდა ნიჭიერი პიანისტების ხელშეწყობა და მათი საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანა. ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ბოლქვაძე ფონდის დაარსების დღიდან აქტიურ მონაწილეობას იღებს ქართველი ტალანტების ხელშეწყობაში.



ლევან ინაზოლი, ბარბარე თამარაძე, მოხალ სონი

ფონდის პარტნიორები არიან: „დასო ჯგუფი” (Dassault Group), გამგეთი „ფიგარო” („Figaro”), ტელეარხები ევრონიუსი (euronews) და მეცო (Mezzo). ფონდი „სოს-ტალანტები” თანამშრომლობს ისეთ კონკურს-თან, როგორიცაა ყველაზე პრესტიჟული – დედოფალ ელისაბედის კონკურსი ბელგიაში.

მიშელ სონის სახელს უკავშირდება ნიჭიერი, ახალ-გაზრდა თაობის წარმომადგენელი პიანისტი ხატია ბუნიათაშვილი, რომელიც უკვე 1998 წლიდან მონაწილეობას იღებდა მიშელის მიერ ორგანიზებულ მასტერკლასებსა და კონცერტებში „villa-scenicდლერ” / ავსტრია/. ფონდის სტანდიანტები არიან თამარ და ნათია ბერაიები, ანა გოგავა, ანა ყიფიანი, თედო დიაკონიძე, რომელმაც სულ ახლახანს მოიპოვა გრან-პრი ლიტერატურის, პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე. ანა ყიფიანი კი დღემდე ფონდის სტანდიანტია, მან ფონდის დაფინანსებით მიიღო მონაწილეობა შვეიცარიაში, ვერბის საერთაშორისო ფესტივალის მასტერკლასებში და გახდა ვერბის ფესტივალის საპატიო ელჩი. (ამის შესახებ უკვე აღინიშნა ჩვენი ურნალის ფურცლებზე – რედ).

2011 წლის აგვისტოს მასტერკლასებში მონაწილეობის მიღება და გამგზავრება შერჩევით მოხდა,

კულტურის სამინისტროში გამართულ კონცერტზე. შეირჩა სამი პიანისტი. ესენი იყვნენ: გვანცა ქაბალია (VII კლ.), ილია ლომთათძე (II კლ.) – №27 სამუსიკო სკოლა, პედ.: ნანა სუთიძე, და ბარბარე თათარაძე (ნანა ჭყონიას აღმზრდილი, ამჟამად სწავლობს №1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელში, პედ.: ლევან ინაშვილი). უნდა აღინიშნოს, რომ ეს პატარა პიანისტებისათის უბარმაზარი გამოცდილება და დაუკავშირი შთაბეჭდილებები იყო.

შვეიცარიაში, მასტერკლასებზე ქართველი პიანისტების გარდა სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული პიანისტებიც მონაწილეობდნენ. ქართველმა შემსრულებლებმა ქართველი პიანისტური სკოლა საუკეთესო მხრიდან წარმოაჩინეს. ამიტომაც, სამივე მიწვეულ იქნა პარიზში, შანბელიზეზე, 13 დეკემბერს გალა კონცერტში მონაწილეობის მისაღებად. ამ ფონდის კონცერტები სისტემატურად იმართება პარიზში და ხშირად გადაიცემა პირდაპირ ეთერში ტელევიზით თუ რადიოთი.



# ეთერ მგალობლიშვილი — ასეთები ერთეულებია

ეთერ მგალობლიშვილის საიუბილეოდ

უკვე წლებია დამკვიდრდა ურადიცია — თბილისში საკონცერტო სეზონის გახსნას საორგანო მუსიკა გვაუწყებს, სოლისტი კი, ბუნებრივია, ქნი ეთერ მგალობლიშვილია. ბუნებრივია, იძირომ, რომ ერთადერთი ქართველი კონცერტანტი-ორგანისტი გახლავთ და

ამასთან პირველი პროფესიული ორგანისტი საქართველოში. დარბაზი მუდამ სავსეა, ხოლო მსმენელთა მოლოდინი მუდამ გამართლებული. მავანი იფიქრებს, კონცერტიდან მუსიკის მოსმენით მიღებული სიამოვნების გარდა სხვა, აბა, რა მოლოდინი არსებობს. საქ-

## საკონცერტო ცემოვნება

მე ისაა, რომ ქ-ნი ეთერის კონცერტებიდან გამოსულ მსმენელთა სახეებს, თვალებს რომ დავკვირვებივარ, შემინიშნავს, რაღაც ნათელი რომ მოჰუნიათ, რაღაც სულიერი სიმშვიდე და ზეანული განწყობა სჭვივის მათ გამოძებულებაში. რით ვხსნი ამას?

ორგანი დაბადებიდან სასულიერო მუსიკას დაუკავშირდა. მართალია, შემდგომ საერო ცხოვრებაშიც თვალსაჩინო როლს თამაშობდა, მაგრამ XIX საუკუნით დაწყებული უკანა პლანზე გადაინია, საერო მუსიკაში პირველობა დათმო, იშვიათად თუ სტუმრობს ამ საკრავს კომპოზიტორთა შთაგონება. ერთეულები თუდა წერენ საორგანო მუსიკას და ასევე ერთეულები ეწევიან ორგანისტი-კონცერტანტის მოღვაწეობას. ქ-ნი ეთერი ამ ერთეულთა შორის მენინავე ადგილს იმკვიდრებს.

საქართველოში ორგანი კომპოზიტორთა არა, მსმენელთა სიმპათიას კი, ნამდვილად, ჯერაც ინარჩუნებს. ამაში თავად ორგანის, საკრავთა მეფედ შერაცხული ინსტრუმენტის გარდა, და, შესაძლოა, მეტადაც, ქ-ნი ეთერ მგალობლიშვილის დამსახურებად მივიჩნევ. მის კონცერტებს არასოდეს აკლია ერთგული მელომანი, დარბაზი მუდამ ივსება. ხოლო თუკი კონცერტი საქველმოქმედოა (ეს კი არცთუ იშვიათობაა), აბა, მაშინ ნახეთ რა ხდება — პარტერი რა სათქმელია, იარუსები ძლიერ იტენის მსმენელს, ფეხზეც დგანან. ასაკობრივი მომცველობა? — სკოლის მონათეებით დაწყებული, მოხუცებით დამთავრებული. თუმც იმასაც გავიხსენებ, ერთმა მუსიკისმცოდნემ, განათლებულმა, საკონცერტო ცხოვრების აქტიურმა მონაწილემ, ერთხელ ნაღვლიანი გაკვირვებით მკითხა — „ორგანი მოგწონს? როგორ?! მე იგი არაფერს მეუბნება, სრულიად გულგრილი ვარ ამ ინსტრუმენტისადმი.“ რას იბამ, გემოვნება, ცნობილია, საკამათო არაა. იქნებ, საქმე ისიცაა, ევროპულ საკრავთა შორის ორგანი საქართველომ ყველაზე გვიან რომ გაიცნო. თავდაპირველად კათოლიკურ ეკლესიაში ააგეს, მღვდელთმასახურების საჭიროებისათვის. საკონცერტო ცხოვრებაში კი მხოლოდ XXI. 60-იანი წლებიდან მოიკიდა ფეხი.

რად მიმაჩნია, ორგანი ჯერ კიდევ პოპულარული რომაა ჩვენში და რომ ქ-ნ ეთერის დამსახურებას ლომის წილი მიუძღვის ამაში? ეთერ მგალობლიშვილი

იშვიათი პიროვნება გახლავთ. ორგანის თავდავიწყებულ სიყვარულთან ერთად საქმიანობაში, ვფიქრობ, მოყვასის სიყვარულიც ამოძრავებს, სურვილი — სიხარული მიანიჭოს ადამიანს. რამდენჯერ მიესულვარ მის კონცერტზე ყოველდღიური ფიქრებით დამძიმებული, აფორიაქტული, დათრგუნული, და, ტაქტიდან ტაქტისკენ მიგრძნია, თუ როგორ მეუფლებოდა სულიერი სიმშვიდე, ვევდებოდი, ფორიაქი ჩემი ამა სოფლის ამაოებას რომ ნიშნავდა, წვრილმანი, ფუჭი რომ იყო, არაფრად ლირდა. ფასეულობა იმ მშვენიერ სამყაროში მკვიდრობდა, რომელსაც ორგანი გადაგვიმლიდა. და მეს ნელინელ თითქოს სულიერად ვმაღლდებოდი, კონცერტიდან გამოყოლილი ნათელი განწყობა დიდხანს მასულდგმულებდა, ცხოვრებისეულ წინააღმდეგობათა გადალახვაში ძალას მმარებდა. იქნებ სხვასაც დაუფლებია მსგავსი განცდა.

კიდევ რითაა გამორჩეული ქ-ნი ეთერის მოღვაწეობა? კადა, მაღალი პროფესიული სინჯით, ამ „მძიმე“ საკრავის ფლობის სრული ტექნიკური თავისუფლებით. მაღალი კლასის შემსრულებელთა შეფასებისას ტექნიკური განაფლობა აღარავისთვისაა გასაკვირი. ეს თავისთავად უნდა იყოს. ორგანის დაკვისას კი ფიზიკური ძალაც აუცილებელია. გავიხსენებ, შესრულების პროცესში ოთხივე კიდური მუსიკოსისა აქტურად მონაწილეობს, სრულ „საბრძოლო მზადყოფნაში“ უნდა იყოს. მაგრამ ამის აღნიშვნა, ვგონებ, შეავინწროვებდა ქ-ნი ეთერის ლირსებათა წრეს. იგი მუსიკოსი-მოაზროვნეა, მუსიკოსი-განმანათლებელი. თითოეული მისი კონცერტის პროგრამას წვრილმან დეტალებში გააჩრება ახასიათებს, მკაფიოდ ჩამოყალიბებული დრამატურგია აქვს. ქრონოლოგიასთან ერთად აქ გათვალისწინებულია მხატვრული შინაარსი ნანარმოებისა და ემოციური ზემოქმედების მუხტი. პირველი ბერებით დაწყებული პროგრამა ისე ვითარდება, ბოლო ნანარმოებმა ემოციურ მწვერვალზე რომ აგვიდოს, ბეიმური ბერებით აავსოს დაბაზიკა და მსმენელიც. არ მახსენდება კონცერტი, როცა მსმენელი, უკასკნელი ბერის გაუდერებისთანავე ზეზე არ წამოქრილიყოს და მხურვალე ტაშით არ გამოეხატოს მადლიერება იმ დიდი სიამოვნებისათვის, მუსიკაში განვლილმა დრომ რომ მიანიჭა. და ეს ემოცია, როგორც ვთქვი, მე პირადა,

დიდხანს გამყოლია თან. ეს თავისებურება ქ-ნი ეთერის შემოქმედებისა რამდენიმე გასტროლიორი ორგანისტის კონცერტის შემდეგ კიდევ უფრო დავაფასე. მათ კონცერტებზე თავი დამიჭრია იმაზე, მუსიკის სმენის პარალელურად გულგრილი ცნობისმოყვარეობით თუ რარიგ ვათვალიერებდი გარშემოყოფთ, რარიგ გამირბოდა ფიქრი ცხოვრებისეულ პრობლემებსა, თუ იმაზე, კონცერტი რომ ჭიათურდებოდა, გვიან როგორდა დავბრუნდებოდი შინ.

ქ-ნი ეთერის ერთ-ერთი მიზანი ისევაა, რაც შეიძლება მეტ უცნობ ნაწარმოებს გვაჩიაროს, ამდენად უსაზღვროდ ფართოა საკონცერტო ნაწარმოებთა ისტორიული სივრცე. XIV საუკუნით, ან უფრო ადრინდელი დროით დაწყებული, XX საუკუნის ჩათვლით. გეოგრაფიული საზღვრებიც, რა თქმა უნდა, ვრცელია. ვგონებ, არ დარჩინოლა კომპოზიტორი, ნიდერლანდელი თუ ფრანგი, ინგლისელი თუ ქართველი, სხვა და სხვა, ქ-ნ ეთერს რომ არ წარედგინა თბილისელი მსმენელისათვის (ან სანოტო მასალაზე როგორ მიუწვდება ხელი?!). საკონცერტო პროგრამების დიდი ნაწილი საპრემიეროა. ქ-ნი ეთერი პირველად გვაჩიარებს ხოლმე იმ უმშვენიერეს სამყაროს იბაკის, ბუქსტეჰუდეს, პაპელბელის, ბახის, ჰენდელის, მესიანის თუ სხვათა შემოქმედება რომ ჰქვია. ამრიგად, ჩვენ წინაშე იბადება დიდი და პატარა შედევრები, საორგანო მუსიკის რიგით თხზულებები, ხოლო კონცერტი, ყოველთვის დღესასწაულია, დღე ესე სასწაული!

არცთუ შორეულ წარსულში, ქვეყნის ავბედობის უამს, ჩვენ, უშექო, გაუმთბარ ბინებში როცა ვიყავით შეყუულები, უიმედოდ რომ ვუშერდით მომავალს, ქ-ნი ეთერი ციმციზ დილას ფეხით გაუდგებოდა გბას კონსერვატორიის დიდი დარბაზისაკენ, მიუჯდებოდა ინსტრუმენტს და გაყინულ კლავიშებს თითებითა და სულიერი ძალებით ათბობდა, გვიმზადებდა ზეიმს – კონცერტს! ეს არტისტული გმირობა იყო!

რად ღირს თუნდაც კონცერტებისათვის წამდლვარებული მისი შესავალი საუბრები. ინფორმაციის რარიგი ტევადობით ხასიათდება მისი თითოეული ასეთი კომენტარი, ისტორიული ექსკურსი. რამდენს გვაუწყებს ჩვენთვის უცნობი კომპოზიტორის, ეპოქის, ნაწარმოების შესახებ. ან კიდევ საყოველთაოდ ცნობილ კომპოზი-

ტორთა შემოქმედებისა და ცხოვრების რა საინტერესო დეტალებს გადააცლის ხოლმე მივიწყების ფერფლს. ამგვარი შესავლის შემდეგ ნოტებში „დაშიფრული“ შინაარსი ხომ კიდევ უფრო გასაგები, მისაწვდომი ხდება.

არცთუ იშვიათობაა ქ-ნი ეთერი კონცერტებში ახალბედა მუსიკოსებს რომ დაიყენებს შეარში. ერთიმშრივ მათ შესასწავლის, შეაყვარებს საორგანო მუსიკას, მეორე მხრივ კი მსმენელთან შეხვედრის პირობას უქმნის. რაც მთავარია, იმ ზეიმში მონაწილეობის ბენდიერებას ანიჭებს კონცერტი რომ ჰქვია. ეს ახალგაზრდობის ნდობაცაა, პატივიც.

ქ-ნი ეთერი ღრმად მორწმუნე ადამინი რომაა, ეს თუნდაც იმაში სჩანს, კონცერტების გარკვეულ ნაწილს (თუკი ამის შესაძლებლობა მიეცა) უსადაგებს ქრისტიანულ დღესასწაულებს – შობას, ხარებას, აღდგომას ... ეს კონცერტები საქველმოქმედოა. ხშირად რიცხალს მავნებებს.

ქ-ნი ეთერის პირველული პორტრეტის ცალკეულ დეტალსაც აღვნიშნავ.

საკვირველია, მაგრამ ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ქ-ნ ეთერს „მძიმე ხასიათის ქალის“ სახელი აქვს გავარდნილი. ჭეშმარიტად! მართლაც მძიმედ განიცდის იმ ყველაფერს, რაც საქართველოში ორგანის ბეჭდ ეხება. მძიმე ფიქრები იპყრობს საქართველოში ორგანისტთა ახალ კადრებზე ჯეროვანი ბრუნვა რომ არაა, და რომ იგი, ლამისაა, ქართველ ორგანისტ-კონცერტანტის უკანასკნელი მოჰიკნდეს (არის ამის საშიძლოება!). მტკიცნეული იყო მისი განცდა, ორგანის თბილისში წლობით რომ დუმდა. შეუპოვრად იბრძოდა, როცა კონსერვატორიის დიდი დარბაზის გარემონტების დროს ორგანს „გასალამბებლად“ გადაღებვა დაუპირებს, იმ ხარისხის საღებავი კი ტეშბრს დაუზიანებდა. შფორთავს და ღელავს კონცერტის დაწყებას მავანი ჩინოვნიკის ნებასურვილით მოულოდნელად რომ გადაუვადებენ და ამის გამო მსმენელს საათნახევარს ალოდინებენ. მძიმედ განიცდის და შეუპოვრად აპროტესტებს, როცა სამეცადინო საათებს უზღუდავენ. მას კი მხოლოდ ერთგან, მხოლოდ კონსერვატორიის დიდ დარბაზში აქვს მუშაობის პირობები. ხმალამოლებული იბრძვის, როცა ერთადერთ საკლასო ოთახს,

## **საკონცერტო ცემოვნება**

სადაც პატარა სამეცადინო ორგანი იდგა – უსპობენ. მძიმე, ნამდვილად „მძიმე ხასიათის აღამიანი” გახლავთ. ასეთები ერთეულებია!

კონცერტებზე შევი სამოსით გამობრძანდება ხოლმე, რაც ამძაფრებს კონცრასტს იმ ნათელ სამყაროსთან, რომელსაც მისი ხელოვნება გვაზიარებს. ქათქათა საყელო, ან კიდევ მიბწეული სისხლისფერი პანია ვარდი სულის სისპეტაკესა და გულის მურვალებას მიმანიშნებს.

დავარღვევ კანონს – ქალბატონთა ასაკს რომ არ იხსენებენ და ვიტყვი: მაოცებს მასში სოლიდური ასაკის მიუხედავად ახლგაბრდული, მგზნებარე სული. მაოცებს მოკრძალება, თავმდაბლობა და მასთან შებავებული ხელოვნის ნებისყოფა, პროფესიულ საკითხებში შეუვალი სიმტკიცე, ცხოვრების ლამის ასკეტური წესი და სიცოცხლის ტრფიალი. მაოცებს პროფესიული ღრმა ერუდიცია და ყოფით საკითხებში უმნეობა. მაოცებს ის უმრეცი ოპერიმიზმი, რომლითაც იგი შეებრძოლა ფეხის მოტეხვას და ხორციელ ტკივილს კი არა, ვაი თუ დაკვრა ვეღარ შევძლოო, იმას გულმტკივნეულად რომ განიცდიდა. მაოცებს დამწყებ მუსიკოსსავით აჭარს-ლებული მისი სახე და ღელვა ყოველი კონცერტის დაწყების ნინ. მაოცებს ის სიმსუბუქე, რომლითაც იგი „შეკურდება” ხოლმე ორგანის მაღალ სკამზე. მაოცებს მამაკაცისათვის შესაშური ის ძალ-ღონე, მხნეობა, ხელის ჩამორთმევისას რომ მივრძვნია. მაოცებს იუმორის გრძნობით თუ როგორ იმშვიდებს თავს პროფესიულ საკითხებში წინააღმდეგობებთან შეჯახებისას. რამდენი გვიცინია, მავანი მუსიკოსის აქტიურ საქმიანობას როცა ზუსტად მოერგო, დიდი ილიას ბრძნული გამონათქვამი: „უსაზღვროა უვიცობის სიმამაცე”. მაგრამ რაა გასაოცარი. სწორედ ესაა ქ-ნი ეთერის, სრულიად არაორდინარული ბუნება ...

დიდი ხანია სურვილი გვაქვს ურნალ „მუსიკის“ მკითხველებს წარმოვუდგინოთ ის ერთადერთი თბილისელი კაცი, რომელიც ქმნის სიმებიან საკრავებს – უმეტესწილად ვიოლინოებს.

როდესაც თავდაპირველად ამის თაობაზე სიტყვა ჩა-მოვუგდე ლევან ცინცაძეს, ჩვენს პრესაში „ქართველი სტრადივარი“ რომ უწოდეს, თავდაპირველად ასე მი-ჰასუხა, რომ ამ უურნალისტებთან ინტერვიუებში უკვე

შე, გურამ რჩეულიშვილი (საქმე ის არის, რომ ისინი ყველანი ერთი დიდი ოჯახის წევრები იყვნენ), მგონი, კიდევ გრძელდებოდა ნუსხა.... მიუხედავად იმისა, ისიც ვიცოდი, რომ იმუამად იქ ჩვეულებრივი მოკვდავებიც ცხოვრობდნენ, ზოგიერთ მათგანს კიდეც ვიცონდი, მაინც ეს სახლი მიმაჩნდა მიუწვდომლად, შეუდნევა-დად... ახლა კი ვიმყოფები ამ სახლში, სადაც შედნევა-ბეც არც მიოცნებია, მეტადრე ვერ ვითიქრებდი თუ რა

# კაცი რომელიც ვიოლინოებს ჟანის

შეიძლება ითქვას კიდეც ამოწურა სათქმელი. ერთი პირობა ვიფიქრე ძველი ინტერვიუების საფუძველზე მიგვებოდებინა ცნობები „მუსიკის“ მკითხველისათვის... მაინც შევთანხმდით შეხვედრაზე. შევიტყვე, რომ ცო-ტა ხანია, რაც სახელოსნო თავისსავე სახლში, ქვედა სართულებზე მოუწყვით. ასე რომ, იქ უნდა ვეწვიო. ვემ-ბადები მასთან მისასვლელად და ბავშვობისდრონდე-ლი მოგონება მახსენებს თავს: როგორ ჩავუვლიდი მა-შინდელ კალინინის ქუჩას (ახლა საბედნიეროდ, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა). საოცარი განცდა მიპყრობდა იმ ადგილთან მიახლოებისას, სადაც კათოლიკური ეკლე-სიაა აღმართული, მის წინ კი ერთსართულიანი სახლი (ამ ქუჩიდან ასე ჩანს) დახუნძლული მემორიალური დაფებით, რომლებიც სათითაოდ იუწყებიდნენ, რომ ამ სახლში ცხოვრობდნენ: ალექსანდრე და მარიამ ჯამ-ბაკურ-ორბელიანები, ივანე ჯავახიშვილი, კიტა აბაში-

მიბნით მომიწევდა აქ მოსვლა(სამწუხაროდ, დაფათა-გან ამუამად მხოლოდ ერთია შემორჩენილი). ცხადია, აქ ჩემთვის ბევრი რამ საინტერესოა, მაგრამ მთავარი მიზანი სახელოსნოს ნახვა და გაცნობაა. მასპინძელს კი ვეუბნები, რომ, ალბათ არსებული პრესის საშუალებით ყველაფერს შევიტყობ ქართული ვიოლინოებისა და მისი შემქმნელის შესახებ, გავიგებ თუ როგორ შეება იგი ამ საქმეს, როგორ გაჩნდა თავდაპირველად იდეა... რესპონდენტიც ალაპარაკდა ძალიან გულწრფელად, უშუალოდ, პირველივე სიტყვებიდან საგრძნობი იყო საოცარი სიყვარული საქმისადმი, რომელსაც მისცემია. – იდეა მნიშვნელოდა, ცხადია, ისე არ ყოფილა, რომ გავიღვიძე და გადავწყვიტე ვიოლინოების კეთება. ეს აქ უკვირთ, რაკი ერთადერთი ვარ, თორებ იტალიაში არ ჭირდებათ განსაკუთრებული იდეის მომწიფება და რაიმე გარემოებები, ისე შედიან ამ სკოლაში, ვინაიდან



©PAPUA GREGG

იქ პროფესიაა ძვირადღირებული. თუმცა ბევრი ვერ უძლებს ამ გზით სიარულს და რჩება მხოლოდ ის, ვისაც უკვე გაცნობიერებული აქვს, რომ ეს უნდა. ცხადია, შორიდნ ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი ადამიანი იქ არ ჩავა, თუ მას გასიგრძეგანებული არა აქვს თავისი განწრახვა.

ჩემს შემთხვევაში გადამწყვეტი იყო, რომ მევიოლინე ვიყავი (დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის სიმებიანი ფაკულტეტი, სამსონ გონაშვილის კლასი), მერე უკვე საკარავმაც დამაინტერესა, მნიშვნელოვანი იყო ოჯახის ფაქტორიც...

— ოჯახთან დაკავშირებით ვიცით, რომ თქვენი დიდი ბაბუა — დიდი ივანე ჯავახიშვილი თავად უკრავდა ვიოლინიზე. საერთოდ, ის მჭიდრო კავშირში იყო მუსიკასთან (ამის დასურურია მისი შრომები, მაგ.: „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“) და მუსიკოსებთან, განსაკუთრებით ბაქარია ფალიაშვილთან, მისი მეუღლე, თქვენი დიდი ბებია, ერეკლე მეფის შთამომავალი ანასტრასია ჯამბაკურ-ორბელიანი პირველი ქართველი პროფესიონალი მევიოლინე ქალი გახლდათ. ასე რომ, შეიძლება ითქვას, თქვენს ოჯახს ტრადიციად მოსდევს მუსიკისადმი და სახელდობრ ვიოლინოსადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება.

ვიოლინოს — ჩვენს ოჯახში მართლაც განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ის ვიოლინო, რომელზედაც ჩემი დიდი პაპა ივანე ჯავახიშვილიც უკრავდა, ახლა ხელნაწერთა მუზეუმში ინახება. „ბებერენის“ ფირმის როიალი, რომელიც ახლაც ამ ოთახში დგას, თავის დროზე ანტონ რუბინშტერნის რჩევით ყოფილა შეძენილი. ბაქარია ფალიაშვილი „აბესალომ და ეთერბე“ მუშაობის პროცესში ნაწყვეტებს აქ ასმენინებდა ივანე ჯავახიშვილს. მახსოვს აქ აუდერებული დუეტები დიდი ბებიის ანასტრასია და ბებიაჩემი ნათელას (იგი თავდაპირველად პიანისტი იყო, შემდეგ კი დაანება მუსიკას თავი და ისევ ოჯახური ტრადიციისამებრ ისტორიის დარგზე გადაერთო) შესრულებით. ვიოლინოზე დაკვრას სერიოზულად ეუფლებოდა ბებიაჩემის ძმა ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი, მას თავისი პედაგოგი გროსმანი დიდ მომავალს უნინასწარმეტყველებდა. მისი ვაჟი ვანო ჯავახიშვილი კი გახდა პროფესიონალი მევიოლინე. ვიოლინოზე დაკვრას სწავლობდა ბიძაჩემი თარხუჯ

ჯავახიშვილიც, შემდგომში მე მისი მასწავლებელი სეგალი მასწავლიდა ნიჭიერთა ათწლედში.

ამ ინსტრუმენტებიც დაკვრა სწორედ დიდმა ბებიამ - ანასტრასია ჯამბაკურ-ორბელიანმა დამარტყებინა, მაშინ 6 წლის ვიყავი. მან პეტერბურგის კონსერვატორია დაამთავრა. მისი პედაგოგი იტალიელი მევიოლინე სივორის მოწაფე იყო, თავად სივორი კი პაგანინის აღმზდილი.

ამ სახლში მცხოვრები დიდი ნათესაობიდან ბავშვობაში ჩემზე ძლიერი და ალბათ მნიშვნელოვანი შთაბეჭდილება მოახდინა პაპა ვარომ, კიტა აბაშიძის შვილმა. სულ მიზიდავდა მისი ადგილსამყოფელი, სადაც სულ შალაშინით და ამგვარი იარაღებით საქმიანობდა და ფუსფუსებდა. ერთხელ ღია ბარათი მაჩუქა — ჩაქუჩი და შალაშინი რომ ეხადა. მახსოვს რა ბედნიერი ვიყავი, ჩემთვის ეს უძვირფასესი საჩუქარი იყო. ეტყობა მაშინ ისახებოდა ჩემში ეს მიღრეკილება...

— ვიცი, დიდი წნის განმავლობაში სხვაგან გქონდათ სახელოსნო.

— მართალია, ეს იყო ჩემს ცხოვრებაში დიდი და ხანგრძლივი პერიოდი, როცა სახელოსნო მთანმინდაბეჭდი, მამა-შვილის უჩა და შალვა ჩაგუნავების სახლში მქონდა. სამწეხაროდ, არცერთი აღარ არის ცოცხალი. სხვათა შორის, ამ სახლსაც საინტერესო წარსული ახლდა. მათი ნინაპარი ქაშუეთის წინამძღვარი გიორგი ჩაგუნავა (იგი ამ ტაძრის ეზოში, ცუნტრალურ შესასვლელთან განისვენებს), თურმე ახლოს იცნობდა სტალინის დედას — კეკეს და როდესაც პატარა სოსო ჯულაშვილი თბილისში ჩამოიყანეს სასულიერო სემინარიაში სასწავლებლად, მან რაღაც ხანი ჩაგუნავების სახლში დაიღო ბინა.

უჩა ჩაგუნავა ბიძაჩემის — თარხუჯ ჯავახიშვილის მეგობარი იყო. სპეციალობით არქიტექტორი, კონსტრუქტორი, საკმაოდ სერიოზული პროექტების მონაწილე, 50-იან წლებში თბილისში პოპულარული იყო როგორც ახლად შემოსულ 6-სიმიან გიტარაზე მოყვარული დამკვრელი. შემთხვევითი არ არის, რომ პირველი ინსტრუმენტის შექმნა მან შთამაგონა. ეს გიტარა იყო. მაშინ კონსერვატორიაში ვსწავლობდი. თითქმის ერთი წელი მოვუნდი ამ გიტარის შექმნას. შიგადაშიგ მივდიოდი უჩასთან, ვაჩვენებდი. ბოლოს, დამთავრებული

რომ მივუტანე, მახსოვს მისი აღფრთოვანებული სახე. იმან გაახარა, დაწყებული საქმე ბოლომდე რომ მივიყვანე, თან ისეთ პირობებში, უარესს რომ ძნელად ნარმოიდგენს კაცი. სწორედ ამის შემდეგ მომეცა სერიობული სტიმული მეფიქრა ინსტრუმენტების შექმნაზე. გასაოცრად კეთილშობილი და თავმდაბალი კაცი იყო. იქალითდან ჩამოსვლის შემდეგ მან სახელოსნო დამითომ, თვითონაც ერთვებოდა ჩემი მუშაობის პროცესში, ცხადია, მოყვარულის დონეზე. სულ ახლახან გარდაიცვალა, აქამდე უჩას სურვილით მის სახელოსნოში ვმუშაობდი.

— ალბათ, სახელდობრ ვიოლინოს შექმნასაც უძლოდა წინ გარკვეული იმპულსები...

— ამასთან დაკავშირებით შემიძლია გავიხსენო, ორკესტრში რომ ვუკრავდი („თბილისის კამერატაში“ შავლეგ შილაკაძესთან), ერთ-ერთი იქაური მუსიკოსი ედიკ ეპიშევი გატაცებული იყო ვიოლინოების შეკეთებითა და ჩასადებების გაკეთებით (ცხადია, თვითონასწავლი იყო). სახლში სარდაფი ჰქონდა, სადაც მუშაობდა. ხშირად მივდიოდი მასთან, ვესაუბრებოდი, ერთხელ ბაკურიანშიც წავყევი მასალის წამოსაღებად, სპეციალური ჯიშის ხე უნდა ჩამოეტანა.

როდესაც უკვე სერიოზულად გადავწყვიტე ამ საქმისათვის მომეკიდა ხელი, მოსკოვს მივაშურე სტაურებაზე. იქ ცნობილ ოსტატთან ვიქტორ ნიკიფოროვთან მოვხვდი, რომლის დიდად მადლიერი ვარ ბევრი რამის გამო. ის მიკიფინებდა იტალიაში წასვლას. აქ რაიმეს სწავლა დროის კარგვაა, სასურველია როგორმე კრემონაში მოხვდე, სტრადივარიუსის სასწავლებელშით.

— ცხადია, თქვენი, როგორც პროფესიონალის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი კრემონაში სწავლამ შეასრულა. საერთოდ რას იყოყოდით იქ არსებულ სიმებიანი საკრავების შექმნის ტრადიციაზე, კულტურაზე?

— იტალიაში არის სხვადასხვა სკოლები. დიდი ხნის მანძილზე კრემონასა და მისგან 40 წელიანი სამანქანო გზით დაშორებულ ქალაქ ბრეშიაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა ვიოლინოების დამბადების კულტურა. მე-17–18 ს. ების მიჯნაზე შავმაჭირმა თითქმის მთელი ბრეშია ამოწყვიტა. კრემონაში

კი ამ დროს კვლავ იქმნებოდა ვიოლინოები და იხვენებოდა მისი ხარისხი. თუმცა ბრეშის სკოლა ახლაც ცნობილია.

კრემონა — დაბლობზე გაშენებული პატარა ნისლიანი ქალაქი ჩრდილოეთ ლომბარდიაში. იგი ხემიანი საკრავების დედაქალაქია. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ამატი, გვარნერი, სტრადივარიუსი...

სტრადივარიუსის სასწავლებელში მისდევენ ტრადიციას, აქ მიღებული საფუძვლის შემდეგ შესაძლებლობა გეძლევა ინდივიდუალურად გაიშალო, თავისუფლებას მიეცე...

— იქ რამდენად ხდება ამ სფეროში ტრადიციულობისა და თანამედროვეობის შეფარდება, დაპირისპირებას ხომ არ აქვს ადგილი?

— სხვათა შორის ამ მხრივ გამოკვეთილია მიმართულებები. იქმნება როგორც ძველი, ტრადიციული, ასევე თანამედროვე ვიოლინოებიც. ორივენაირ ვიოლინოს თავისი მომხმარებელი ჰყავს. უმეტესობა მაინც ძველს ამჯობინებს. შექმნილია სტერეოტიპი, რომ ვიოლინოს უნდა ჰქონდეს ძველი, გაცვეთილი იერი. ბევრისთვის ეს საკრავი საერთოდ წარსულის ოსტატების სახელებთან ასოცირდება. მეორე ტიპის მომხმარებელს გააბრებული აქვს, რომ ერთ დროს სტრადივარისა და გვარნერის ვიოლინოებიც ახალი იყო. რაც მთავარია, არჩევანს ისიც განაპირობებს, თუ რას უკრავს შემსრულებელი — თანამედროვე სტრადივარისა და მიმდინარეობის წანარმოებებს განახლებული ვიოლინო სტირდება. გარდა ამისა, მასალიდან გამომდინარე, ამ საკრავის ვადა გარკვეულწილად შეგძლდდოւლიცაა, ამიტომ ძველი ოსტატების ვიოლინოები მაღლე სამუტეუმო ექსპონატებად იქცევა. ასე, თავის დროზე განთქმული იყო ამატის საკრავები, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ მისი დიაპაზონი მხოლოდ პატარა დარბაზებს სწვდებოდა. მისმა მოწაფემ სტრადივარიუსმა გაცილებით გაზარდა ვიოლინოს შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ კრემონა სტრადივარის დაბადებამდე 150 წლის განმავლობაში ვიოლინოების ქალაქიდ იყო ცნობილი, სტრადივარიუსის მოვლინებით ახალი ხანა დაიწყო ამ საკრავის ისტორიაში. ფაქტია, რომ სტრადივარმა, გვარნერმა გაუძლეს დროს, თორემ მათ გარდა რამდენი ოსტატი იყო, რომელთა სახელები არ შემოგვრჩენია.

- ამ ხნის განმაღლობაში საქართულოში არავის გამოუთქამს სურვილი ამ საქმისათვის მიეყო ხელი, ამ შემთხვევაში თქვენი მიმდევარი გამძდარიყო?
- ბედაპირულად გამოუთქვამთ ინტერესი, მაგრამ როდესაც გაუგიათ, რომ მე 30 წელი დამჭირდა აქმდე მოსასვლელად, ეგრევე უკან დაუხევიათ. არადა, ქართველები ისეთი ნიჭიერი ხალხია, დარჩეულებული ვარ, ეს რომ აქ დაინერგოს, განსაკუთრებულ საკრავებს შექმნიან, მაგრამ მანამდე დიდი და რთული გზა იქნება გასავლელი.
- მუშაობასთან დაკავშირებულ სირთულეთაგან, ალბათ, მნიშვნელოვანია მასალის მოპოვების საკითხი.
- მასალის მოპოვება, ცხადია, ერთადერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუმცა ჩემთვის დიდი შედავათია, რომ ამ პრობლემის გადაჭრა საქართველოშია შესაძლებელი. იტალიაში 150-წლიანი დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ კლასიკური ინსტრუმენტების ყველაზე მაღალი ხარისხის აკუსტიკურ მექანიზმსა და ტემბრს ორი ჯიშის ხე ქმნის — მაღალმთიანი ნეკერჩხალი და ნაძვი. საბედნიეროდ, საქათველოში ორივე უხვად არის, თან მაღალი ხარისხის. ამ მხრივ კრემონელი ოსტატები უფრო დიდი სირთულის წინაშე იდგნენ. იქ ამ ჯიშის ხები არ ხარობდა და ვენეციიდან შემოჰქონდათ. მასალის მოპოვების გარდა აუცილებელია წესების გათვალისწინებაც. მნიშვნელობა აქვს ხე რომელ ფერდობზე მოიჭრება, რა დროს, მოვარის რომელ პერიოდში უნდა მოიჭრას — ზამთარში, როცა ხეს სძინავს და წვენი არ მოძრაობს. მას შემდეგ, რაც სტანდარტულ ზომებად დამუშავდება, სულ ცოტა ხუთი წელი მაინც უნდა იდოს, რათა ბუნებრივად გაშრეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებისას დეფორმაციას განიცდის და შეიძლება დასკვდეს ან დაიძრიცოს.
- ალბათ, გქონიათ მუშაობის სხვადასხვაგვარი პერიოდები. რა განწყობა გეუფლებათ საკრავის დასრულების შემდევ?
- ყველა ოსტატის ცხოვრებაში ყოფილა მუშაობის სხვადასხვაგვარი პერიოდები. თუ გადახედავთ ცნობილი ოსტატების ცხოვრებას, აღმოაჩენთ, რომ ცუდი პერიოდი კავშირში ყოფილა პირად პრობლემებთან. ეს ხომ უპირველესად შემოქმედებითა პროცესია, ყოველ დღე ერთნაირად ვერ იმუშავებ, განწყობა გინდა. ისე კი

შექმნის უინი მოგდის, ნარკოტიკის მსგავსი. საინტერესო ის არის, რომ თითოეული საკრავი დასრულების შემდეგ ხმას ამოიღებს თუ არა, ახალ კითხვებს, ახალ იდეებს ჰპადებს, მაინც ყველაზე სასიამოვნო შექმნის პროცესია, გურამ რჩეულიშვილისა არ იყოს „გნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში.“ მერე უკვე სხვებმა ისიამოვნონ!

რაც შეეხება ლევან ცინცაძის მიერ შექმნილი საკრავის შემდგომ ცხოვრებას, მისი ნამუშევრები შესულია იქალიასა და ინგლისში გამოცემულ ცნობილ ოსტატთა კატალოგებში. ისინი უღერენ საქართველოს გარდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წამყვან ორკესტრებში. იაპონიაში კვარტეტი უკრავს ცინცაძის საკრავებზე. მისი ვიოლინო ახმინდა კრემონაში ყოველწლიურ ცნობილი ოსტატების კონკურსზე, მაღალი შეფასება დამსახურეს კრემონას საერთაშორისო კონკურსზე — „კრემონას ტრიენალე“, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ იმართება.

ერთ-ერთ უურნალისტთან მიცემულ ინტერვიუში ლევან ცინცაძე აკხადებს, რომ ორკესტრში მუშაობისას სოლისტობაზე ფიქრობდა... მაშინ, ალბათ, ვერც წარმოიდგინდა, რომ სავიოლინო ნაწარმოებები, რომელთა შესრულებაზეც ოცნებობდა, მისი ქმნილების საშუალებით ახმიანდებოდნენ სხვა სოლისტებისა თუ ორკესტრანტების მიერ.

შემოქმედებითი წვა არ ნელდება მის სახელოსნოში. სახელოსნო კი ამჟამად, როგორც ზემოთ ითქვა, მისივე სახლშია, რომლის უკანაც დიდი ისტორიაა. დღეს ეს სახლი ბევრისათვის და მით უმეტეს აქ ჩამოსულ უკროლთათვის იმითაც არის საყურადღებო, რომ აქ ცხოვრობს და მოღვაწეობს ის ქართველი კაცი, რომელიც ვიოლინოებს ქმნის...

150



ჩარგალში ვაუა-ფშაველას სახლ-მუზეუმში დაცულ რელიგიურს შორის ყურადღებას იპყრობს ვაუას პოეტური შთაგონების მუდმივი თანამებრავრი – ჩინგური. ამ კარმიდამოს ყველა სტუმარს, ვისთვისაც ძვირფასია ვაუა-ფშაველას სახელი, მისი სამყარო და პოეტური სულის წვა, თითქოს დღესაც ჩაესმის პოეტის იდუმალი ხმა: „ხელში ავიღებ ჩინგურსა ლექსების დასაბლურადა,” ამ სიტყვებში ჩვენთვის საყურადღებო ვაუას შემოქმედების ერთი თვისებაა გაუხადებული – პოეტური და მუსიკალური საწყისების კავშირი და ამ კავშირის მნიშვნელობა ვაუას პოეტური შთაგონების მოზღვავების უამს, მუსიკისადმი ვაუა-ფშაველას დამოკიდებულება სხვა წყაროებითაც დასტურდება, მართალია პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობა ძალგე უმნიშვნელოა ხელოვნებაზე და სახელდობრ მუსიკაზე გამოთქმული ამრებით, მაგრამ ვაუას შეხედულებები პოეტისა და ლიტერატურაზე. ახლობელთა მოგონებები საკმაო შუქს ჰქონენ მის დამოკიდებულებას მუსიკისადმი და მუსიკის როლს მის ცხოვრებაში. აქვე იკვეთება უფრო ფართო ასპექტი – ვაუას მუსიკალობა ანუ სამყაროს ხმათა აღმის მისული უნარი, მუსიკალურ საწყისთა მნიშვნელობა ვაუა-ფშაველას პოეტიაში და მუსიკა ვაუას ესთეტიკაში.

დღიდ პოეტური ტრადიციების ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, პოეტის მუსიკალობა იშვიათ

მეტყველების მუსიკალურმა ბუნებამ და ხალხური სიმღერის კილო-ინტონაციურმა წყობამ. ამ მხრივ ვაუას უშეალო წინამორბედად სახელდება აკაკი წერეთელი. გაღაკტიონს უთქვაშს, აკაკი წერეთელი რომ არა, ქართული პოეტია ენაბლუ იქნებოდაო. სიმონ ჩიქვანის აზრით კი აკაკი წერეთელი თავის პოეტურ სმენას თითქოსდა ბავშვობიდანვე ანგითარებდა ხალხური სიმღერებისა და ხალხური საკრავების კილოზე. ამავე გზას ადგას ვაუა-ფშაველა, მაგრამ აკაკისგან განსხვავებით მისი პოეტური სმენა ლოკალიზებულია და მთლიანად ფშავ-ხევსურული ფოლკლორითა შემოფარგლული. ვაუას პოეტური სმენა ფშავურ-ხევსურული სიმღერებისა და ხალხური საკრავის, მეტნილად ჩინგურის /ფშავში მას ფანდურსაც უნოდებენ/ კილოზე იწრთობოდა. აქედან იღებს დასაბამს ვაუა-ფშაველას პოეტური მეტყველებისთვის ესოდენ დამსახურითებელი დაღმავალი ინტონაცია /ფანდური დაღმავალი წყობისაა/.

გარემო, სადაც ვაუა ბავშვობიდან იღებდა პირველ მუსიკალურ შთაბეჭდილებებს, მშობლიური მუსიკალური ფოლკლორი და ფშაველთა ყოფაში დამკვიდრებული მუსიკირების ფორმები იყო. აღსანიშნავია, რომ ვაუა ხმირად ჩამოდიოდა თბილისში, ერთხანს ცხოვრობდა და სწავლობდა პეტერბურგში, მაგრამ მშობლიური კუთხისა და ფშავ-ხევსურული სიმღერების დომა სიყვარულმა მასში ქალაქური მუსიკისადმი ყოველგვარი

# ხელში ავიღებ ჩინგურსა ლექსების დასაბლერტადა

## /მუსიკა ვაუა-ფშაველას ცხოვრებასა და შემოქმედებაში/

შემთხვევას არ წარმოადგენს. ამ მხრივ გამონაკლისი არც ვაუა-ფშაველა არის. მას სამართლიანად მიაკუთვნებენ იმ პოეტებს, რომელთა ე.წ. „მელოდიურ ლექსებში“ გამოძახილი ჰქონა ქართული ხალხური პოეტური

ინტერესი წაშალა. ფშავური ნაწები, მოთქმა-ტირილები, სადიდებელი წმინდანთა დღესასწაულებზე, საქორნილო, სამობაო, საახალწლო და მრომის სიმღერები, მეტავრულები თუ შაირობისა და კაფიობის ცხარე იმპ-

## მასიკა და მთავრობა

როგორც ციული ტურნირები ის ფოკლორული სამყაროა, რომელშიც ვაუა თავს „შინაურ ყრმად” გრძნობდა, უყვარდა იგი და შესისხლხოცებული იყო მასთან.

ფშავ-ხევსურული ხალხური სიმღერა ვაუა-ფშაველას საყვარელი სტიქია, იგი ხალხური სიმღერისა და მუსიკირების მარტო მონაწილე კი არა, ჩინებული მცოდნეცაა, დაჯილდოებული ეთნოგრაფი-ფოლკლორისტის ფაქიზი ინტუიცით. იგი ცოცხლად აღიქვამს სხვადასხვა საწესებულებო მუსიკას, დოკუმენტური სიზუსტით აღნერს და ახასიათებს მათ თავის ეთნოგრაფიულ მოთხოვნებსა და ზოგიერთ პოემაში. მაგალითად, საინტერესოა ტირილების ვაუასეული კლასიფიკაცია: პოემაში „ჰაოს და ქართლოს” /მოსაგონარი ტირილი/, მოთხოვნაში „ფშაველის ცხოვრება” /მით ტირილი/ და „შთაბეჭდილებებში” /„გვრცინვა”/.

ამბობენ, ვაუა საკმაოდ კარგად მღეროდა და უკრავდა ფანდურზე და რაც მნიშვნელოვანია, ჩინებულად ფლობდა ხალხურ მუსიკირებაში დამკვიდრებული ლექსისა და მუსიკის რიტმისა და ინტრიაციის შერწყმის ხალხურ მეთოდს. ბევრ თავის ლექსს მან „სიმღერა” უწოდა. მათ შორისაა გმირული, ლირიკული, უანრული სიმღერები, აქვს ე.ნ. „პროგრამული სიმღერებიც”: „საახალნოლ სიმღერა”, „სიმღერა სინდისტე”, „ფშაველის სიმღერა” და სხვა. ვაუა-ფშაველას პოეზიაში სიმღერა ლექსის სინონიმია და ეს ისეთივე ხალხური მოვლენაა, როგორც ლექსის გამღერებით წარმოთქმა.

პომერისის, ფრანგი ტრუბადურების თუ აღმოსავლური „სასიმღერო პოეზის” დროიდან მოყოლებული საქართველოშიც მომღერალი პოეტის სწორი იყო. როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს თავის წიგნში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები” საქართველოში „უკვე XII საუკუნეში მგოსანი ჩვეულებრივი მომღერალის სახელი კი არ ყოფილა, არამედ ამასთანავე საკუთარი შაირებისა და ლექსების გამომთქმელისაც” /გვ.53/. აკადემიკოს ა.შანიძის განსაზღვრებით: „ლექს მთაში კიდევ აქვს შენარჩუნებული ძველი ხასიათი, შესრულებულ იქნეს მუსიკალურად, ე.ი. სიტყვები გალობით იქნეს წარმოთქმული ან დამღერებული იქნეს ფანდურზე, ხშირად მესამე ლექმენტან შეერთებით, პლასტიკასთან ტაშის-კვრითა და ცეკვა-თამაშობით, რაზეც მიგვითითებს თვით სახელნოდება ხევ-

სურული ლექსების ერთი დარგისა ს ი მ ღ ე რ ე /ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურეთი. 1931, 22/. ქართულ ხალხურ პოეზიას დღემდე შემორჩა ლექსის სიმღერით ან გამღერებით წარმოთქმის უძველესი ტრადიცია. საკმარისია გავიხსნოთ ხალხური პოეზიის შედევრი „ამბავი ვეფხისა და მოყმისა”, ლეგენდა „ეთერიანის” ხალხური მეღოდიების ფრაგმენტები, რუსთველის „ვეფხისტყაოსნის” გამღერებით დეკლამაცია, ბესიკ გაბაშვილის „სასიმღერო ლექსი”, აკავი წერეთლის ლექსების მეღოდიურობა და სხვა. ვაუა შეებარდა ფშავური ფოლკლორისთვის დამახასიათებელ ლექსის სიმღერასთან ერთდროული დაბადების ტრადიციას. თუ ვაუა-ფშაველას გულისყრის ხვეულებს ჩავუკებით, სამყაროს აღქმის მისთვის დამახასიათებელ თავისებურებას ვიგრძნობთ: მახვილი თვალით და მახვილი ყურით შეცნობილ სამყაროს, ანუ როგორც ბლოკი იყო-და – „ცხოვრებას ხმოვანი სფეროს გზით ეხება”. ეს არის მისი მსოფლალქმის მუსიკალურ-პოეტური სისტემის ერთერთი არსებითი ფორმა. სამყაროს ხმებს იგი ისევე ანსხვავებს, როგოც ფერებს. ამიტომ ვაუა-ფშაველას პოეზიის ფონება მკითხველს თავისი მრავალფეროვნებით აოცებს: ესაა მდუმარე მთათა ქორალი თუ მთიდან მომსკდარი ზვავის ღრიალი, ირმის ყყირილი თუ თოვლში ყელმოლერებული პირიმზეს ჩურჩული. პოეტის სმენა მისი მინდიასავით აღვისლია ბუნების მომაჯადობელი ხმებით, ამავე დროს მას ესმის ფშაველთა ყოფის ფონებიც: ხალხური მეტყველებისთვის დამახასიათებელი კილო, აბჯრის ღრჭიალი, საყირის საბრძოლო მოწოდება, გმირული სიმღერების მკაცრი ტონი, ხალხური საკრავების /ჩონგური, სალამური, დოლი, „ბუბიკა” ანუ გარმონი/ ნაირგვარი ტემპერები. ეს ხმოვანი სამყაროა ვაუა-ფშაველას პოეტური შთაგონების ერთ-ერთი წყარო, აქედან წამოსული მუსიკალური იმპულსები სტიმულს აძლევენ ლექსის დაბადებას და განსაზღვრავენ მის ემოციურ ტონებს, ლექსის შექმნის ამგვარი „ინტონაციური მეთოდით” ვაუა-ფშაველა ბევრ დიდ პოეტს მოგვაგონებს. მაგალითად, შილერს. შილერი რომ ლექსის სახერად ჯდებოდა, თურმე, ისე ხმაურობდა მეღოდია, რიტმი, რომ ლექსის შინაარსჩე ჯერ წარმოდგენაც არ ჰქონდა. ბლოკი აღნიშნავს, რომ „ყოველგვარი ლექსი, უპირველეს ყოვლისა – აზრია.

ამრის გარეშე შემოქმედება არ არსებობს, მაგრამ ჩემ-  
თვისო, — ამბობს ბლოკი, — იგი, რატომდაც უპირვე-  
ლესად რაღაცნაირი ხმოვანების ფორმით ყალიბდება".  
ასევე ამბობდა ბუნინი: „რაზედაც არ უნდა დავიწყო წე-  
რა, უპირველეს ყოვლისა უნდა „მოვძებნი ბერა", ხო-  
ლო როგორც კი ვიპოვნი, ყველაფერი დანარჩენი თა-  
ვისთავად მოდის". შეგავს შემოქმედებით პროცესს აღ-  
ნერს ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთ თავის „სიმღერაში":

მხრები მესხმება, ვიზრდები,  
ცად ვიწევ ასაფრენადა,  
გაწნდება სითბაც ნათელი  
გულს ჩამიდგება სვეტადა.  
ზღვავდება მწყობრი სიტყვები  
ქალალდება დასაბღერტადა,  
მითრთიან გულის სიმები  
სიამოვნების ღმერთადა  
არა ვთქვა, არ შემიძლიან,  
მონა ვარ მაშინ ჩანგისა.  
ნაცნობნი მეუბნებიან,  
ჭირიმე შენის ჰანგისა!  
თავადაც მომწონს, საამოდ,  
ხმა მწყობრად ადის-ჩადისა  
ჰქებს ჩანგი, ალარ ისვენებს,  
მეც მხოლოდ მღერა მნადისა,  
იძლება, მღერაში დნება  
ბუდე ყველა სხვა დარდისა.

თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მუსიკალური საწყისის  
როლი ლექსის დაბადების მომენტი, გვიდასტურებენ  
ვაჟას ოჯახის წევრებიც. მეუღლის თამარის ნაამბობი:  
„ლუკა წერის დროს მეტყოდა — ფანდური დაუკარიო.  
მე ავიღებდი ხელში ფანდურს და წყნარად ვუკრავდი,  
ის კი წერდა. ლუკას სიმღერა, ცეკვა, დაკვრა ასე  
თუ ისე ეხერხებოდა. ცეკვით ვერ ცეკვავდა, უფრო  
ბაჯბაჯებდა, ვიდრე ცეკვავდა, ფანდურის დაკვრას  
კი — არა უშავდა, საამური დაკვრა იყოდა, ხოლო  
შემოძახილი ფანდურზე ნაკლებად იყოდა ხოლმე,  
უყვარდა ფერხულში ჩაბმა და ბანის მიცემა, ხშირად  
თავისთვის ღიღინებდა და მღეროდა სახუმარო ლექსი:  
სანამ მქონდა ფულები —  
გჭამე მოხრა კულები,

როცა გამომტელია,  
ჩამოვყარე ყურები. /გვ.56/

ვაჟაშივილის ვახტანგის ნაამბობი: „მამას ფანდური  
ყოველთვის გვერდით ედო, მაგრამ ხანგრძლივი დაკვ-  
რა და სიმღერა არ უყვარდა. ერთს ჩატკრავდა თითებს  
და უძალ გადადებდა გვერდით, ან წერას მიუბრუნდე-  
ბოდა, ან ადგებოდა და ბოლთას სცემდა მცირე ხნით,  
ან კიდევ დაწვებოდა გულაღმა, ბალიშს ბალიშზე და-  
იდებდა, რომელიმე წიგნს მიაყრდნობდა მუხლებზე და  
კითხულობდა." /გვ.20/

ქალიშივილის თამარის ნაამბობი: „მამამ ხშირად  
იყოდა ფანდურზე დამღერება. ერთ ღამეს გვიანობამ-  
დე არ დამეძინა, ჩუმად ვადევნებდი თვალს მამაჩემის  
წერას. ვხედავდი: ადგებოდა, ხან ერთ კედელს მიაჩერ-  
დებოდა, ხან მეორეს. მიმოდიოდა ოთახში. მივიღოდა,  
დაწერდა, კიდევ გაივლ-გამოივლიდა, ხან ფანდურს  
ჩამოიღებდა კედლიდან, დაუკრავდა და დაამღერებ-  
და." /ვახტანგ რაზიკაშვილი. „მამაჩემი ვაჟა-ფშავე-  
ლა" გვ.26/

ვაჟა-ფშაველა ჩინებული მსმენელიც ყოფილა.  
როდესაც მესტვირები დადიოდნენ სახლიდან სახლში  
და გვდასტვირის თანხლებით ყველას ადიდებდნენ, ვა-  
ჟა მათ მიპატუებდა შინ, მოუსმენდა, ღვინით გაუმას-  
პინძლდებოდა და ფულსაც აძლევდა. ეს „სტუმრობა"  
ვაჟას ასე გაულექსავს:

სანდასან საბანდარებიც  
გვესტუმრებიან სტვირითა  
რაჭელი ვინმე მხარ-ბრტყელი  
მოპარსულისა პირითა  
ქებას შევგასხამს ყველასა  
ღუღუნით ენა-ტკბილითა.

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში მნიშვნელოვანია ხალ-  
ხური სიმღერის როლი, რომლის ინტონაციური წყობა,  
მელოდიური და რიტმული სტრუქტურები, კომპოზიციის  
იმპროვიზაციული თავისუფლება პოეტმა ბავშვობიდან  
შეისისხლხორცა. ბევრი მისი ლირიკული ლექსი სატ-  
რფიალო სიმღერის უანრის ასოციაციას იწვევს, ხო-  
ლო შაირობა და კაფია, რასაც ხალხში ხშირად მუსი-  
კის თანხლება ახლავს, პროფესიული მუსიკის ეანრს —

## მასიკა და მთარღობა

სკერცოს მოგვაგონებს.

განსაკუთრებულია ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება ჰეროიკული სიმღერისადმი. მისი ლექსებისა და პოემების მეტრისა და რიტმის ფორმირება ბევრად იყო „დავალებული“ ჰეროიკული სიმღერისგან, რომელსაც მისთვის დამახასიათებელი მოტივი გააჩნია და ფანდურის თანხლებით დღესაც სრულდება. აკაკი შანიძე აღნიშნავს, რომ „სიმღერე საგმირო საქმეების წყობილ სიტყვასასმულ ქმნილებას ჰქვიან და თავისი მუსიკალური ჰანგი აქვს ფანდურზე“ /დასახელებული ნაშრომი, გვ 19/. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში აღინიშნება ვაჟა-ფშაველას პოეტური ინტონაციის სიახლოვე ხალხური სიმღერისთვის დამახასიათებელ ვაჟკაცურ კილოსთან. „გასაკვირი არ არის, – წერს გურამ ასათიანი, – რომ ვაჟას პოეტიაში ჩვენ ასე ხშირად ვხდებით ვაჟკაცური შეუპოვრობისა და სისასტიკის მოტივებს:

„შევსვამთ სისხლსაცა მტრისასა  
უტკბეს კახური ღვინისა“

ქართული ხალხური სიმღერის ეს სულისკვეთება, რომელიც თავისი მგზნებარე უშუალობით თითქოს ბიბლიური შერისგების ცნობილ მოტივს ეხმაურება, თავის გამოძახილს ჰპოვებს არაერთ პოეტურ ქმნილებაში“ /გასათიანი „ლირიკა და ლირიკოსები“ გვ.44/. ასეთი ლექსები დაწერილია „დაბალი შაირით“ ანუ რვამარცვლიანი რიტმული სტრუქტურისა მეტრული ცეტრუბის გარეშე ყოველი ოთხი მარცვლის შემდევ. ამ სალექსო რიტმის ენ., „მუსიკალური ბუნება“ იმაში ვლინდება, რომ მეტრული პაუზები შეიძლება წების-მიერ ადგილას გაჩნდეს სინტაქსიდან და ფრაზის ემოციურ-ლოგიკური წყობიდან გამომდინარე. მუსიკისთვის კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეალურ რიტმს, რომლის ვარიაციების მაღალ ტექნიკასაც ვაჟა ფლობდა. ამგვარად, კონკრეტული უანრის ხალხური სიმღერი /ჰეროიკული/ და ხალხური ინსტრუმენტული /ფანდური/ მუსიკის საფუძველზე ყალიბდება ვაჟა-ფშაველას ჰეროიკული ეპოსის მეტრო-რიტმული სტრუქტურა. რაც შექება ვაჟას ლექსის სასიმღერო საწყისს, მას განსაკუთრებით მკაფიოდ გვაგრძნობინებს რითმა. ამ საკითხის შესახებ არსებული საფუძვ-

ლიანი გამოკვლეული /მ.ბანდუკელი, ე.კვიტაშვილი, გ.კინაძე, ა.განერელია და სხვანი/ მიგვითოთებენ თუ როგორ ფლობს ვაჟა გარითმვის ხალხურ მეთოდს და ხალხურმა რითმებმა როგორ განსაზღვრეს მისი ლექსების კეთილხმოვნება. შემთხვევით არ არის, რომ ვაჟას ლექსებსა თუ პოემებში მკითხველი „მოისმენს“ ხალხური ქორალების ამაღლებულ ტონს, ვაჟკაცური და თავდაჭერილი მოთქმის ინტონაციებს, სატრიალო სიმღერების დამახასიათებელ კდემას. ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი ქმნილება იმპროვიზაციული მუსიკალური უანრების ასოციაციებსაც აღძრავს, როგორიცაა ბალადა, რაფსოდია, ექსპრომტი.

მუსიკა ხშირად იმის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. მაგალითად, ბრძოლის ამსახველ ეპიზოდებში, სადღესასწაულო მხიარულებისას, სევდისა და ტირილის თუ ფიქრისა და ლირიკული აღსარების უაშს. მღრის და უკრავს ვაჟას ეპოსის არაერთი გმირი: ქავთარი, გოგოთური, გოდერი, ქსიტი მოხუცი და სხვა. მის ნაწარმოებში ხშირად ხმოვანებს ხალხური საკრავიერი მუსიკა: ჩონგური /ფანდური/, გუდასტვირი, სალამური, გარმონი, საყირი, დოლი. მუსიკა ბუნებრივად არის შესული ვაჟას პოეტური აზროვნების სისტემაში. იგი ჰქმნის ემოციურ ატმოსფეროს, აძლიერებს გმირების ფსიქოლოგიურ განწყობილებას, ასრულებს ხმოვანი ფონის როლს. ზოგჯერ იგი მეტაფორაცაა, ზოგჯერ დრამატურგიული დატვირთვაცა აქვს. მუსიკა პოეტს ეხმარება მსატვრული სხის, სკენის პლასტიკისა და სრულყოფის გათვალსაჩინოებაში. მაგალითად, პოემაში „გოგოთურ და აფშინა“ გოგოთურის პორტრეტი არ იქნებოდა ესოდენ სრულყოფილი, რომ არა სიმღერის გბით მისი სულიერი სინმინდის გამოხატვა.

შემოღამდება, შინ მოდის  
ჩამოუჯდება კერასა,  
დაინტებს შესაქცევრადა  
დიდის ყალივნის წევასა,  
ფანდურსაც შააულარუნებს,  
თითს ააჩქმებს ბერასა.  
ხანდახან დაიბუბუნებს –  
ჭერი დაინტებს ნძრევასა,  
თან ფეხს დაუცემს ვაჟკაცი  
მიდამო იწყებს ნთქრევასა.

ვაუა-ფშაველას ზოგიერთ პოემაში სიმღერა აძლიერებს მოქმედების დინამიკას და დრამატიზმს. „სტუმარ-მასპინძელში” სიმღერას ბუნებრივად შეჰყავს მკითხველი მოქმედების გარდატეხის მომწერში. ეს არის მოხუცი ქისტის სიმღერა, რომელიც სისხლის აღების ადათის შესრულებისკენ მოუწოდებს ხალხს და მტრული ძალების კონცენტრაციას უწყობს ხელს. მოხუცის სიმღერებს გარდატეხა შემოაქვთ პოემის დრამატურგიაში – ხდება მოდულაცია ეპიკური თხრობიდან მძაფრ დრამატულ მოქმედებაზე.

ჩინგურს უკრავდა, დროული  
კაცი რამ უჯდა გვერდზედა,  
დაჭმლერდა გმირობისასა,  
მამა-პაპათა ცდისასა,  
როგორ არბევდნენ ფშავ-ხევსურთ,  
სისხლს არ არჩენდნენ ძმისასა,  
ყველგან მადლობას სწირავენ  
მარჯვენას კაის ყმისასა.

პოემაში „სისხლის ძიება” სიმღერა დრამატული კულმინაციის ფუნქციას ასრულებს და ექსტრემალურ სიტუაციაში უწყობება აღმოჩენილი ვაჟაცის სულიერ ძალასა და სიმტკიცეს გამოხატავს. ასე, ქიჩირს, მოტყუებით დატყვევებულს, კოცონზე დაწვა ემუქრება. სიკვდილის წინ ფანდურს გადაუგდებენ:

— მაშ თუ არ გზარავს სიკვდილი,  
კიდეც იძღერებ არაო?  
— ძალიან კარგად, — ქიჩირი  
ვითომ თავის შინ მჯდარაო  
მონებს უბრძანე, ჩინგური  
რომ მომიტანონ ჩქარაო

-----

გამოაფხიტლა ყველანი  
ჩინგურის სიმთა წკრიალმა  
აპკრა ხელი და ჩამოჰკრა,  
თან ზედ დამღერა ხელადა  
დღესაც ამ ლექსების ცოდნა  
ყველა ყმას ადებს ბეგრადა.

ზოგჯერ სიმღერა მოქმედების განვითარების გარკვეული ეტაპის შემაჯამებელ ფუნქციას ასრულებს, ერთგვარი „მუსიკალური კოდაა”. ასეთია პოემაში „გოგოთურ და აფშინა” ძმადნაფიცობის სცენაში „ბრძო-

ლით მოპოვებული ჰერმინიის” სიმღერით გამოხატვის მომენტი.

ვით ერთის დედის შვილები  
ახლა უმღერეს ზედაცა  
ერთურთს სამღერი ტკბილები,  
მემრე წავიდნენ ცალ-ცალკე  
თავ-თავის გზაზე გმირები.

ვაუა-ფშაველას ჰეროიკულ ეპოსში საბრძოლო მუსიკის საკმაოდ მდიდარი მასალაა, ტემპერული ფერადოვნება ბრძოლის სურათების ცოცხალ წარმოდგენას ვვიქმნის. ასეთ ეპიზოდებში ხმოვანებენ საყვირები, ბურნა, დოლი, ნაღარა.

მშვიდობით, დაჭკრეს საყვირსა  
კვლავ მექანიზმი ბრძოლაზე  
/„ფშაველი ჯარისკაცის წერილი”/  
ან

გული გავლესოთ გრძნობითა,  
საცაა დაჭკრავს ნაღარა  
ერთი დავძახოთ ქართულად  
ხვალ არ გვეცლება აღარა .  
/,ომის წინ ჯარის სიმღერა”/

ან

დიდი ბარი აქვს მაინც ჯარს  
მას შაედრება ვერა-რა,  
ბუკაა, ნაღარას, ბაირალს  
ვერსად წაუხვალ ველარა

დაჭკრეს ნაღარას, საყვირსა  
აქოთდა გიუი ბუკები  
ჩვენი აქ. იქით თათრისა, .  
ღვინოსებრ სისხლის მდუღები

ვაუა-ფშაველას სამყაროში მუსიკა ხშირად აძლიერებს ემოციურ ტონუსს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც „დადუმებული სამყარო” გამოხატავს ადამიანურ ტრაგედიას. ასეთია პოემაში „ეთერი” სამგლოვარო სვლა, სადაც „მოქმედებიდან გასული მუსიკა” გმირების სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებას გადმოგვცემს.

## მასიკა და გრანტობა

არსით ისმოდა ბუკის ხმა,  
დაფის ფიცხელი კიუინი,  
მცოსანთა მღერა ტრფობაზე  
და ლაშქრობაზე ღილინი.  
ბულბულს, იადონს უბრძანეს  
საქმე მივარდა წყენაზე,  
გულში ჩაეკლათ გრძნობანი,  
ხელი აეღოთ მღერაზე

ან მოსქდის ზოვი მთიდამა,  
დაიძრის, დაიხრიალის,  
ახავლდის შველი დამთხვარი,  
კოდალამ დაიკრიალის,  
ჭალას აძრახდის ხოხობი,  
გარიგით დაიზრიალის,  
ზღაპარს უამბობს ნიავი,  
ფოთლებში დაიშრიალის /პოემა „ეთერი“/

ვაჟა-ფშაველას ჩინებულად ესმოდა ხმოვანი სამყაროს ბუნებრივი წყობა. მის შემოქმედებაში ბუნება ისევე წარმოუდგენელია ფერთა სიუხვის გარეშე, როგორც მისი ხმოვნება. ვაჟას ნაწარმოებებში ბუნება აკუსტიკურად არის ასახული, იგი ფონური ელემენტის გარეშე არ გვხვდება. ვაჟა, თითქოს, ვერ ეგუება და-დუმებულ ბუნებას. მას ესმის მისი გარინდებაც და ხმაურიც. ვაჟა-ფშაველასთან ბუნება მეტნილად სონორულია /ტებერულ-ფერადოვანი/ და ამ შემთხვევაში „ვაჟა-მუსიკოსი“ და „ვაჟა-მხატვარი“ ერთ სიმაღლეზე დგანან.

იმისგან ჰყვირის ირემი,  
მისით დაფრინავს შველია  
მისგანა გალობს ბულბული,  
მისგნითვე მწვანობს ველია.

ან

გალობს და გალობს დაუცრომელი  
კრიმანტულებით გაუძლომელი.

ან

ფრინველნი ათასნაირნი  
ტკბილად მსტვინავნი ღამითა

ან

დამჭკნარ-დამზრალი დედა-ბუნება  
გალობის ჰანგებს ჩაებანება.

ვაჟა-ფშაველას სმენას ბუნების „საორკესტრო“ ხმების ერთდროული აღქმის უნარი გააჩნია.

ვაჟა აღიარებულია მეტაფორებისა და შედარებების დიდოსტატად. ხშირად თავის წილ ფუნქციას მუსიკაც იღებს ხოლმე. ასეთ შემთხვევებში „ვიზუალური სახეები“ ჩანაცვლებულია „სმენითი სახეებით“:

ქარი ქვითინებს ღრუბელთა  
შარი თქვეს შესაბარები /„ბახტრიონი“/

ღამით მინახავს მთის პირად  
ბუგულსაკლავად კიოდეს  
/„გაზაფხულს ია აძოდის“/

ხევი-ხევ შემოყრანტალებს  
ყორანი ავის ხმისაო  
/„ალუდა ქეთელაური“/

შავყურებს გაოცებული  
შავი ღრუბლების მღერასა /„არავი“/

„მუსიკალური მეტაფორების“ კლასიკური მაგალითები გვხვდება ვაჟა-ფშაველას მოთხოვნებში „ჩხიკვთა ქორნილი“ და „ბუნების მგოსნები“, რომლებიც მდიდარია ბერძნერის მაგალითებით და ხმოვანი სახეების კონტრასტებითაც.

ვაჟა იმ პოეტების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც სამყაროს ჰარმონიას მოიაზრებენ როგორც ხმოვანი სახეების „სტერეოფონულ მოცულობას“, როგორც ბუნების ცოცხალ მოვლენას. ამიტომ ვაჟა-ფშაველას გოეთესებრ შეეძლო თქვა – მთელი ბუნება მელოდიაა, ღრმა ჰარმონიით აღვსილიო. „ბუნებას ისევე უყვარს ხელოვნება, – ამბობს ვაჟა, – როგორც ჩვენ. ან კი ჩვენ, ადამიანებს, სად შევიძლიან ისე შევიყვაროთ

ხელოვნება, როგორც თვით ბუნებას, რომელიც თავის-თავადაც ხელოვნებაა. „მაგრამ მუსიკა ბუნებაში, ისევე როგორც ბუნება ვაჟას სამყაროში განუყოფელია ადა-მიანისგან, მის მიერ გარემო სინამდვილის ესთეტიკური აღქმისგან. ხელოვნების უმაღლეს ესთეტიკურ კატეგორიად ვაჟა მის ბუნებრივობაში” — ამბობს პოეტი „მშვენიერება მის ბუნებრივობაში“ — ამბობს პოეტი და ეს მისი შეხედულება ჩამოყალიბებულია სტატიაში „სად არის პოეზია?“: „ყველაფერი, რასაც ბუნებრივობა ეტყობა: სიძულვილი თუ სიყვარული, შერი, მტრობა, სიმამაცე და სიმძღვრე, ქველობა თუ სიძუნე და სხვა და სხვა... იქ უსათუოდ პოეზია. ყველაფერს თავისი გასამართლებელი საბუთი აქვს, მიზეზი, გარემობა. მწერალს ეს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ბუნებრივს კანონს არ უმტყუნოს, წესირება ბუნებისა დაიკვას — ისე უნდა გადმოგვცეს სურათი, რომ არა ვთქვათ — ყოვლად შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღმდეგიაო“ /ვაჟა-ფშაველა. ტ.IX.397/.

ვაჟა-ფშაველასთვის ხელოვნება არ არის წმინდა ესთეტიკურ ჩარჩოში ჩაკეტილი ფერმენტი. მისი ყურადღება მიპყრობილია ხელოვნების უმაღლეს ეთიკურ დანიშნულებაზე, მის უდიდეს ზემოქმედების ძალაზე. „ბუნების მგოსნებში“ იგი წერს: „, თუ მეტყველ ნაწილს ბუნებისას — ადამიანებს, გვყავს საკუთარი რუსთაველები, შექსპირები და პომეროსები, უფყვ ბუნებასაც — ტყეს, ფრინველებს, ცხვველებს ჰყავთ თავისი შექსპირი და რუსთაველი. ეს არის — ბულბული, მისი მშვენიერი, ტყბილი გალობა სული წმინდად ჰქმნიდა მთელ ბუნებას თავის ციონ და დედამიწით, თავადაც დამდნარი, შეერთებოდა ამ სული წმინდას და ყოველი მშენელის გული დაესვა თავის ლალ, მსუბუქ მხრებზე და ბედნიერებად ქცეულს, არწევდა, აქანავებდა. ასეთი დიდებული და აღმაფრენის მომწიქებელი იყო ბულბულის სტვენა, — დამატყბობელი, გაკვირვებით და სისარულით აღმვსები ყველასათვის, ვინც მას უსმენდა.... ბულბული კეთილხმოვნებას ჰქონდა მთელ არემარქს, აერთებდა ცას და დედამიწას, აზავებდა ერთს მეორეს-თან ისე, კაცს ეგონებოდა, რომ ამიერიდან ცა ჭიანჭველასაც კი არ გასჭყლებავდა დედამიწაზე განაღამც დაუმავებდა რასმე ადამიანს“.

ეს მოთხოვთ ათვალისაჩინოებს ორ არსებით მო-

მენტს: პირველი — ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულებას ხელოვნებისადმი, მის მიერ სამყაროს საოცრად ფაქტი განცდას ხმოვანი სიმბოლოებით და მეორე ხელოვნების უმაღლეს ეთიკურ დანიშნულებას. აღსანიშნავია, რომ მოთხოვთ თავად ბულბულის სახის სემნატიკა ისევე გამოხატავს ეთიკურისა და ესთეტიკურის ურთიერთმიმართებას, როგორც დანარჩენი ფრინველები ყოფიერების სხვადასხვა საწყისებს. არწივი — ძალასა და მედიდურებას, სვავი — სიხარბეს, სიძულვილს, ბნელების, ქედანი — სიკეთეს, სიმშვიდეს, გუგული — „საგაბაფხულო განახლებას სულისას“. აი, ამ სახეებში იხსნება ვაჟასული გაგება ხელოვნებისა, კონკრეტულად მუსიკისა, რომელიც ყოფიერების არა მარტო სიხარულია, არამედ მისი გარდამქმნელივაა, რაბეც ღალადებენ თვით ფრინველები: „სვავი: — მე შენი გალობა ბევრჯელ მესმის და კმაყოფილიც ვარ, მხოლოდ ერთი რამა მწყინს: შენი გალობა ლეშის მადას მიკარგავს, ცოტა ეს არ მომწონს. თუ კარგად დაუგდო კაცმა ყური შენს გალობას, გულში ეწვეთება ისეთი მძიმე, მწვავე ცვარები, არ ვიცი ეს ცვარები რისაა, მხოლოდ ვერძნობ და ვიცი ის, რომ გულზე ალიბჭდება და ინერება შემდეგი სიტყვები: ნუ მოჰკლავ, სისხლს ნუ დაღვრი“, შევარდნი: — მე კარგად მესმის შენი გალობის, თვით შენი მნიშვნელობა, შენ რომ არა გვყანდე, ფრინველები ერთმანეთს მუსრს გავავლებდით, შავარდნენი შავარდნეს აღარ დაინდობდა. შენი მშვენიერი ხმა ჩვენ სასტიკ მოსისხლე მადას გვინელებს, მე ეს ჩემ თავზე გამომიცდია. „ქედანი: — უსაბღვროდ გმადლობ, ძვირფასო მგოსანო, რომ შენმა მღერაძ, დიდებულმა ჰანგმა და ტყბილმა ხმებმა აღმზარდეს ასეთი მშვიდი და უვნებელი ფრინველი — ყველა მლოცავს, ყველას ვუყვარვარ და ლოცვა-კურთხევით ვიხსენიებიო.“

ასე, ვაჟას ცნობიერებაში მუსიკა შედის როგორც მშვენიერების, სილამაზის, კაცომყვარების, ჰარმონიულობის სინონიმი. ამით ის სულიერად ენათესავება აღორძინების ეპოქას, შექსპირს, რომლის ტრაგედიებში, ცნობილი ქართველი მუსიკოლოგის გივი ორჯონიკიძის აზრით „უმაღლესი სათხოება იმდენადვე მუსიკალურია, რამდენადაც მუსიკალური ადამიანურია“.

როდესაც ჩემს პედაგოგზე, შესანიშნავ მუსიკისმცოდნება და არაორდინარულ პიროვნებაზე, მჩია იაშვილზე წერილის დაწერა გადავწყვიტე, იმთავითვე ამომტიფივტივდა არტურ შემპენჰაუერის სიტყვები: „მაღალნიჭირი კაცი ამაყია და არ შესწევს უნარი მლიქვნელობით ფეხევეშ გაეგოს იმას, ვისთვისაც ნიჭი არ უბოძებია ღმერთს და ვის წინაშე — სწორედ ამიტომ — იძულებულია დამალოს თავისი უპირატესობა, ან სულაც უარყოს იგი. საპირისპიროდ მოქმედებს უნიჭობის შეგნება; რადგან უნიჭობა მშვენივრად უთავსდება ქედმოდრეკილობას, გულლიაობას, თავაზიანობასა და მაამებლობას უბადრუკობის მიმართ, ხოლო ამ თვისებებით შემკულ კაცს არც მეგობარი აკლია და არც მფარველი. ბემოთქმული ეხება არა მარტო სახელმწიფო მოღვაწეებს, არამედ საპატიო თანამდებობებსაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, სამეცნიერო კარიერასაც. ასე მაგალითად, აკადემიები საშუალო ნიჭის ხალხითა გამოტენილი, მაშინ, როდესაც ჭეშმარიტად ღირსეული ადამიანები გვიან, ან საერთოდ ვერ ხდებიან აკადემიკოსობის ლირსნი. თუმცა ეს ყველგან ასეა.”

დიახ, მჩია იაშვილი გამოიჩეოდა ნიჭიერებით, ფართო ერუდივით, ისტორიული ხედვით, მისი აბროვნება — ორიგინალობით, სისხარტით. მასზე, აბრის და საკითხ-

და დღემდე ქართული მუსიკისმცოდნების მნიშვნელოვან და იშვიათ მონაპოვრად რჩება. წიგნი მრავალმხრივადაა საინტერესო და ყურადსალები, ამასთან, იგი მჩია იაშვილისათვის დამახასიათებელი ანალიტიკური, ლოგიკური აბროვნების შესანიშნავი ნიმუშია. მასში თავმოყრილია უზარმაზარი ლიტერატურული და ისტორიული, მუსიკალური წყაროები, რომელთა ანალიზის შედეგად მკვლევარი ასაბუთებს, რომ ქართული მრავალხმიანობა II—III ათასწლეულებში იღებს სათავეებს და ადგენს მისი განვითარების ეტაპებს. ქართული მრავალხმიანობის ასეთი ქრონოლოგიზაცია პირველად ჩნდება მუსიკისმცოდნეობაში. ყველა, ვინც კი ქართულ მრავალხმიანობაზე, ქართულ ფოლკლორის საკითხებზე მუშაობს, ვერდა ვერ აუვლის ამ წიგნს (სამწუხაროდ, ბოლო წლებში მჩია იაშვილის ამ ნაშრომის მითითება სადიპლომო თუ სადისერტაციო ბიბლიოგრაფიებში არ ხდება, არადა საბჭოთა პერიოდის სამუსიკისმცოდნეო მეცნიერებაში რამდენი მაკულატურაა?! ამ საკითხზე ცალკე დისერტაცია შეიძლება დაიწეროს).

კონსერვატორიაში ჩვენ კურსს, რომელსაც სწორედაც რომ „განსხვავებულობის“ გამო დიდად არ სწყალობდა კონსერვატორიის რექტორაცი, გამორჩეულად გვიყვარ-

# არაორდინარული პიროვნება

(მუსიკისმცოდნე მჩია იაშვილის გახსენება)

თა ხედვის მასშტაბურობის გამო, ხშირად ამბობდნენ „მამაკაცური აბროვნება აქვს“ — ი. ის კი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, „ღირსი ვერ გახდა“ თუნდაც საკანდიდატო დისერტაცია დაეცვა. მის ნაშრომს რაღაც „ხინჯი“ მოუქებნეს, თურმე. თუმცა მოგვიანებით ეს ნაშრომი წიგნად გამოიკავა — „Об истоках Грузинского многоголосия“

და მჩია იაშვილის ლექციებზე დასწრება. ეს იყო ლექციები, რომლებსაც ჩვენ, არა გაცდენებისათვის დასჯის შიშის გამო ვესწრებოდით, არამედ საკუთარი სურვილით. ასეთი ლექციები ბევრი არც გვეკონია! მისი ლექციები ყოველთვის საინტერესო და დასამახსოვრებელი იყო. ბემორამოთვლილ თვისებებთან ერთად ჩვენ მის ლექციებზე

გვიშიდავდა საოცარის იუმორის გრძნობაც, რომლითაც მოხდენილად აზავებდა სალექციო კურსს. მჩია იაშვილის აზროვნებისათვის დამახასიათებელ მოვლენების ისტორიულ ჭრილში ხედვას ჩვენს ვგრძნობდთ. დღემდე მასხსოვს მისი რამოდენიმე პოსტულატი, დასკვნა, ამათუ იმ მუსიკალურ-ისტორიულ პროცესზე, შემოქმედდე... და თუკი შენ მისი აზრის ლოგიკას მიჰყვებოდი, ვერც კი იგრძნობდი ისე გაგაფარებდა ისტორიის ლაბირინთებში და მიგიყვანდა მის მიერ შემოთავაზებულ დებულებამდე. ამასთან, ნებისმიერი თემა, რომელსაც იგი შეხებია, ლექციებზე თუ თავის სამეცნიერო შრომებში, ქართულთან მიმართებაში იყო მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი.

მჩია იაშვილის ლექციებიც, გარდა ზემოდასახელებული მახასიათებლებისა, ეროვნული თემატიკის პრიმატიაც იყო აღსანიშნი.

კიდევ ერთი გამორჩეული და დასაფასებელი თვისება, რომელიც მე მოგვიანებით შევნიშნე. მაშინ უკვე საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში ვმუშაობდი და ქ-ნი მჩიას კოლეგა გახლდით. ეს იყო 1996 წელი. ქ-ნი მჩია იმხანად საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სარეკვიზითო კომისიის თავმჯდომარე იყო და კომპოზიტორთა კავშირის ფინანსური მუშაობის რევიზია ევალებოდა. მან კავშირის მუშაობის შესახებ უზარმაზარი, სკრუპულობურად დამუშავებული დასკვნა გამოიტანა. და რა?! მოუსმინა ვინმეე?! დარბაზში, როგორც ყოველთვის, ხორხოცი ატყდა: „მაგას ვინ მოისმენს! დროზე წაიკითხეთ! მოკლედ გვითხარით!“ ... და ა.შ. მისი სიტყვები იმ აურჩაურში არც არავის გაუგია, არადა რამდენი იშრომა ისევ კომპოზიტორთა კავშირის (და მაშინ ჯერ კიდევ ასე ვფიქრობდი, რომ ე.ი. ბოგადად ქართული მუსიკის) საკეთილდღეოდ. მჩია იაშვილი სიმართლისათვის იძრძოდა, სიმართლის მოსმენა კი არავის უნდოდა. შედეგიც მივიღეთ – ნლების მანძილზე კომპოზიტორთა კავშირმა მრავალი რამ დაკარგა. მე ყოველთვის მაკვირვებდა კომპოზიტორთა კავშირის ყრილობებზე გამომსვლელისადმი კოლეგების (ყველას არ ვგულისხმობ, რა თუმა უნდა) და უბრალოდ, ადამიანისადმი, ასეთი უდიერი დამოკიდებულება.

უფრო მეტიც, ამ მოხსენების შემდეგ ქართული კულტურისა და მუსიკის ისეთი მოღვანე, საქართველოსა და ყოველივე ქართულის ისეთი გულშემატკივარი, როგორიც მჩია იაშვილი იყო, კომპოზიტორთა კავშირის გამგე-



ესა იაშვილი

ობაშიც კი არ შეიყვანეს. არ აირჩიეს კოლეგებმა! აზროვნებდა, ხოლო მოაბროვნენი ყოველთვის დინების წინააღმდეგ მიდიან, ამიტომაც ხელისშემშლელნი არიან! სამწუხაროა, რომ ადამიანებს ავიწყდებათ, ცხრა ნეტარებიდან ორი რომ სწორედ სიმართლისათვის მებრძოლთ

ქექა: „ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განსძღვნ”, „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა”.

მზა იაშვილისთვის ეს ბოლო მომაკვდინებელი დარტყმა იყო. არა ამბიცის, არამედ კოლეგების დამოკიდებულების გამო. იგი ამ ავადსახსენებელი ყრილობის შემდეგ არცთუ დიდი ხნის შემდეგ გარდაიცვალა. იმ პერიოდში მე რამდენჯერმე მომინა მასთან სუმრობა, ტელეფონითაც ხშირად ვსაუბრობდით ხოლმე და მახსოვს ის გულისტყვილი და იმედგაცრუება, რომელიც ამის შედეგად მას დარჩა. თუმცა ამ ყველაფერზე საუბრისას ის იუმროს გრძნობას არ კარგავდა, ისე ნიჭიერად გააშარებდა ხოლმე სიტუაციებს, თან ისე გულიანად, გადამდებად კისკისებდა, რომ ამის გახსენება დღესაც კი ღიმილს მგვრის და თან მაოცებს კიდევ – რამდენი რამ ახდა და გამართლდა მისი შეფასებებიდან და ვარაუდებიდან! – მას იშვიათი აღლოც ჰქონდა. ესევ დიდი ნიჭია, რომლითაც უზვად იყო დაჯილდობული მზა იაშვილი.

ერთხელ, ლექციის შემდეგ, ერთმანეთს დავვემგზავრეთ, ბევრი ვისაუბრეთ და ჩემდა გასაკვირად ქ-ნი მზას კიდევ ერთი „უსაურობა“ აღმოვაჩინე. მიუხედავად იმისა, რომ მას თავდავინტებით უყვარდა თავისი სამშობლო, შესანიშნავად იკოდა საქართველოს, ქართული ეკლესიის ისტორია, ლიტერატურა, მუშაობდა ქართული საგალობლის ცალკეულ საკითხებზე, იკოდა ძველი ქართული დამწერლობა და ამსთან, მისთვის მნილოდ სულიერი ფასეულობები არსებობდა, რასაც მის ოჯახში მისვლითანავე იგრძნობდით, იგი ათეისტი იყო. თუმცა მზა იაშვილმა, ჩემი აბრით, სწორედაც რომ მართლმორწმუნების ტრისტანის ცხოვრებით იკვერა...“

გულმა ვერ გაუძლო... გულნატკენი წავიდა წუთისოფლიდან ქ-ნი მზა – ჩაგდებული დისერტაცია – „ქართული მრავალხმანობის სათავეების შესახებ“, დაუმთავრებელი დისერტაცია თემაზე: „არჩილ კერქესელიძის კინომუსიკა“ (თუმცა მონოგრაფია „არჩილ კერქესელიძე“ უკვე გამოცემული ჰქონდა 1977 წელს), უამრავი სამეცნიერო გამოკვლევა, საგამტო სტატია... მზა იაშვილის თვალსაწირი მეტად ფართო იყო – ქართული მრავალხმანობა, ქართული საგალობელი, ქართული სანოტო დამწერლობა, ინსტრუმენტული კონცერტი (წიგნში, რომელიც

ათწლეულების მანძილზე სახელმძღვანელოს ფუნქციას ასრულებდა – „Грузинская музыкальная культура“, изд.: «Музгиз», М., 1957), კინომუსიკა, ქართული მუსიკალური ტერმინოლოგია, რუსული და საბჭოთა მუსიკის ისტორია და სხვ. ჩიმონათვალი საკმაოდ გრძელია, მაგრამ აյ მთავარია ხარისხი, მეცნიერული ხედვის, საკითხთა რაკურსის თრიგინალობა, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდა მისი შრომები.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მზა იაშვილს არავითარი რეგალია, აღიარება და საწუთოს სიკეთე არ რეგბია წილად. მაგრამ „მაღალნიჭიერი კაცი ამაყია“ და მზა იაშვილიც ქედს არასდროს იდრევდა, თვალებში სულ შემოქმედებით სხივი ედგა და იდეებით მუდამ სავსე იყო... ასეთი მახსოვს იგი დღესაც...

და კიდევ, თავმდაბლობა და უბრალოება, რაც მაღალი კულტურის, ნამდვილი ინტელიგენტობის ნიშანია. ეს ის იშვიათი მახსიათებლებია, რის ნაკლებობასაც, სამწუხაროდ, ბევრი განიცდის.

არ შემიძლია გვერდი ავუარო მზა იაშვილის პირად ცხოვრებას, რომელიც ისეთივე გამორჩეული და არაორდინარული იყო, როგორც მისი მოღვაწეობა. მას საოცარი, უწვეულო ოჯახი ჰყავდა. მისი მეუღლე – აღი ისაევარსკი, ნარმომბით დაღესტნელია. როგორც თვითონ არაერთხელ აღუნიშნავს, „საქართველოს გარეშე ცხოვრება არ შეუძლია“ – მსახიობი და პოეტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე და საქართველოს ღრმულის რჩენის კავალერია. იგი არაერთი პოეტური კრებულის, საქართველოს სიყვარულით აღსავს წიგნების ავტორია და როგორც მსახიობს 30-ზე მეტ ფოლში აქვს მონაწილეობა მიღებული. მის ლექსებზე არაერთ ქართველ კომპოზიტორს აქვს სიმღერა დაწერილი: სანდრო მირიანაშვილს, ოთარ თევდორაძეს, ნუნუ გაბუნიას, შალვა დავითაშვილს, ვაჟა აბარაშვილს, თენგიზ ჯაიანს. ამაში, უდავოდ, მისი მეუღლის – მზა იაშვილის წვლილი დაწერილი არაერთი მეტ ფოლში აქვს მონაწილეობა მიღებული. მის ლექსებზე არაერთ ქართველ კომპოზიტორს აქვს სიმღერა დაწერილი: სანდრო მირიანაშვილს, ოთარ თევდორაძეს, ნუნუ გაბუნიას, შალვა დავითაშვილს, ვაჟა აბარაშვილს, თენგიზ ჯაიანს. ამაში, უდავოდ, მისი მეუღლის – მზა იაშვილის წვლილი დაწერილი არაერთი მეტ ფოლში აქვს მონაწილეობა მიღებული. მის ლექსებზე არაერთ ქართველ კომპოზიტორს აქვს სიმღერა დაწერილი: სანდრო მირიანაშვილს, ოთარ თევდორაძეს, ნუნუ გაბუნიას, შალვა დავითაშვილს, ვაჟა აბარაშვილს, თენგიზ ჯაიანს. ამაში, უდავოდ, მისი მეუღლის – მზა იაშვილის წვლილი დაწერილი არაერთი მეტ ფოლში აქვს მონაწილეობა მიღებული. მის ლექსებზე ადამიანი. აღმართ, მხოლოდ ამგვარ, გამორჩეულ, ყველასაგნ განსხვავებულ პიროვნებასთან თუ შეიძლებოდა მზა იაშვილის მრავალნლიანი ჰარმონიული

თანაცხოვრება. ბოლო ფილმშე, დოკუმენტურ ტრილოგიაზე „Грузия и Дагестан. Формула притяжения”, ბ-ნი ალი და ქ-ნი მზია ერთად მუშაობდნენ. ქ-ნი მზია იყო ამ ფილმის სკენარის ავტორი და წამყვნი, მაგრამ თავად მზია, სამწუხაროდ, ვერც ამ ფილმის დასრულებას მოესწრო. ფილმის დასრულებამდე ალი ავარსკიზე გულისტყვილით თქვა: „Была... Сегодня, когда ее нет рядом, все гораздо сложнее. Но я просто обязан довести „Формулу притяжения” до конца. Это мой долг – перед памятью самых родных и близких мне людей”.

მზია იაშვილის კიდევ ერთი დაუსრულებელი საქმე და ოცნება... მაგრამ ბ-მა ალი მმჩნად დაისახა ამ ფილმის დასრულება და დაასრულა კიდევ – ტრილოგიის მესამე ნაწილის პრემიერა 2010 წელს შედგა. მას საუკეთესო გამოხმაურება ერგო. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ფილმის გადაღება, ამ არაორდინარულმა წყვილმა, საკუთარი ხარჯებით დაინტენდება და ბ-მა ალიმ დაასრულა კიდევ. ისინი ხომ ხშირად არამცუ უსასყიდლოდ იღვწოდნენ ქვეყნის საკეთილდღეოდ, არამედ საკუთარი ხარჯიც ბევრი გაულიათ. საერთოდ, ამ საოცარი წყვილის მთელი შემოქმედება ორი ქვეყნის, საქართველოსა და დაღესტნის ურთიერთსიუყარულისაკენ, ჩვენი ხალხების დაახლოებისა და ურთიერთმეგობრობისაკენ იყო მიმართული – მათ ხომ ასე უყვარდათ ერთმანეთი და ასეთივე სიყვარულით აღსავსე ხიდს დებდნენ ორ ქვეყანას შორის... მათ ოჯახში იკრიბებოდნენ როგორც ქართული, ისე დაღესტნური ინტელიგენციის საკუთესო წარმომადგენლები. შემთხვევითი არაა, რომ მათი კიდევ ერთი, ჯერჯერობით აუცილებელი ოცნება იყო ქართულ-დაღესტნური კულტურის ცენტრის გახსნა საქართველოსა და დაღესტანში, რაც კიდევ უფრო გაამყარებდა ამ ორ ხალხებს შორის კავშირს და იქნებოდა კავკასიის ხალხთა მეგობრობის კიდევ ერთი კერა. სამწუხაროდ, ეს იდეაც დღემდე განუხორციელებელია, თუმცა ალი ისაევ-ავარსკი იმედს არ კარგავს და დღესაც ანთებული საუბრობს ამ თემაზე... მასთან ერთად ჩვენც ვიმედოვნებთ, მით უფრო დღევანდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, როგორც ასე მნიშვნელოვანია კავკასიის ხალხთა ურთიერთთანადგომა და მეგობრობა, საქართველოს მთავრობა და შესაბამისი უწყებები ხელს შეუწყობენ ამ საშური საქმის რეალიზაცი-

ას. ბ-ნი ალი ფიქრობს, რომ ამ პროექტის განხორციელება ქ-ნ მზია იაშვილს მარადიულ სასუფეველშიც გაანათლებს და მისი სახელის ამქვეყნიური მარადყოფნის შეგლიც იქნება.

ალი ისაევ-ავარსკი ერთ-ერთ ინტერვიუში ასე იხსენებს მეუღლეს: „Будучи еще в Москве, вспомнил мамины слова – перед смертью сказанные: сынок, край, где солнце садится, Грузией зовется. Раем слывет она. Если будешь в тех местах, поклонись ей». И я заехал в Тбилиси, встретился с прекрасной грузинкой. Я был очарован Мзекалой ... Мне показалось, что я находился в темном тоннеле и она меня вывела на лазурный берег. Все мои встречи с выдающимися деятелями Грузии, России и Дагестана, все мои успехи в жизни – все ее заслуга. Это она „город стояла”.

ასეთი იყო მზია იაშვილი...

იქნება ახლა, გარდაცვალებიდან გავლილი წლების შემდეგ მაინც, პატივი მივაგოთ ამ შესანიშნავ ქართველ მუსიკისმცოდნებს, მოღვაწეს და 2012 წელს, მისი დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად გამოვცეთ მზია იაშვილის შრომების კრებული ქართულ ენაზე.\*

აზია ჯაფარიძე

\* „ქართულ ენაზე”, ვინაიდან საბჭოთა საქართველოს იდეოლოგიის გათვალისწინებით, ბევრი შრომა იბეჭდებოდა რუსულ ენაზე, მათ შორის მზია იაშვილის ნივნი „**Об истоках Грузинского многоязычия**” გამოცემულია რუსულად, ისევე, როგორც ბოგიერთი მისი სხვა შრომა.



რენა ბარბერა, კლასიფიკ ფომინგო, არაში იანდი

# ოპერალია 2011

**ვოკალისტთა მსოფლიო საერთაშორისო საოპერო კონკურსი  
მოსკოვში**

მრავალფეროვან საოპერო კონკურსებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ვოკალისტთა მსოფლიო კონკურსს „ოპერალიას“. კონკურსის სულისჩამდგენელი და უცვლელი პრეზიდენტი გახლავთ თანამედროვების უდიდესი ტენორი, დირიჟორი და ღლოს-ანჯელესის საოპერო თეატრის გენერალური დირექტორი პლასიდო დომინგო. კონკურსი იმართება ყოველწლიურად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამჯერად, ოპერალის რიგით მე-19 კონკურსი გაიმართა მოსკოვში სტანილაგსკისა და ნემიროვჩი-დანჩენკოს სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე 2011 წლის 18-24 ივლისს. კონკურსის თანაორგანიზატორი და მასპინძელი მოსკოვში გახლდათ გალინა ვიშნევსკაიას საოპერო ცენტრი და მისი სამხატვრო ხელმძღვანელი, საოპერო სცენის ვარსკვლავი გალინა ვიშნევსკაია.

კონკურსი დაარსდა 1993 წელს. გასული თვრამეტი

წლის მანძილზე, მსოფლიომ შეიძინა საოპერო სცენის ვარსკვლავების ახალი თაობა: ხოსე კურა, ჯოს დი დონაფო, ჯოზეფ კაბიერი, როლანდო ვილაბონი, დიმიტრი კორჩაკი, იულია ნოვიკოვა, ლაშა ნიქაბაძე, ანა კინაძე, ქეთევან ქემოკლიძე და ა.შ. მაესტრო დომინგოს მთავარი მიზანი იყო დაერსებინა არა ტრადიციული ვოკალისტთა კონკურსი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, შექმნა ორგანიზაცია, რომელიც დახმარებას გაუწევდა ახალგაზრდა ნიჭიერ მომღერლებს საოპერო კარიერის ნინსვლაში, ამიტომაც, ყოველწლიურად „ოპერალიას“ კონკურსის უიურის წევრებად ინვევენ მსოფლიოს წამყვანი საოპერო თეატრების დირექტორებსა და იმპრესარიოებს.

წელს მოწვეულები იყენებ: უან-ლუი გრინდა – მონტეკარლოს საოპერო თეატრის დირექტორი, პეტერ კატონა – კოვენტ გარდენის(ლონდონი) კასტინგ-დირექტორი, ჯოან

მატაბოში – ლისეის(პარსელონა) საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ჯან-ლეი პიშონი – მასნეს ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი, ანდრეს როდრიგესი – სანტიაგოს მუნიციპალური თეატრის გენერალური დირექტორი, ჯონატან ფრენდი – მეტროპოლიტენ პერის არ-ედირექტორი, ტიერი ფუკე – ბორდოს საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, იოან პოლენდერი – მეტროპოლიტენ იოან პერის სამხატვრო კონსულტანტი, ჯან-ლუი შოპლინი – შატოლეს (პარიზი) საოპერო თეატრის გენერალური დირექტორი, ჰელგა შტიტი – ლონდონის კონცერტგაბაუსა და ვერდის(მილანი) ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მარტა დომინგო და გალინა ვიშნევსკაია. ამდენად, წარმომადგენლობითი უიურის ფუნქცია განისაზღვრებოდა არა მხოლოდ ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერლების ობიექტურად შეფასებით, არამედ მათი შემოქმედებითი განვითარებითა და მიზნობრივი რეალიზაციით, რაც ითვალისწინებს მომღერლების სპექტაკლებში მინვევს და ახალი რეპერუარისათვის კონცრაქტების გაფორმებას.

„ოპერალიაში“ მონაწილეობის საშუალება ეძლევა მსოფლიოს ყველა ქვეყნის წარმომადგენლოსა და ყველა კატეგორიის საოპერო ხმას 18-30 წლის ჩათვლით. შესარჩევი ფური მიმდინარეობს ვიდეოკასეტებით. ყოველწლიურად თავერალის მისამართზე მოდის მონაწილეობის მიღების მსურველთა ათასამდე განაცხადი. პირველ ფურზე დაიშვება მხოლოდ 40 ღირსეული პრეტენდენტი. კონკურსი მოიცავს როგორც კლასიკურ რეპერტუარს, ასევე – ესპანურ ოპერას – სარსულასაც.

„ოპერალია“ საკმაოდ ძვირადღირებული კონკურსია და 2001 წლიდან მის მუდმივ პარტნიორად გვევლინება მსოფლიოს წამყვანი შვეიცარული საათების კომპანია „როლექსი“. მისი მიზანია სრულჰყოს და დაეხმაროს საოპერო ხელოვნების ახალგაზრდა წარმომადგენლებს.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი უზრუნველყოფს ყველა კონკურსანტის სატრანსპორტო ხარჯებს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან, და რასაკვირველია, ითვალისწინებს კონკურსანტების საკუთხეს პირობებში ცხოვრებას. თავერალიასთან თანამშრომლობები მაღალი კლასის კონკურტმაისტერები, მათ შორის ორი ჩვენი თანამემამულეც – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებულები, ნინო და თამარ სანიკიძეები. ისინი ნაყოფიერად მოვაწოდენ დომინგოს

მიერ დაარსებულ საოპერო სტუდიებში ლოს-ანჯელესა და ვაშინგტონში. საყურადღებოა, რომ კონცერტმაისტერების პროფესიონალიზმის და შემოქმედებით რეკომენდაციებს ითვალისწინებს თავად მასტრო პლასიდო დომინგო.

კონკურსი მიმდინარეობდა ერთი კვირის განმავლობაში – ივნი მოიცავდა პირველ და მეორე ტურს ფორტეპიანოს თანხლებით, და მესამე ტურს (ფინალს) ორკესტრის აკომპანემენტით, რომელიც გალა კონკურსის სახით თავად მაესტრო პლასიდო დომინგოს ხელმძღვანელობით ჩატარდა. უიურის გადაწყვეტილების გამოცხადებამ ლაურეატთა გულწრფელი ემციელი გამოიწვევია, რამაც უდავოდ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე.

კონკურსი კიდევ ერთი, ფრიად დამახასიათებელი და სასიამოვნო ტრადიცია გააჩნია – ფინალის ბოლოს ორმოცივე მონაწილის მიერ სრულდება სპეციალურად ოპერალისთვის დანწერილი ჰიმნი, რომელიც ხაშს უსვამს კონკურსის პომპეზურობასა და საზემო ფრნალს და ლოგიკურად აგვირვენიებს კონკურსის იდეას, რომ საოპერო ხელოვნება არის მრავალეროვანი, ნიჭიერი ადამიანების ერთსულოვნების ზემდებარები.

წლევანდელ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 18 ქვეყნის 42-მა წარმომადგენელმა და საკმაოდ ძლიერი კონკურენციის შედეგად ფინალში შეირჩა 12 პრეტენდენტი შემდეგი ქვეყნებიდან: აშშ, ჩილე, პოლონეთი, მოლდავითი, რუსთი, სამხრეთ კორეა, უკრაინა და სამხრეთ აფრიკა. მიუხედავად ფინალისტთა საკმაოდ მაღალი საშემსრულებლო მონაცემებისა, უიურიმ ამგვარად შეაფასა ლაურეატთა გამოსვლები: პრემიები სენსაციურად განაწილდა ქალთა და მამაკაცთა საოპერო ხმებში როგორც კლასიკურ უანრში, ასევე სარსუელაში. ბელინის „ბეატრიჩე დი ტენდას“ შესრულებისთვის პირველი პრემია ქალთა შორის დამსახურებულად მიიღო ლა სკალას კურსდამთავრებულმა, ულამაზესი სოპრანოს მფლობელმა, სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელმა, პრეტი იქნებმ, უიურის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მასვე მიენიჭა პირველი პრემია ქალთა შესრულებაში და მსმენელთა სიმპათიის პრიზი – „როლექსის“ ოქროს საათი. პრემიები ანალოგიურად განაწილდა მამაკაცებში და სამივე პრიზი ამერიკელ ტენორს, რენე ბარბერას ერგო, დონიცეტის თავერა „პოლკის ქალიშვილის“ შესრულებისთვის.



# „მიდია“ ეთასში

“ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრი და მუსიკალური დარბაზის” (დღეს ასე ეწოდება ქუთაისის ოპერის თეატრს) სკენაზე – კიდევ ერთხელ (პირველად – 1975-წელს) სეზონის მიწერულს დაიდგა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ოთარ თაქთაქიშვილის ცნობილი ოპერა „მინდია“, რაც ქალაქის მუსიკალური ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა.

დადგმის ინიციატორები არიან თეატრის დირექ-

ტორი ქალბატონი რობა დვალიშვილი და სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი რევაზ ჯავახიშვილი, რომელიც ამ სპექტაკლში ოპერის დამდგმელის ფუნქციასაც ითავსებდა.

თავიდანვე ვიტყვი, რომ ნიჭიერმა მუსიკოსმა ორივე ამ საპასუხისმგებლო ფუნქციას წარმატებით გაართვა თავი. სპექტაკლი გამოვიდა სწორედ ისეთი, როგორც ეს ვაჟას პოეტურ გენიასა და ო.თაქთაქიშვილის შთაგონებულ მუსიკას ეკადრება. მან შესანიშნავად შეკრა

სპეციალი, გამოკვეთა მუსიკის სიმფონიური ბუნება და წარმოაჩინა “მინდია”, როგორც ფილოსოფიური ოპერა – პოემა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქუთაისის საოპერო სცენაზე ღირსეულად გაიხსნა ვაჟას შემოქმედებითი მრჩნამსი.

ქებას იმსახურებენ ოპერის მთავარი მოქმედი პირების შემსრულებლები: რამაზ კუბლაშვილი (მინდია), ლაშა თითბერიძე (ჩალხია), ხათუნა ჭოხონელიძე (მზია), კალე ხარჩილავა (ხევისბერი), ემილ ჩარგაბია (მაცნე).

თოთქმის ყველა მათგანი მომღერალთა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელია და თბილისისა და ქუთაისის კონსერვატორიების აღმზრდილია არიან. დღეს ისინი ქუთაისის საოპერო დასის ბირთვს შეადგენენ და თავის კოლეგებთან ერთად ამჟღავნებენ მზადყოფნას. რთული შემოქმედებითი ამოცანების გადასაწყვეტად.

უფროსი თაობის მსმენელებს კარგად ახსოვთ ქუთაისის საოპერო სცენაზე მინდიას როლის შემსრულებელი – შესანიშნავი მომღერალი, დაუვინყარი ვაჟა კუბლაშვილი. თავისი მამის გბა ღირსეულად განაგრძო მისმა შვილმა რამაზ კუბლაშვილმა, რომელმაც ო. თაქთაქიშვილის გმირის შთამბეჭდავი მუსიკალური და სცენური სახე შექმნა. მან შესანიშნავად წარმოგვიდგინა მინდიას სულიერების კრედიტით „ხევი მთას ჰემინებს, მთა ხევსა“. ეს ეხება არიას ცენტრალური მხატვრული სახის მატარებელ პირველ და მესამე მონაკვეთებს და შესანილებას, სადაც კლასიკურ ჰარმონიულ წყობაში იქრება “მთის” (ფშაური) კილო, რითაც კომპოზიტორი ამტკიცებს გმირის კავშირს მშობლიურ ბუნებასა და მინიერი ცხოვრების საწყისთან.

ფინალურ არიაში კი (“ვეღარას ვხედავ”) მომღერალმა თავისი გმირის სულიერი სამყაროს კიდევ ერთი – ტრაგიკული ასპექტი წარმოვვიდგინა. აქ, ისევე როგორც მთელი ოპერის მანძილზე, რ.კუბლაშვილის ხმა გამომსახველად და ლამაზად უღერდა.

ოპერის მეორე გმირია ჩალხია, რომელიც ოპერაში კონფლიქტური საწყისის მატარებელია. პარტიის შემსრულებელმა ახალგაზრდა მომღერალმა ლაშა თითბერიძემ ჩინებულად დაძლია ვოკალური პარტიის მხატვრული და ტესიტურული სიძნელეები. საოცარი ტრაგიკული განცდით იმღერა მან ჩალხისას გენიალური

ბალადა “დაჭრილი არნივი”. ასევე ძლიერი იყო მომღერალი რეჩიტატიულ სცენებშიც.

ოპერის ლირიკულ გმირს მზიას ასახიერებს ცნობილი მომღერალი ხათუნა ჭოხონელიძე. შესანიშნავად შეასრულა მან მზიას შთაგონებული არია “დაბნელდა, წვრილნი ვარსკვლავნი”, რომელიც გამსჭვალულია მოსალოდნელი კონფლიქტის განცდის განწყობილებით. ჩინებულად უღერდა მომღერლის ხმა მინდიასთან დუეტებშიც.

თავარ გმირებს ღირსეული პარტიორობა გაუწიეს კახარჩილავამ (ხევისბერი) და ეჩარგაზიამ (მაცნე). პირველმა – კარგად გადმოვვაცა თავისი გმირის ხასიათი და შესაბამისად, ვოკალური პარტიის ნიუანსები, მეორემ კი – თავის პატარა მონოლოგში ერის ტკივილი ჩადო.

თაქთაქიშვილის ოპერაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია გუნდსა და ორეკსტრს და, უნდა ითქვას, რომ ორივე ეს მნიშვნელოვანი მხატვრულ-მუსიკალური კომპონენტი საუკეთესოდ წარმოჩნდა მსმენელთა წინაშე. გუნდის მომღერალთა და მათი შესანიშნავი ხელმძღვანელის – ქორმასტერ ეთერ ფილიპაშვილის დამსახურებაა ხმოვანების კომპაქტურობა, დიფერენციული ნიუანსირება და გამომსახველობა (მინდიას დატორების სცენა, გუნდი “გივამ, ძმებო, ჯაჭვის ჰერანგს”, “ბუნების ხმათა” და სხვ.).

ასევე მონადების სიმაღლეზე იყო საორკესტრო ხმოვანებაც, რაც ორკესტრანტების და დირიჟორის დამსახურებაა.

რეჟისორმა (რ.ჯავახიშვილი) დიდი როლი დააკისრა დეკლამატორს (მკითხველს) გიორგი უორულიანს, რომელიც სცენაზე გამოდის ოპერის პროლოგსა და ეპილოგში, როგორც ოპერის ძრითადი ეთიკური და ფილოსოფიური იდეის – ბუნებისა და სიცოცხლის მარადიულობისა და უკვდავების დამამკვიდრებელი.

სპეციალი “მინდია” ნათლად წარმოაჩინა ქუთაისის საოპერო თეატრის ჭუმარიტი შემოქმედებითი პოტენციალი, რაც მისი მომავალი წარმატებების საწინარი დარია.



# ზესიკა ფალიაშვილი წერილებსა და მოგონებები

„მუსიკა“ სიამოვნებით უთმობს გვერდს საბოგადოებრივი რადიოს „ოქროს ფონდში“ დაცულ სამუსიკო მოღვაწე-თა ხმების უნიკალურ ჩანაწერებს. იდეა თავისთავად ძალგე საინტერესოა, რადგანაც რადიოს იშვიათ ჩანაწერთა არქივში შემონახულია იმ ადამიანთა ხმები, რომლებიც დღეს ჩვენს შორის აღარ არიან. გარდა იმისა, რომ ეს ჩანაწერები ძალგე ძირიად ფასობს, ისინი შეიცავენ საინტერესო ფაქტებსა და ინფორმაციას საქართველოს სამუსიკო ცხოვრებიდან.

ყოველივე ამისათვის დიდი მადლობა – რადიო 1-ს ხელმძღვანელებს, ბატონებს ნიკა ცერცვაძეს, რატი მელაძეს, ქალბატონ ლია ნიკლაურს, აუდიოფონდის ხელმძღვანელს ქალბატონ ნინო უღენტს. მათი ნება რომ არა, ეს ფასდაუდებელი მასალა ჩვენი უურნალის მეთხველის ყურადღების მიღმა დარჩებოდა..

საბოგადოებრივი რადიო 1-ს „ოქროს ფონდში“ დაცული სამუსიკო მოღვაწეთა „რადიო-1“ 102,04 ხმების უნიკალური ჩანაწერებიდან გთავაბით რადიოკომპონიციას „ბაქარია ფალიაშვილი წერილებსა და მოგონებებში“, რომელიც 1968 წლის 13 მარტს მომზადდა რადიო 1-ის მუსიკალური პროგრამების მთავარ რედაქტორი უურნალისტ ირინე გამყრელიძის მიერ. რედაქტორი – ლია სენიაშვილი.

## რუბრიკას უძღვება „რადიო 1“-ს მუსიკალური მიმართულების რედაქტორი ლალი გაბუნია

კომპოზიტორი **ალექსანდრე ბუკია:** (სტილი დაცულია) ეს იყო, თუ არ ვცდები, 1928 წელს, ზაქარია ფალიაშვილმა განიტრახა თბილისის სახ. კონსერვატორიასთან ჩამოყალიბებინა ქართული ხალხური მუსიკის კაბინეტი. შეგვერთა რამდენიმე სტუდენტი, განგვიმარტა თავისი მიზანი, გაგვაცნო მომავალი მუშაობის გეგმა და თვითურლი გარკვეული დავალება მოგვცა. ჯგუფს თვით ზაქარია ხელმძღვანელობდა, ხოლო მდივნობა დამავალა მე. დღესაც მახსოვს მისი გამოსვლა ჩვენს პირველ შეკრებაზე. მან ასე მოგვმართა: თქვენ კარგად იცით ყმანვილებო, ჩვენი ეროვნული პროფესიული მუ-

სიკის განვითარებისათვის ქართული ხალხური მუსიკის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ქართველი მუსიკოსისათვის, განსაკუთრებით კი თქვენთვის, მომავალი კომპოზიტორებისათვის. საკმარისი როდია მარტო კლასიკური მუსიკის ცოდნა, საჭიროა ღრმად შეისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერების ბუნება, გაეცნოთ მისი ჰარმონიისა და პოლიფონიის თვითმყოფადობას, მისი მელოდიური განვითარების კანონზომიერებას. ეს ცოდნა თქვენს შემოქმედებას ქართულ სულს შთაბერავს, უამისოდ კი, რამდენიც არ უნდა წეროთ, მკვდარი მუსიკა გამოგვივათ, მას სიცოკხლის უნა-

რი არ ექნება.

ქართული ხალხური სიმღერების შესაკრებად და ჩასა-ნერად ქართული მუსიკის ბევრ მესვეურს შემოუვლია საქართველოს თოთქმის ყველა კუთხე, მათი ჩანაწერები სანოტო რვეულების ან ფონოგრამების სახით ინახება აქ, ჩვენს კონსერვატორიაში. ეს უდიდესი განძი ყველა სტუდიურისათვის უნდა გავხადოთ ხელმისაწვდომი. კომპოზიტორები მათ გამოიყენებენ თავიანთ შემოქმედებაში, ხოლო მომავალმა მუსიკის მცოდნებმა მათ საფუძველზე შეიძლება დაადგინონ მუსიკის თეორიის ახალი კანონები. ვიმეორებ და კარგად დაიხსომეთ: თუ შემომქმედი აცდა ეროვნულ ნიადაგს და მის ნაწარმოებებში არ იგრძნობა ეროვნული სული, ასეთ ნაწარმოებს არავითარი ღირსება არ ექნება...

**ეთერის პარტიის ერთერთი პირველი შემსრულებელი ბარბარე მრავალი:** (სტილი დაცულია)

მახსენდება ბაქარია ფალიაშვილი ვანო სარაჯიშვილის სიკვდილის მნუხარე დღეებში. ის ადგილს ვერ პოულობდა, ისევა მუდამ მოძრავი, კედლებს ანყდებოდა... განსაკუთრებით მძიმე და თან ამაღლებული მოგონება ამ დღეებისა უკავშირდება კოტე მარჯანიშვილის ცნობილ სპექტაკლს „აბესალომს უაბესალომოდ“. ამ სპექტაკლში მე ეთერს ვმდეროდი, აბესალომის პარტიას კი ვიოლონჩირისტი ემილ კაპელინიცკი ასრულებდა. მისი პულტი ორკესტრში იყო ამაღლებული. პროექტორის სხივი დადიოდა სცენაზე ვანო სარაჯიშვილის აბესალომის ნაცვლად, სინათლის სხივს რიგორიგობით ატარებდნენ სცენაზე მაშინ სრულიად ახალგაზრდა სანდრო ახმეტელი და მიშა კვალიაშვილი, მურმანს სანდრო ინაშვილი მღეროდა, დირიჟორის პულტთან ვანო ფალიაშვილი იდგა. დიდ ბარითა და გეიმით ჩაიარა ამ დაუკინარმა სპექტაკლმა...

**მომღერალი დავით ანდოულაძე იხსენებს:** (სტილი დაცულია)

ბაქარია ფალიაშვილი გავიცანი 1924 წელს. 1925 წელს ქართული საოპერო სტუდია, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკაკი ნესტორის ძე ფალავა, ნაცვანილი იყო ბორჯომში, სადაც ვამზადებდით ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზებს“. ბორჯომში ისვენებდა თავის ძმასთან ივანესთან გაქრო ფალიაშვილი. გაქრომ შალვა ცირლილაძეს და მე შემოგვთავაზა აბესალომისა და მურმანის დუეტის შენავლა, მაგრამ ნოტები არ იმოვებოდა და გაქროს შენწება რომ ნოტები გვეთხოვა, გვერიდებო-



გაკარია ფალიაშვილი

და.

დაგვინიშნა დრო და ყოველ დილით 11 საათზე ვიკრიბებოდით პარკის საკონცერტო დარბაზში. შესწავლის შემდეგ მორიგ კონცერტზე შევასრულეთ გაქროს აკომპანემენტით. გაქრო სწავლების დროს მკარი, მომთხოვნი იყო. თვითონ დაუღალავად მუშაობდა და ჩვენგანაც მოითხოვდა საცავარ სიტუაციებს ნაწარმოების ათვისებასა და მის გააბრებულად გადაცემაში. როდესაც თბილისში დავბრუნდით, მე უკვე დებიუტი ვიმღერე, ამის შემდეგ გაქრომ შემომთავაზა აბესალომის პარტიის შესრულება. როდესაც მივედი მასთან ბინაზე სამეცადინოდ, გაქრომ მომკა თავისი ხელით გადაწერილი აბესალომის პარტია, რომელსაც ვინახავ როგორც დიდ, სანუკვარ საჩუქარს. 1926 წელს, 15 დეკემბერს პირველად ვიმღერე აბესალომის პარტია თეატრში...



გარანია ფალიავილის დაქონი ფონოგრაფი

# ფონოგრაფი

თბილისში, ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში დამთვალიერებულებს არაერთხელ საგნგებოდ მოუკითხავთ ერთი ექსპონატი, ეს გახლავთ ფონოგრაფი, ხმის ჩამწერი აპარატი, რომლითაც დიდი ქართველი კომპოზიტორი საქართველოს კუთხეებში მოგზაურობისას იწერდა ხალხურ სიმღერებს. ამბობენ, ამ ფონოგრაფით სხვა ქართველი მუსიკოსი მოღვაწებიც სარგებლობდნენ.

ფონოგრაფის გამოყენების საშუალება კი მთელი მსოფლიოსათვის შესაძლებელი გახდა მე-19 ს.-ის 70-იანი წლებიდან. მაშინ, როდესაც გავრცელდა ცნობა ამერიკელი მეცნიერის თომას ალვა ედისონის გამოგონების შესახებ. თვით ედისონის თქმით ყველაფერი

ასე დაიწყო: ”ერთხელ, ტელეფონის აპარატის გაუმჯობესებაზე მუშაობისას წავილილინე დიაფრაგმაში, რომელზედაც მიმაგრებული იყო ფოლადის ნემსი. ამ დროს ფირფიტის რხევის შედეგად დამეჩხვლიტა თითო და სწორედ ამან დამაფიქრა: თუკი შესაძლებელი იქნებოდა ამ ნემსის რხევის ჩანაწერის ნემსით გადევნება, რატომ არ შეიძლებოდა ფირფიტის ახმიანება?”

ჩანაწერის გახმოვანების ფაქტი იმ დროის უდიდეს მიღწევად იქცა. ფონოგრაფზე მუშაობა ედისონმა დაიწყო 1877 წლის 18 ივლისიდან. მან თავის მექანიკოსს ასაწყობად მისცა საკმაოდ მარტივი აგებულების ნახატი, რის განხორციელებაშიც მას უნდა გადაეხადა 18

დოლარი. სწორედ ეს აპარატი იქვა მსოფლიოში პირველ ”მოლაპარაკე მანქანად”. ედისონმა ჩასაბერში ხმამაღლა წაიღილინა პოპულარული ინგლისური სიმღერა ” მერის ყავდა ბეკეკა ” (“Marie had a little lamb”).

ბეგრის ჩანერა ხდებოდა ბილიკის ფორმის გადამცანები, რომლის სიღრმეც ხმოვანების სიძლიერის პროპორციული იქნებოდა. ბეგრის ბილიკი მოთავსებული იყო მბრუნავ დაფაზე ცილინდრისებული სპირალის მონაცემებით. ნემისი წარმოქმნისას ღვარაკებები მოძრაობით რჩევა გადაეცემდა დრეკად მემბრანას, რომელიც გამოსცემდა ხმოვანებას.

1877 წლის 24 დეკემბერს ედისონმა შეიტანა განაცხადი თავისი ქმნილების პატენტზე. მისი თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა 1878 წლის 19 თებერვალს. აშშ-ის საპატენტო უწყების მიერ. პატენტის ნომერი იყო 200521. მაგრამ აქედან მოყოლებული ედისონმა 1887 წლამდე შეწყიფა ფონოგრაფზე მუშაობა (ამ დროს ის გადაცებული იყო ნათურის გავარვარებით). კვლავ მიუბრუნდა რა ფონოგრაფს, ბეგრის ჩასანერად გამოიყნა ცვილით გადახურული ცილინდრი. შედეგი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ 1906 წელს ედისონმა საბოგადოებას წარმოუდგინა რამდენიმე მუსიკალური და თეატრალური ჩანაწერი, რომელიც განახორციელა მის მიერვე შექმნილმა ნაკიონალურმა ფონოგრაფიულმა კომპანიამ ( National Phonograph Company).

პირველი ფონოგრაფები ფოლგის ცილინდრით, იძლეოდნენ ძალზე მოკლე ჩანაწერების განხორციელების საშუალებას, რომელთა ხანგრძლივობა სულ რამდენიმე წუთს წარმოადგენდა. ამავე დროს ეს ჩანაწერები უცბად ცვდებოდა. უფრო გამძლე გამოდგაცვილის ფენით დაფარული ლილვაკები. ფონოგრაფები ძალიან პოპულარული გახდა აშშ-სა და ევროპაში. ეს გარკვეულწილად განაპირობა პოპულარული შემსრულებლების ჩანაწერების ახმიანებამაც (მაგალითად, დიდი იტალიელი ტენორის – კარუზოსი). ამას მოჰყვა ფონოგრაფების ახალი მოდელები, რასაც სხვადასხვა ქვეყნებში ქმნიდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ შვეიცარიელი მენარმეები, მათ შექმნეს პატარა ზომის გადამტანი ფონოგრაფები.

თავისთავად ფონოგრაფის კონსტრუქციით ვერ მიიღეოდა ხარისხიანი ჩანაწერი. თუმცა ედისონი წლების განმავლობაში ხვეწდა თავისი ნამუშევარის. როგორც ახლა მიიჩნევენ, ალბათ, უკეთესი იქნებოდა ედისონს ეფექტი სხვაგვარი ხმის ჩანაწერი აპარატის შექმნაზე, კინაიდან ფონოგრაფის შესაძლებლობები უკვე ამონურული იყო, ხმის ჩანერის განვითარებას ახლა სხვა კონსტრუქცია ესაჭიროებოდა. მაგრამ ედისონს იმდენად უყვარდა ფონოგრაფი თავისი უნიკალურობის გამო, რომ სხვა აპარატურაზე ფიქრიც არ უნდოდა. ეს საქმე შემდგომში უკვე სხვებმა განაცრძეს.

ფონოგრაფი ის აპარატია, რომელსაც ყავს თავისი წინაპრებიცა და მემკვიდრებიც. მისი წინაპრები არიან: მექანიკური მუსიკალური ინსტრუმენტები, მექანიკური ჩანაწერები, ფონოავტოგრაფი. რაც შეეხება მემკვიდრეებს, მათი ნუსხა საკმაოდ ვრცელია, რაც ფონოგრაფის შემდგომი ხმის ჩანერი საშუალებების განვითარების დიდ გზაზე მეტყველებს. მისი შთამომავლები არიან: გრამოფონი, პატეფონი, ელექტრომექანიკური ჩანაწერი, ელექტროფონი, მაგნიტური ჩანაწერი (ამ უკანასკნელის შექმნა მის ავტორს მოათიქრდა სწორედ ედისონის ლაბორატორიის ხილვისას), ტელეგრაფონი, მაგნიტოფონი, მრავალგზიანი ჩანაწერი, კასეტური ჩანაწერი, ოპტიკური ჩანაწერი, ციფრული ჩანაწერი, ლაბერული ჩანაწერი, კომპაქტ-დისკი , DVD- Audio, super audio CD, მაგნიტოოპტიკური ჩანაწერი, მინიდისკი, HI-MD, ბეგრის ჩანერი ელექტრონული გადამტანით, აუდიო ფორმატი mp3, Tunes Store...

დღეს ჩვენს წინაშე არსებული უახლესი აპარატური მეშვეობით უდერს ქველი უნიკალური ჩანაწერებიც, მათ შორის ქართული ხალხური სიმღერების საუკეთესო შემსრულებლების, აგრეთვე დიდი ქართველი საოპერო მომღერლების (მათგან ცნობილი ქართველი ლოტბარისა და მოღვაწის ანზორ ერქომაიშვილის ძალისხმევის შედეგად იქნა მიღწეული). ამ ჩანაწერებთან ზიარებისას კი მადლიერების გრძნობას მივყართ კვლავ ფონოგრაფთან, მის შექმნელთან - ტომას ალვა ედისონთან.



გურაბ რამიშვილი, რევაზ კიკაძე

## გურაბ, დღეს, ხვალ

რამდენიმე ათეული წელია რაც ამერიკულმა ჯაზმა, სხვადასხვა ისტორიული მოვლენების წყალობით, ფეხი მოიკიდა საქართველოში. გასული საუკუნის სამოციანელებს კარგად ახსოვთ თუ როგორი დინამიკით მკვიდრდებოდა და ვითარდებოდა ჯაზი ჩვენში. პოდა, საქართველოში ჯაზის აღორძინების რეტროსპექტივა გახდა საბაბი წინამდაბარე მრგვალ მაგიდასთან სრუმრების მოწვევისა.

სტუმრები: ცნობილი კონტრაბასისტი თამაზ ყურაშვილი (თათება), ურნალისტი კახა თოლორდავა (ავტორი წიგნისა „საუბრები ჯაზზე“), კონტრაბასისტი პავლე კვაჭაძე (პავკა), პიანისტი და პედაგოგი ზურაბ რამიშვილი, კომპოზიტორი, საქსოფონისტი, ამჟამად თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის რექტორი რეზო კინაძე.

ინტერვიუს უძღვებოდა კომპოზიტორი ევგენი ჭავჭანიძე.

**ეჭ.** – რა შეიძლება ითქვას პირველი ჯაზ-ფორუ-  
მის შესახებ საქართველოში?

**თ.ყ:** – საქართველოში პირველად 1978 წელს  
შედგა მსგავსი რამ. საბჭოთა ისტორიაში ეს იყო  
მოვლენა, გარღვევა. ასევე 1986-იც და შემდგომშიც. ამ  
მოვლენებმა სული ჩაუდეს ჯაზს საქართველოში. მას  
შემდეგ ჯაზფორუმები ტრადიციად იქცა ჩვენში.

**ეჭ.** – თუ გაისწენებთ რაიმე ღირებულს იმ  
პერიოდიდან ჯაზთან მიმართებაში?

**გ.თ** – მე მუსიკოსი არ ვარ, ურნალისტი ვარ, ერთ

დღეს ჩარლი პარკერს მოვუსმინე და მთელი ჩემი ცხოვრება შეიცვალა. ამ მხრივ ტრივიალურები ვართ, ვიღაცამ ჩარლი პარკერს მოუსმინა, ვიღაცამ მაილზ დევისს, მოკლედ იმ პერიოდში ყოველივე აღნიშნულის დანახვა ბევრს ნიშნავდა, სხვა კონტექსტში უყურებდნენ ჯაზს მაშინ. ძალიან კარგად მახსოვს როგორ შეცვალა ჩემი წარმოდგენა მუსიკაზე განელინის ტრიომ. ვნახე, რომ ასეთი მუსიკაც შეიძლება არსებობდეს. მე მაშინ 18 წლის ბიჭი ვიყავი, რომელიც ამ ნაკადში მოგხვდი.

პოლ-მიუბიკში რომ შეხვიდე, განელინის შემოქმედების თთქმის ყველა ხუთვარსკვლავიანი დისკებია. გვინდა, რომ ეს ფესტივალი იყო იმ თაობისთვის მნიშვნელოვნი, რომელიც მუსიკით ინტერესდებოდა. ასეთი დონის ფესტივალი არსად არ ჩატარებულა. ასეთი ფესტივალი ჩატარდა მხოლოდ თბილისში. ბევრი შეიძლება იღაპარაკო იმ დროინდელ მუსიკს-შემსრულებლებზე, რომლებმაც წარუშლები კვალი დამიტოვეს.


**თ.ყ.** – 1978 წელს, ჯაზფესტივალი რომ იხსნებოდა, ცხონებული ჯანმ კანიძე ყანჩელს დირიჟორობდა. აღტკინებულმა ერთ მომენტში მოიხედა პუბლიკისკენ და იკითხა – განა ეს ჯაზი არ არის?

**ეჭ.** – ახლა იმდენი ფესტივალებია, რომ მათი სიმრავლე გვაბნევს კიდეც!

**თ.ყ.** – საქართველო საფესტივალო ქვეყნაა. თავისი ისტორიით, მუსიკალობით და ყველა მისთვის დამახასიათებელი ატრიბუტით. ორჯერ ჩატარეს ფესტივალი ბათუმშიც და თელავშიც, ორივეგან ერთიდა-იგივე შეფასება შეიძლება მივცეთ.

**გ.თ.** – თუ ვიღაპარაკებთ ჯაზ-ფესტივალებზე, უნდა აღინიშნოს კოკა-კოლას საერთაშორისო და ბათუმის სართაშორისო ფესტივალი. ხოლო ის, რომ თბილისის ფესტივალს მოაკლდა ფული და ბათუმის „Black Sea“ ფესტივალზე გადაისროლეს, სწორი არ მგონდა. კარგად ვხვდები, რომ ეს პრიორიტეტებიდან მომდინარეობს. მოხდა ის, რომ სახელმწიფო პოლიტიკის ურისფული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ფესტივალისათვის სწორედ ბათუმი შეირჩა. მეოთხე წელია რაც ბათუმის ჯაზ-ფესტივალებზე დაყდივარ. ძირითადი მსმენელი გისაც იქ ნახავთ, არან თბილისიდან ჩასული ჯაზის მოყვარულები. ეს თავისთავად აჩენს კითხვას – რატომ აკლდება თბილის ეს ფული? მე რომ შემუკითხოთ, თბილისი უნდა იყოს ჯაზ-ფესტივალის ძირითადი ქალაქი, როგორც დედაქალაქი, არავითარ შემთხვევაში ეს არ ნიშნავს, რომ შავი ბლვის ფესტივალი უნდა გაუქმდეს, უბრალოდ, ეს არის „ბევიდან“ მიღებული გადაწყვეტილება. ის, რომ ბათუმის ფესტივალი ძალიან საინტერესოა, ამაზე ორი აზრი არ არის.

**ჰ.კ.** – მოდი ამ საკითხს სხვაგვარად შევხედოთ. , ყველამ კარგად ვიცით, ევროპის დიდ ქვეყნებში რამ-



აავტო პეტაძე

დენად პოპულარულია ჯაზი, მაგრამ არც გამიგია ბერლინის ჯაზ-ფესტივალი, არადა, არსებობს ჰამბურგის, ბალვას ფანტასტიკური ფესტივალები... არ იმართება ჯაზ-ფესტივალი ამსტერდამში – იმართება ჰააგაში, არ არის ნიუ-იორკის ფესტივალი, სამაგიეროდ, არის ნიუ-კორტის ფესტივალი, რომელშიც მთელ უკროპაში სახელგანთქმული ჯაზმენები იყრიან ხოლმე თავს. აუკილებელი არ არის დედაქალაქში იყოს ყველა ფესტივალი – სამოვნებით წავედი ბათუმის ფესტივალზე ოთხი დღით. ეს ძალიან კარგია. კონსერვატორიაში მეთოთხმეტე საერთაშორისო ფესტივალი „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ უარდება წელს, შარქმანინ ჰერმანი, იმის წინ ტერასონი, ამ ფესტივალის ფორმატში არ იყო, მაგრამ საინტერესო იყო ის, რომ ამერიკის საელჩოში, საფრანგეთის საელჩოში რამდენიმე მუსიკოსი ჩამოიყანა, წელს მალდაუ.....

**გ.თ.** – სამწერაოდ, ბოგადად, ინტერესია დაკარგული. არის გარკვეული ნაპილობრივ. ძალიან მნიშვნელოვნია რომ ყველაფერს ფეხი აუწყო, მით უმეტეს, თუ მუსიკით ხარ დაინტერესებული. ახალგაზრდები გვაძლევენ ხოლმე ძალიან კარგ მიმართულებებს. მათ რაღაცებისკენ მიმითითეს, ამისსნეს რაც ხდება, თავიანთ პრიზმაში დამანახეს რეალობა. ბოგადად საკმაოდ

მრავალფეროვანი საინტერესო სურათი იქმნება. არ არის საჭირო ეს ყველაფერი შეადარო მეგაპოლისებს, რასაც ძალიან ხშირად აკეთებენ.

**ეჭ.** — ბათუმის ფესტივალმა ხომ არ გაყო საზოგადოება? ხომ არ დააკლდათ თბილისელებს ამით რაიმე?

კ.თ. — თბილისის ჯაზ-ფესტივალს დააკლდა ფული  
— ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ფესტივალზე  
რომ ლაპარაკობ, უპირველესად წარმომადგენლობა-  
ზე უნდა იღაპარაკო — ჩარლზ ლლოიდი და ჯეისონ  
მორანდო რომ ჩამოდიან, ეს უკვე საოცრებაა. რომ  
იცოდეთ რამხელა გეგმა ჰქონდათ ისტენ-პრომოუშენს  
და რამდენი ვიღაცის ჩამოყვანა უნდოდათ, მართლაც  
გაოცდებით. უბრალოდ ფულის დიდი ნაწილი მოჭ-  
რილია და გადასროლილი.

ფუსტივალს არაფერიც არ დააკლდა ფულის გარდა, იმიტომ, რომ ვისაც ეს მუსიკა უყვარს ბათუმშიც მიდის და თბილისშიც დადის ჯაზ-კლუბებში. ვერც წარმოიდგენენ, რა კარგი იყო ბრას-ბენდები ბათუმში. ჩვენთვის ბევრ კონცერტზე უკეთესი იყო ჯაზ-ფუსტივალის მთელი ის გარემო, რომელიც სწორედ ბათუმში შეიქმნა. მას სიამოვნებით დავესწრები კვლავაც. ძალიან მომხსბლავი იყო ქუჩა-ქუჩა რომ დადიოდნენ ჯაზ-ბენდები და უკრავდნენ. ასეთ რაღაცას თბილისში ვერ აკოტებენ.

პ.კ. — იყო ასევე ჩასაბერი საკრავების ფესტივალი. არ იყო მაშინ ცხადაძის ფესტივალი. ჩამოვიდნენ ჰოლანდიულები, იყო კვინტეტი, იყო ფაგოტი, ბასი. იქ იყო სუფთა ჯაზი, ერთი კომპოზიცია იყო ისეთი, რომ დაკორმა სკონგი დაუკრა, თან ქალი კურავდა.

ეს პერიოდი ემთხვევა ფრანგულ ლელუს მიერ (კლარწეტისტი) გამართულ კონკურსს. ეს ყველაფერი გაკეთდა მისითვის, რომ კონსერვაციონის ეხეირა. მას-ტერკლასტით ჩამოვიდნენ უქონელი შემსრულებლები. ძალიან დიდი ინტერესი გამიჩნდა და დავესწარი ამ მასტერკლასტებს. რაც შეეხბა სასულე ინსტუმენტებს... იცით რა იყო ჩვენი უბედურება? აბსოლუტურად ყველამ აღნიშნა, რომ უნიჭირესი ერი ვართ — მუსიკალურად, ინტელექტუალურად, არადა, თურმე სასულე ინსტრუმენტზე სხავლების მეთოდიკა დაზგრული კი არა, არცკი არსებობდა ჩვენთან. აღმოჩნდა, რომ წამყანა პედაგოგუსტავ კი არ ჰქონდათ გამოყიდილება. იმ

ფესტივალმა შედეგად მოგვიყანა ის, რომ ზოგიერთება მა მასტერკლასები გაიარეს... ცველა ვცდილობთ, რომ ჯაზ-ფესტივალზე ჩამოსული დიდი მუსიკოსის მასტერკლასს დავვესწროთ. ეს არის ძირითადი მიზანი, ამიტომ მიდიან ჩვენი სტუდენტები იქით, ამერიკაში, რომ ეს „ვორკშოფი“ მიიღონ.

**კ.თ.** — არიან ადამიანები რომლებიც შესიკის როტელ  
ფორმებს უსმენენ, ჩვენც სწორედ ასეთი, მზარდი ახალ-  
გაზრდები გვაინტერესებს, ვინაიდან ჩვენ უკვე ჩამოვ-  
ყალიბდით, უკვე გვაქვს ჩვენი მუსიკალური გემოვნება,  
ჩვენს განწყობილებებსა და შეხედულებებს უკვე აქვს  
გარკვეული ფორმა. მიუხედავად ფესტივალების ასეთი  
უკნაური სიმრავლისა, თბილისში არ არსებობს და არც  
არსებობდა არცერთი ნიშა, სადაც თანამედროვე როკ-  
მუსიკა, ელექტრონული მუსიკა, ამ ტიპის მუსიკა გაიუ-  
ღერებდა. არანაირი სახის როკ-მუსიკა საქართველოში  
არ არსებობს. არადა, თუ შენ ცოცხალი ორგანიზმი ხარ  
როგორც ქალაქი, გაქვს ამბიციები, ავად თუ კარგად,  
გაქვს კულტურული ცხოვრება, ეს იმას მაგონებს, რომ  
გვეკითხებიან ხოლმე — ორ ბლგას შუა რომ ხარ მოქ-  
კილი ზღვაოსნობა რაიონ ვერ გამოიყენო?

ცხადია, ამ ფესტივალებს რაღაც საარგებელი მო-  
აქეს — მთელი რიგი დადებითი ტენდენციები ინირგე-  
ბა. მოდით ახლა აქცენტი ახალგაზრდებზე გავაკეთოთ.  
ჩვენ ვადევნებთ თვალ-ყურს იმას, თუ როგორ ვითარ-  
დება ეს ყველაფერი. ძალიან მიხარია, რომ არის გარ-  
კვეული წინსვლა, რაც მართლაც გმირობის ტოლდასი  
მგონია... გმირობის ტოლდასია, რასაც ბურა, თამაზი,  
რეზონ, პავკა აკეთებენ. მე მინდა რომ აქ ცოცხალი იყოს  
ყველაფერი... ვველისხმობ იმას, რომ არ იყოს გაჭირ-  
ვება. გაჭირვებაა შემსრულებლებში, მუსიკოსებში. ეს  
კორიას არ ნიშნავს.

კარგი მუსიკოსები ყოველთვის ქვემოდან ზემოთ  
მოდიოდნენ. საკლუბო სქემებიდან უფრო დიდი მასე-  
ბისაკენ მიიღოდა უფრო და მოძრაობდნენ. რეზიგნის-  
ვის ნაცნობი უნდა იყოს რა განსხვავება გერმანულ  
და აქაურ საკლუბო სისტემას შორის. ჩვენში გაჭირ-  
ვებით ყდილობენ ჯაზ-კლუბის შენარჩუნებას. ეს უკვე  
სერიოზული კრიტისის დამადასტურებელია. ამიტომაც  
შეფასებები მრავალმხრივია. ყველაფერს ერთად რომ  
უყორებ, ხედავ, რომ რაღაც ნაწილი ფუნქივალების



თავაზ ჯაზისილი

თვალსაზრისით განვითარებულია, რაღაც ნაწილი კი არათუ განუვითარებელი, ჩანსახის დონეზეც არ იმყოფება. ყველაფერი ერთმანეთთან არის კავშირში, ეს უდავო ფაქტია. თუ აქ ჯაზი არსებობდა და პატარა „ფათური“ მაინც იყო, თუ იყო ესტრადა, სად ტ...ში წავიდა? რა მიმართულებით წავიდა, რა განვითარდა აქედან?

**ეჭ.** – რაომ არ მოსდის ვინმეს თავში, თუნდაც ბაფტელში, ამ შადრევნიან ბალებსა და პარკებში ცოცხლად, live-ში, კვირაში ერთი დღე ერთსაათიანი ჯაზ-კონცერტები გამართოს?

**კ.თ.** – ჯაზი ყოველთვის ვითარდებოდა იმ ადამიანების წყალობით, რომელთაც თავი მეცნატებად მიაჩნდათ. საჭიროა გეონდეს სახსრები იმისათვის, რომ გადაუხადო ფული მუსიკოსებს. სამწუხაროდ, ასეთი ტიპის ადამიანები არ გვყავს – მეცნატები, რომელთაც აქვთ კონკრეტული ინტერესები, რომელნიც, ფაქტობრივად, ენთუზიასტები არიან. ასეთებიც გვხვდებიან ხოლმე, თუმცა, თითო-ოროლა.

**ეჭ.** – მოდით ახალგაზრდობაზე ვისაუბროთ.

**რ.კ.** – ქვეყანა არ იარსებებს, თუკი ახალგაზრდებზე არ გაკეთდა აქცენტი, თუ აქეთ არ მიმართავ მთელ გულისყურს. იმაზე რომ ვტირით, ჯაზისათვის პატარა სცენააო თბილისში, ეს ბლვაში წვეთია იმასთან შედარებით, რისი გაკეთებაცაა საჭირო. რა თქმა უნდა, სცენა უნდა ჰქონდეს იმ მუსიკას, რომელიც არ არის ადვილად „მოსანელებელი“ შლაგერი... მუსიკის მოთხოვნილება ერთულერდიან არსებასაც კი აქვს... მუსიკალური კულტურა მარტო კონსერვატორიის დარბაზში არ უნდა დარჩეს. მაგალითად, კლასიკური მუსიკა, რომელზეც მას გული არ მისდის იმიტომ, რომ ეს მუსიკა სწორად არ მიეწოდება ახალგაზრდობას, აი, ასეთ მდგომარეობაშია ჯაზიც. თბილისში სერიოზული, ავანგარდული მუსიკა კატაკომბები მდგომარეობაშია, იმიტომ, რომ მის გასავებად მსმენელს ესთეტიკური მომზადება სჭირდება. თუ არა გაქვს გარკვეული ესთეტიკური პლატფორმა, ვერ გაიგებ ასეთ მუსიკას, მეტიც, შეურაცხყოფად მიიღებ ამგვარ მუსიკას. კლასიკაშიც ბევრია პაპსა და შლაგერი და ხანდახან ამგვარი სახით აღწევს ხოლმე ჭუჭრუდანებში, დანარჩენი არის მუზეუმის მდგომარე-

ობაში, სადაც მას ჰყავს მცირე რაოდენობის მსმენელი. ამიტომაც, მისი დაფინანსება ყოველთვის პრობლემად რჩება, ყველთვის წვალობენ ამაზე. ეს საქმე თავის თავს ვერ დააფინანსებს, სახელმწიფოსთან სულ მუდამ ხვეწნა მოგინევს. სახელმწიფო იმ თანხას გაიღებს, რომელიც მას მიაჩნია საჭიროდ, თუმცა, ეს თანხა არ არის საკმარისი მაშინ, როცა წამყვანი მუსიკოსების ჩამოყვანაზეა საუბარი.

საბედნიეროდ, ამ საკითხს ახლა იდეოლოგიური ბარიერი აღარ ახლავს და მხოლოდ ფინანსურად და პრაქტიკულადაა გადასაწყვეტი. მაშინ, როცა იყო ფული და მისი გალება შეიძლებოდა, იყო იდეოლოგია, რომელიც ბარიერად იყო აღმართული. დღეს კი მთავარ პრობლემად მაინც ფინანსური კუთხე რჩება, რასაც ამუხრუჭებს ჩვეულებრივი კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა — მსმენელს ძალიან ადვილად მოსანელებელი მუსიკის მოსმენა ურჩევნია და მუსიკის მარკეტინგიც სწორედ ამ მიმართულებითაა გაფაციცებული.

როგორი კაპიტალისტური ორიენტაციაც არ უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს, ამ მიმართულებით უნდა გაიღოს საკმარისი თანხა, სხვა სფეროებს უნდა დააყრევინოს ფული იმისათვის, რომ კულტურაში ყაროს და ყაროს თანხა. ჩვენ ხელსაყრელი მდგომარეობა იმით გვაქვს, რომ ჩვენი კულტურის მინისტრი, გარდა იმისა, რომ არის განათლებული ადამიანი, ჯაზი აქვს ესთეტიკური აქცენტები გადატანილი. ჯაზს ეს შეეტყო იმ თვალსაზრისითაც, რომ რამდენიმე კარგი ბავშვი გაიგზავნა საზღვარგარეთ სასწავლებლად. ასეთი რამის დაფინანსება მართლაც დიდი საქმეა. ამგვარი მაგალითები უნდა გახდეს ყოველდღიური.

**ეჭ.** — თუ არის რაიმე ინტერესი ახალგაზრდების მხრიდან?

**გ.რ.** — არის ერთი ბიჭი პაპუნა, აქვს აშკარად ჯაზის ნიჭი, თუ იმუშავებს, კარგად განვითარდება, არის იმედები, რომ ჩამოყალიბდება ძლიერ ჯაზმენად.

**ეჭ.** — რას ასწავლით კონსერვატორიის ჯაზ-კოლეჯში?

**გ.რ.** — ვასწავლით მუსიკის ისტორიას, ჰინდუისტურის, თუ მოეწყო ბავშვი, ხელშეკრულებით ვიყვანთ პედაგოგს. წელს რვა აბიტურიენტი აბარებდა — ერთი დასარტყად ინსტრუმენტები, ერთი საფორტეპი-



რევაზ კიანავა

ანობრე, ერთი ფლეიტაზე და ხუთი ვოკალზე.

**ეჭ.** — როგორ არჩევთ კონტინგენტს?

**გ.რ.** — ის, ვისაც ფულის გაღება შეეძლო, არ მიიღეს, იმიტომ რომ არც ნიჭი ჰქონდა და არც სათანადო მომზადება. სასწავლებელი სამწლიანი იყო, ახლა მეოთხე წელი დაამატეს. დამამთავრებელ კურსზე იღებენ სერტიფიკატს, რომელიც სკოლაში მუშაობის უფლებას აძლევს.


**რ.კ.** — კონტინგენტის პრობლემა იმიტომ არის, რომ ჯაზის სწავლება არ უნდა იწყებოდეს კოლეჯის დონეზე, ჯაზი ბავშვს მუსიკალური აღზრდის მთელ პროცესში თან უნდა სდევდეს.

**ეჭ.** — ისლა დაგვრჩენია ნატვრით, ოცნებით თუ იმედით გავიხედოთ ხვალინდელი დღისაკენ?..

კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ცნობილი პიანისტისა და პედაგოგის პროფ. რევაზ თავაძის DVD კოლექციის – (კომპიუტერული წიგნის) პრეზენტაცია. ფაქტობრივად, ეს გახლავთ არა მარტო პიანიზმის, არამედ საკუთრივ საფორტეპიანო შემოქმედების 4-საუკუნოვანი არსებობისა და განვითარების ისტორია, სათანადო ლექციებითა და კომენტარებით და შესაბამისი მუსიკალური მასალის-შემსრულებლობის ილუსტრირებით, დაწყებული მე-19 საუკუნის დასასრულით და ვიდრე ჩვენ დღეებამდე. სულ ჩატარდა 120 საუბარი (ლექცია).

დისკებზე აღბეჭდილია მთელი არსებული საფორტეპიანო მუსიკალური ლიტერატურის საუკეთესო ნაწილი მრავალი ათეული გამოჩენილი პიანისტის (მათ შორის, ქართველების) შესრულებით. ფრიად შთამბეჭდავი სურათია!

ამ, მე ვიტყოდი, უნიკალური შემოქმედებითი პროექტის – „კოვხალი“ (მუზიკი) მუსიკალური ანთოლოგიის განხორციელება მოხდა რადიო „მუზას“ ტექნიკურ და მატერიალურ ბაზაზე (მისი დამაარსებელი და მოამაგეა ქალბატონი სანდრა ელისაბედ რულოვსი) და მთელი მისი ჩინებული კოლექტივის ძალისხმევითა და კეთილ-



## უნიკალური პროექტი

განწყობილი ხელშეწყობით.

„საუბრების“ ბემოსენებულ კურსს რადიო „მუზა“ გადასცემდა ყოველკვირკველად 2008 წლის მაისიდან 2010 წლის ოქტომბრამდე და მან დიდი პოპულარობა და მოწონება დაიმსახურა.

წარმატებული შესანიშნავი წამოწყებისა და წარმატებული პროექტის შემდგომი განვითარებისა და უნივერსალიზაციის ლოგიკურ და პერსპექტიულ გზად მუსახება დისკებზე ჩაწერილი მთელი სიტყვიერი (სალაპარაკო) მასალის გადმოტანა ბეჭდვით პოლიგრაფიულ ბაზაზე, რის შედეგადაც მივიღებთ წიგნს –

„მსოფლიო პიანიზმის ილუსტრირებული ისტორია“, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მისი რუსულ და ინგლისურ ენებზე თარგმნის შემდეგ დააინტერესებს უცხოელ სპეციალისტებსა და მუსიკის მოყვარულებსაც.

გასული საუკუნის 60-იანი წლები უმნიშვნელოვანები ეფაპია არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო კულტურის თვალსაზრისით. ამ პერიოდმა კულტურულ ცხოვრებაში დიდი გარდატეხები მოიტანა. 60-იანელთა თაობამ, ხელოვნების ყველა სფეროში, ეს იქნებოდა კინო, თეატრი, მხატვრობა თუ მუსიკა, ნარუშლელი კვალი დატოვა.

ამ მხრივ გამოჩაკლისი არც საბჭოთა საქართველოს საესტრადო მუსიკალური ცხოვრება გახლდათ. მოგაგონებთ, რომ ამ პერიოდში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ და ცნობილი გახდნენ სუეთი შემსრულებლები, როგორებიც იყვნენ: ნანი ბრეგვაძე, გილი ჩიხელი, და სხვა. მათ რიცხვს ეკუთვნოდა ჯილდა დათუაშვილიც, რომელმაც მიუხედავად ძალგე ხანმოკლე ცხოვრებისა, თავისი თვითმყოფადობით, სიმდერის ინდივიდუალური მანერით შეძლო ქართული ესტრადის ისტორიაში თავისი სიცვას თქმა.

ჯილდა დათუაშვილი 1946 წლის 8 აგვისტოს გურჯაანის რაიონის სოფელ ველიციხეში დაიბადა. მის ოჯახში ძალიან უყვარდათ მუსიკა, ასე რომ, მუსიკალობა აქედან დაჰყვა. დაამთავრა მუსიკალური შვიდნლედი (თბილისში). ბავშვობიდანვე მღეროდა თვით-



კონცელი სანაკი, ჯილდა დათუაშვილის პორტრეტი

## ჯილდა დათუაშვილი

მოქმედ ანსამბლში. ჯილდა დათუაშვილმა პირველი წარმატება ჯერ კიდევ მონაფეობის წლებში განიცადა. ოდესაც საბჭოთა სივრცეში ყველაზე პოპულარულ და პრესტიულ საერთაშორისო ბავშვთა ბანაკ „არტეკში“ (ყირიმი), მისი დაარსებიდან 15 წლისთავის ვამ ჩატარდა ნორჩი მომღერლების კონკურსი, სადაც პატარა მომღერალი ოქროს მედლითა და „საუკეთესო არტეკელის“ სპეციალური სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდა. ეს პრემია უშეაღმოდ გადასცა ცნობილმა საბჭოთა კომპონიტორმა დიმიტრი კაბალევსკიმ.

**რევაზ დათუაშვილი (ჯილდას ძმა) – ჯილდა 1964**

წელს, როდესაც სკოლას ამთავრებდა, აღმოაჩინა ჯემალ ბალაშვილმა და დააყენა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ე.წ. „გპის“ სკენაზე. შემდგომში მან ჩააბარა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ (კვების ტექნიკოლოგიის განხრით) ფაკულტეტზე, რათა დარჩენილიყო ორკესტრში. უკვე 1965-66 წლებიდან, სწორედ ამ ორკესტრის წყალობით მისი სახელი ფართო საზოგადოებისთვის ხდება ცნობილი.

ჯილდამ თავი ისახელა თბილისში გამართულ ახალგაზრდა შემსრულებელთა საქალაქო კონკურსშიც – „განაფხული-68“. 1969 წელს კი მას ჩელიაბინ-

სკის ახალგაბრდა შემსრულებელთა პირველ საკავ-შირო ფესტივალზე პირველი პრემია და ლაურეატის წოდება მიენიჭა.

ჯილდა დათუაშვილის საკონცერტო ტურნე ძირი-თადად შემოფარგლული იყო საქართველოთი და რუ-სეთით (მოსკოვი, ლენინგრადი). მხოლოდ ერთხელ, 1968 წელს ჯილდა ჩვენს სპორტსმენებთან ერთად იმ-ყოფებოდა გამორის ლიმპიადაზე საფრანგეთში – აქ ჰქონდა გამოსვლა. ჯილდა, სადაც არ უნდა გამოსუ-ლიყო, ყველგან ხიბლავდა მსმენელს სიმღერის დახ-ვენილი მანერით თუ საოცრად ქალური, ნაბი გარევ-ნობით.

ნარმატებული საესტრადო კარიერის მიუხედავად, ჯილდა დათუაშვილმა ნარჩინებით დამთავრა პოლი-ტექნიკური ინსტიტუტი (1969), სასიმღერო შემოქმედე-ბას სამეცნიერო მუშაობასაც უთავსებდა, მაგრამ აღარ დასკალდა..

მან უკანასკნელი კონცერტი თბილისში, 1970 წლის მიწურულს გამართა, როდესაც უკვე თავის ტვინის სიმ-სივნით იყო დაავადებული. მომდევნო წელს მდგომა-რეობა გართულდა და 1971 წლის პირველ მაისს, 25 წლის ასაკში, ჯილდა დათუაშვილი გარდაიცვალა. მის დაკრძალვას უამრავი ხალხი დასწრება – ჯილდა მთელმა თბილისმა და მთელმა საქართველომ დაიტი-რა. ასე ტრაგიკულად და მოულოდნელად შეწყდა ნი-ჭიერი ქართველი მომღერლის სიცოცხლე...

მომღერლის სახელი, სამწუხაროდ, მივიწყებას მი-ეცა (უმეტესად ახსოვთ მხოლოდ მათ, ვინც მოესწრო ჯილდას კონცერტებს).

ჯილდა დათუაშვილის საშემსრულებლო შემოქ-მედებას არაერთი კომპოზიტორი აძლევდა მაღალ შე-ფასებას, მათ შორის იყო ნოდარ გიგაური, რომელიც აღნიშნავდა: “ჯილდა ნამდვილი საოცრება იყო. ისეთი უშუალო, მგრძნობიარე. სიყვარული ედგა თვალებ-ში და თავადაც სიყვარულად იღვრებოდა. როგორც მომღერალი ხომ განუმეორებელი გახლდათ. გული მწყდება, რომ მისნაირები დღეს იშვიათად იბადებიან. სიმღერა “ჩუმად მითხარი” ჯილდასთვის დავწერე. მი-სი გარდაცვალების შემდეგ დიდხანს არავის უმღერია. ბოლოს შეასრულეს, მაგრამ... ჯილდა სულ სხვა იყო. ეს სიმღერაც მის სიმღერად დარჩა”.

ჯილდას გარდაცვალების შემდეგ მსბმე სიმღერაც შეუთხიავთ – “არა ყოფილა ადვილი წარსულის და-ვიწყება”, და ეს სტრიქონი, ჩემი აბრით, ერთგვარად განმარტავს იმ სიცარიელეს, რომელიც ჯილდამ თავი-სი გარდაცვალებით დატოვა.

კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტი გახლავთ – მომ-ღერლის ჩანაწერების სიმცირე. მისი ძმის, რევაზ და-თუაშვილის თქმით, ჯილდას ჩანაწერები აუდიო სახით ძალზე ცოტაა, სულ 6-7 სიმღერა. კინოკამერით გადა-ღებულია მხოლოდ ერთი სიმღერა (ნოდარ გიგაურის “ჩუმად მითხარი”), რაც შეეხება გამოცემას, ჯილდა დათუაშვილის მხოლოდ ერთი ფირფიტაა გამოცემუ-ლი, არადა მას ფართო რეპერტუარი ჰქონდა, რომელიც როგორც ქართული, ისე რუსული საესტრადო სიმღე-რებისაგან შედგებოდა. ამას ემატება ისიც, რომ მასა-ლის გარკვეული ნაწილი დაკარგულია. სხვათა შორის, მოსკოვსა და ლენინგრადს არაერთხელ მოუმართავს თბილისისათვის ჯილდას ჩანაწერების მოთხოვნით. ჩანს, ჯილდა დათუაშვილი იქ ჯერ კიდევ ახსოვთ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ხელთ ჯილდას მხო-ლოდ რამდენიმე სიმღერის ჩანაწერია, თამამად შეიძ-ლება ითქვას, თუ ვინ იყო ჯილდა დათუაშვილი... სულ ახლახანს, ვებ-გვერდზე [www.youtube.com](http://www.youtube.com) განვა-თავსე შემორჩენილი ჩანაწერები, მაგრამ ეს მისი პო-ჰულარიზაციისთვის საკმარისი არაა.

წელს ჯილდა დათუაშვილის დაბადებიდან 65 წლის, ხოლო გარდაცვალებიდან 40 წლის საუბილეო თარიღია. ვფიქრობ, კარგი იქნება თუ მოხდება მომ-ღერლის გახსნება და იუბილეს აღნიშვნა. სასურვე-ლია აგრეთვე, საუბილეო თარიღთან დაკავშირებით მისი სიმღერების ჩანაწერები ერთ კომპაქტდისკად გა-მოიცეს, რითაც, უდავოდ, სასიკეთო საქმე გაკეთდება.

---

უურნალ „მუსიკის“ რედაქცია მკითხველს სთავაზობს ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის ყოფილი რექტორის მანანა დოიჯაშვილის საანგარიშო მოხსენებას. მართალია, ჩვენი უურნალის სპეციფიკისათვის ერთი მხრივ უჩვეულო და უანრულად შეუთავსებელია ამ ტიპის პუბლიკაცია, მაგრამ მეორე მხრივ ვინაიდან „მუსიკა“ ერთადერთი პროფესიული მუსიკალური უურნალია საქართველოში, რომელიც მომავალში, ალბათ, მატიანეს ფუნქციასაც იტვირთებს, გადავწყვიტეთ ამ ანგარიშის გამოქვეყნება.

# რა გაკეთდა კონსერვატორიაში 2000 - 2011

მოგესალმებით,

დოდი მადლობა მობრძანებისთვის. დღეს მე მინდა კონსერვატორიისა და დამსწრე საბოგადოების წინაშე წარვსდგე ჩემ მიერ 11 წლის მანძილზე განცეული მუშაობის ანგარიშით. ვფიქრობ, ყველა თანამდებობის პირი პასუხისმგებელია თავის საარჩევნო პროგრამასა და დაპირებებზე. ამდენად, მეც ვალდებულად ჩავთვალე თავი მომქმედინა თქვენთვის, თუ რა გაკეთდა კონსერვატორიაში ჩემი რექტორობის დროს. ვიდრე უშუალოდ 2000 წლიდან რექტორად არჩევის პერიოდს შევეხები, მინდა ცოტა უფრო შორიდან დავიწყო და გავისხენო კონსერვატორიის დიდი დარბაზის რეკონსტრუქციის პერიოდიც, რამაც, ვფიქრობ, დიდი როლი შეასრულა, როგორც ჩემს შემდგომ მოღვაწეობაში, ისე თვით კონსერვატორიის განვითარების საქმეშიც.

ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ კონსერვატორიის დიდ დარბაზთან დაკავშირებულ ისტორიულ სინამდვილეს.

1937 წლის 15 იანვარს გაზეთ „პრავდაში“ გამოქ-

ვეყნდა მოლოტოვის ბრძანებულება, რომელიც იუნიუბოდა: „დამტკიცდეს 1 მილიონი რუბლი თბილისში კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზის ასშენებლად. 500 000 რუბლი კი კონსერვატორიის რეკონსტრუქციისათვის. და მართლაც, 1938-41 წლებში შენობის რეკონსტრუქციის დროს აშენდა კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი, რომელიც იმთავითვე მუსიკალური კულტურის უმნიშვნელოვანეს კერად იქცა. 1951 წ. იმისთვის, რომ ამ საკონცერტო დარბაზში გადალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ დადგმა განხორციელებულიყო, მაშინდელი რექტორის, ბატონ გრიგოლ კილაძის ინიციატივით მოხდა დარბაზის რეკონსტრუქცია: მოიხსნა პარტერის წინა რიგები, გაკეთდა საორკესტრო ორმო, თუმცა ამით დარბაზმა თეატრის ფუნქცია ვერ შეიძინა (მას არ გააჩნდა თეატრისთვის აუცილებელი კულისები, საგრიმიოროები, სარეპერტოორი ოთახები, სახელოსნოები და სხვ.). საკონცერტო დარბაზის პროპორციები კი უხეშად დაირღვა. „აბესალომის“ წარმატების შემდეგ დარბაზში ბინა დაიდო საპერო სტუდიამ, ჯერ როგორც კონსერვატორიის გა-



მარა მოიაზვილი

ნუყოფელმა ნაწილმა, ხოლო 1979 წლიდან, როგორც დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფმა იურიდიულმა ერთეულმა. უდავოა, რომ მან უდიდესი როლი შეასრულა ქართული ვოკალური კადრების აღმზრდის საქმეში.

1963წ. ამავე დარბაზში ბატონ იონა ტუსკიას ინიციატივით დაიდგა პირველი პროფესიული ორგანიზაცია. ამასთანავე, დარბაზში მუშაობდა საქართველოს სახელმ

წიფო სიმფონიური და კონსერვატორის სტუდენტური ორკესტრები, გუნდი, სისტემატიურად იმართებოდა ფილარმონიული კონცერტები.

ასეთ ექსპლუატაციას დარბაზმა ვერ გაუძლო და 1988წ. მან ხანგრძლივი დროით შენტვიტა ფუნქციონირება. მიუხედავად ვოკალური კათედრისა და საოპერო სტუდიის ხელმძღვანელების არა ერთი მცდელობისა,

მისი აღდგენა ვერ მოხერხდა. უფრო მეტიც, 10 წლიანი დემილის პერიოდში, სამწერაროდ, იგი მთლიანად გაიძარცვა და განადგურდა. უკიდურესად დაზიანდა და მწყობრიდან გამოვიდა ჩვენი უძვირფასესი ორგანიზ. 1993-ი, ჩემი დაუნინებული თხოვნის შედეგად მოხერხდა ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრა.

ეს ის წლებია, როდესაც საქართველოში არც შექია და არც გათბობა, არც ტრანსპორტი მოძრაობს. ხალხს ქუჩაში გამოსვლის ეშინა, უიმედობა, დეპრესია და ტოტალური მიგრაცია მძვინვარებს. მუსიკოსებს დაკარგული აქვთ იმედი, რომ ამ ქვეყანაში მათი პროფესია ვინმეს სჭირდება. ყველა, ვისაც კი ამის შესაძლებლობა ჰქონდა, ტოვებდა ქვეყანას. არ დავმალავ, ეს შესაძლებლობა არაერთგზის მქონია მეც.

ბატონ ედუარდთან ჩემი ვიზიტის მიზანი კონსერვატორიის დიდი დარბაზის აღდგენა და მუსიკოს-შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსის დაარსება იყო. ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ამ უმძიმეს პერიოდში ჰქონდა სასიცოცხლო მნიშვნელობა პოზიტიური პროცესების დაწყებას.

ვფიქრობ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ 1995 წელს ჩატარებული მუსიკოს-შემსრულებელთა | რესპუბლიკური კონკურსი უდიდესი სტიმული და იმედი იყო ყველა თაობის მუსიკოსისათვის, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში კლასიკური მუსიკის ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარებისათვისაც. იმ წლიდან მოყოლებული ეს კონკურსი ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება.

რაც შეეხება კონსერვატორიის დიდ დარბაზს, მისი რეკონსტრუქციის ბრძანებულება 1996 წელს გაიცა. ამავე წელს, კონსერვატორიის სამსატვრო-სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით, კულტურის სამინისტროს მიერ მე დავინიშნე დიდი დარბაზის სამსატვრო ხელმძღვანელად და გენერალურ დირექტორად.

წარმატებით ჩატარებულმა რესპუბლიკურმა კონკურსმა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის დაარსების იმედიც გააჩინა. სწორედ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი გახდა უმთავრესი მოტივაცია კონსერვატორიის დიდი დარბაზის რეკონსტრუქციისათვის, რომელიც 1997 წლის მარტში დაიწყო და 7 თვეში დასრულდა.

მოკლედ მოგახსენებთ, თუ რა სამუშაოები ჩატარდა დარბაზის რეკონსტრუქციის დროს: შეიცვალა სხვენი და სახურავი; დამონტაჟდა სრულიად ახალი თანამედროვე კონდიცირებისა და გათბობის სისტემა; ხუთივე სართულებები დაიგო მარმარილო; გამოიცვალა ნილის, განათების, ელექტროობის სისტემები, კარ-ფანჯრები; მოწერიგდა საარტისტო და სველი წერტილები; მექანიზმების განახლები და სამუშაოების გამოცვალი საოპერო სტუდიის სპექტაკლების დადგმა; შეიცვალა დარბაზის კოლონი, კოლონები, დამშვენდა სუსალური ოქროთი; იფალიაში შეძენილ იქნა სავარდლები, სკამები და ჭაღები; შეიქმნა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ხმის ჩამწერი სტუდია.

დარბაზის რეკონსტრუქციის დროს მაქსიმუმი გაკეთდა, რათა დარბაზით ესარგებლა სასწავლო პროცესს; ასევე უნდა აღდგენილიყო მისი ფილარმონიული ფუნქციები, რომელიც თვით კონსერვატორიის მისიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

კონსერვატორიის დიდი დარბაზის აღდგენას წინ უძროდა მრავალწლიანი მუშაობა სხვადასხვა ინსტაციებთან: პრეზიდენტთან, ფინანსთა და კულტურის სამინისტროებთან, მერიასთან, სხვადასხვა ფირმებსა და ორგანიზაციებთან.

1997 წლის 5 ოქტომბერი საქართველოს მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში აღინიშნა ორი მნიშვნელოვანი მოვლენით: საბერძოდ გაიხსნა კონსერვატორიის რესტავრირებული დიდი დარბაზი და პანისტთა თბილისი | საერთაშორისო კონკურსი. ჩვენი ქვეყნის-თვის ურთულეს პერიოდში, როდესაც ქვეყნის ბიუჯეტი სულ რამდენიმე ასეული მილიონი იყო, გამოიყო უბარ-მაბარი თანხა დარბაზის რეკონსტრუქციისთვის. შეძენილ იქნა „სტენვეს“ ფირმის ორი ახალი საკონცერტო როიალი და დაფუძნდა პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსი.

ამავე წელს დარბაზში დაარსდა საერთაშორისო ფესტივალი „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“, რომელიც აი უკვე მეორე თეული წელია დიდი წარმატებით ტარდება და რომლის სტუმრებიც მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსები არიან.

დარბაზის გახსნის შემდეგ დავიწყეთ მოლაპარაკებები გერმანიის საელჩოსა და საქართველოს მთავრო-



ბასთან, რათა დაგვემარებოდნენ ჩვენი უძვირფასესი ორგანის აღდგენაში. როგორც იცით, იგი გერმანული წარმოშობისაა და „ალესანდრ შუკე – პოტსდამის“ ფირმას ეკუთვნის. და მართლაც, საქართველოსა და გერმანიის მთავრობების ერთობლივი დაფინანსებით ჩვენს შესანიშნავ ორგანს დაუბრუნდა სიცოცხლე. მინ-და უდიდესი მადლიერებით გავიხსენო ბატონი ზურაბ უვანია, რომელიც პირადად გვემარებოდა ამ პრობ-ლემის მოგვარებაში. ორგანის აღსადგენად პოტსდა-მიდან ჩამოსული ისტატები რამდენიმე თვის განმავ-ლობაში მუშაობდნენ. ამ სამუშაოებს კი ხელმძღვანე-ლობდა სწორედ იმ შუკეს შვილიშვილი, რომელმაც თავის დროზე აავო ჩვენი ორგანი კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

2000 წელს კონსერვატორიის რექტორად არჩევა ჩემთვის იყო უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობა.

ამავე დროს, იმ ურთულეს პერიოდში – უმძიმესი ტვირ-თიც. ჩემი ღრმა რწმენით, თბილისის კონსერვატორია თავისი ტრადიციებით, ადამიანური, შემოქმედებითი რესურსებით და უნიჭირესი ახალგაზრდა კადრებით უნდა ყოფილიყო მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთე-სო სამუსიკო უმაღლესი სასწავლებელი. ამისთვის კი ბევრი რამ იყო გასაკეთებელი. უპირველეს ყოვლისა, ინფრასტრუქტურის შექმნა, რომლის გარეშეც წარ-მოუდგენელია სასწავლო, შემოქმედებითი პროცესის ნორმალური ფუნქციონირება და სწავლის ხარისხის ამაღლება, რაც პრაქტიკულად განსაზღვრავს სასწავ-ლო დაწესებულების იმიჯს. ჩემი აზრით, ამ ფაქტორებ-ზე დიდად იყო დამოკიდებული თბილისის კონსერვა-ტორიის ინტეგრაცია საერთაშორისო მუსიკალურ სივ-რცეში.

ბევრ თქვენგანს კარგად ახსოეს, რომ გარემო,

რომელშიც კონსერვატორია იმ წლებში იმყოფებოდა აბსოლუტურად შეუფერებელი იყო მისთვის. IV სართულზე სახურავიდან ნაური წყალი ინსტრუმენტებში ჩადიოდა, მცირე დარბაზის კედლებიდან კა მოჩანდა. ანტისანიტრიული სველი წერტილები, სამარჯვინო წარწერებით აჭრელებული კედლები, განადგურებული ინვენტარი, ინსტრუმენტები და ა.შ. კონსერვატორის ბიუჯეტი 400 000 ლარს შეადგენდა. პროფესორის ხელფასი ერთ განაკვეთზე 42 ლარი იყო, ხოლო სტუდენტის სტიპენდია – 3 ლარი. დიდი დარბაზისგან განსხვავებით კი იმ ერაპზე სარემონტო სამუშაოებისთვის დამატებითი სახელმწიფო დაფინანსების არანაირი შანსი არ არსებოდა.

იმისათვის, რომ მუშაობისთვის ელემენტარული ადამიანური პირობები შექმნილიყო, გამოვაცხადეთ შაბათობა და საკუთარი ძალებით დავასუფთავეთ შენობა. არასოდეს დამავიწყდება, თითქმის მთელი კონსერვატორია დაწყებული პროფესორ-მასწავლებებით, დამთავრებული სტუდენტებით რეგინის ხელთათმანებში როგორ ვხეხავდით და ვასუფთავებდით. მახსოვს ისიც, იმ დღის შემდეგ სტუდენტები როგორ უფრთხილდებოდნენ თავიანთ ნაშრომს.

ვინაიდან ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია, შევტერდები მხოლოდ უმთავრეს პროცესებსა და ფაქტებზე.

იმ წლების მთავარი პრობლემა უშუქობა და სიცივე იყო. ბუნებრივი გაბი კონსერვატორიაში არ იყო შემოყვანილი. მაღალი წნევის გაზით, რომლის გარეშეც გათბობის სისტემა არ მუშაობდა, მხოლოდ პრეზიდენტის კანცელარიის, პარლამენტის და უზენაესი სასამართლოს შენობები სარგებლობდნენ მთანმინდის რაიონში. დიდი ხევნა-მუდარის შემდეგ, მერიის დახმარებითა და ბაონი ლადო ჭანტურის კეთილი წებით, სასამართლოს შენობიდან შემოვიყვანეთ ბუნებრივი გაბი. ალბათ, ბევრ თქვენგანს ახსოვს, რა ბატალიები იმართებოდა მოსახლეობასთან ამასთან დაკავშირებით.

დიდი პროცესით ელექტროენერგიით უზრუნველყოფის პრობლემაც გადაიჭრა. კონსერვატორის ელექტროსადენები შევუერთეთ ახლადაშენებული სასტუმრო „მერიოტის“ ხაზს, რის შედეგადაც მივიღეთ 24 საათიანი განათება. ამგვარად გათბა და განათდა

კონსერვატორია. შესაბამისად, პროფესორ-მასწავლებები დაუბრუნდნენ თავიანთ აუდიტორიებს და სრულფასოვნად აღდგა სასწავლო პროცესი ზამთრის თვეებში. მინდა აღვნიშო, რომ 1998-2002 წლებში მე ვიყავი თბილისის I მოწვევის საკრებულოს წევრი. არ დაგმალავ, ამან დამატებით მომცა შესაძლებლობა მაქსიმალურად მომეგვარებინა კონსერვატორის პრობლემები. არ შემიძლია უდიდესი მადლიერებით არ მოვახსენიო იმდროინდელი ქალაქის პრემიერი – ბატონი გია შერაძე, რომელმაც არაერთი სიკეთე გააკეთა კონსერვატორიისთვის.

2001წ. კონსერვატორია გახდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი. პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებით, როგორც ექსპერიმენტი, კონსერვატორია პირველი გადავიდა მიზნობრივ-პროგრამულ დაფინანსებაზე, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა იმავე ბიუჯეტის ფარგლებში მიგველო ხელფასების 30%-იანი მატება.

ამავე დროს კონსერვატორიამ საქართველოში პირველმა შეიმუშავა ერთი სტუდენტის მომზადების ნორმატივი, რაც ჩვენი გათვლებით 8000 ლარს უდრიდა. იქიდან მოყოლებული დაიწყო ყველა ინსტაციებში მუშაობა ბიუჯეტის აუცილებელ გაზრდაზე.

II წლიანი პატის შემდეგ აღდგა საოპერი სტუდიის სპექტაკლები კონსერვატორიის დიდ დარბაზში. იგივე ითქმის სტუდენტურ ორკესტრიზეც, რომელიც პრაქტიკულად თავიდან დაარსდა.

კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების წრემ დაიწყო გაფართოება. გერმანელმა მომღერალმა და მენეჯერმა ბაფონმა ლუდვიგ ბაუმანმა თავის საოპერო მუსიკის ფესტივალზე მიიწვია ჩვენი საგუნდო და ვოკალური კათედრების 40 სტუდენტი და პედაგოგი.

2001 წ. გერმანიაში მოღვაწე ჩვენი თანამემამულის გია ქობულაშვილისა და საფრანგეთის საელჩის ხელშეწყობით თბილისში ჩამოდის სახელგანთქმული ფრანგი ჰობოსტრი ფრანსესა ლოლო. ის ენთუზიაზმი, რომელიც ჩვენთან სუფევდა ყველა სტუმარს უჩენდა დახმარებისა და ხელშეწყობის სურვილს. ფ. ლოლოს ინიციატივით დავარსეთ ჩასაბერ საკრავთა კონკურსი, რომელიც ყოველწლიურად სხვადასხვა ინსტრუმენტებში იმართებოდა. ასე ჩატარდა ჰობოსტრი, კლარინეტის,

ფლეიტისა და საყვირის კონკურსები. გამარჯვებულები ჯილდოდ შესანიშნავ ინსტრუმენტებს იღებდნენ. უირის წევრებად ფ. ლოლოს თავისი მეგობრები ჩამოჰყავდა, რომლებიც კონკურსის ფარგლებში მართავდნენ მასტერკლასებს. ამ კონკურსებმა უდიდესი როლი ითამაშა ჩასაბერი საკრავების კათედრის შემდგომი მიღწევების და ჩასაბერი საკრავებით ახალგაზრდა მუსიკოსების დაინტერესებაში.

ამავე წელს იუნესკოს მიერ ქართული ხალხური სიმღერის არამატერიალურ ძეგლად აღიარებამ მიბიძგა იმისკენ, რომ კონსერვატორიაში ბაფონ ანზორ ერქომაშვილთან ერთად ჩაგვერარებინა ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის მთავარი მიზანი იყო კონსერვატორიაში მრავალხმიანობის საერთაშორისო კვლევის ცენტრის დაარსება. ჩემი ვარაუდით სხვადასხვა ქვეყნიდან სიმპოზიუმშე ჩამოსულ გამოჩენილ ეთნომუსიკოლოგებს მხარი უნდა დაეჭირათ ამ იდეისთვის, რომლის განხორციელება სერიოზულ თანხებთან იყო დაკავშირებული, იმისათვის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება მივეღო, მათ მხარდაჭერას ცენტრის შექმნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ეროვნული საქმის გასაკეთებლად შევძლით მთავრობის დაინტერესება, რათა საჭირო თანხები მოგვეპოვებინა სიმპოზიუმის ჩასატარებლად. 2002წ. ბრნიშვილებ ჩატარებულმა ტრადიციული მრავალხმიანობის 1 საერთაშორისო სიმპოზიუმმა დიდი გამოხსაურება ჰპოვა. ყველა ვარაუდი გამართლდა. მიზანმიმართული მუშაობის შედეგად ჩვენ მოვიპოვეთ იუნესკოს გრანტი 135 000 აშშ დოლარი, რომლის ერთი ნაწილი, 70 000 დოლარი, განკუთვნილი იყო თბილისის კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის და ახლადდაფუძნებული მრავალხმიანობის საერთაშორისო კვლევის ცენტრის ტექნიკური აღჭურვისათვის, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და ექსპედიციებისათვის, ხოლო მეორე ნაწილი კი – ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრისათვის. ამ გრანტით იუნესკომ, იაპონიის მთავრობის დაფინანსებით, თბილისის კონსერვატორიაში განახორციელა ქართული ტრადიციული პოლიფონის დაცვისა და განვითარების პროგრამა. ეს იყო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა – პირ-

ველი შემთხვევა, როდესაც ქართული პოლიფონის კვლევისათვის საერთაშორისო ორგანიზაციამ ესოდენ დიდი ფინანსური დახმარება გამოყო. როგორც იკით, 2002 წლიდან, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩატარება თბილისის კონსერვატორიაში ტრადიციად იქცა. ჩემი აზრით, იმ წლებში ქართული ფოლკლორის „ბუმის“ შექმნაში ჩვენს სიმპოზიუმს საპატიო ადგილი უკავია. და რაც მთავარია, მან ძალიან დიდი როლი ითამაშა ამ სფეროში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის საქმეში.

2002წ. კონსერვატორიის მოწვევით თბილისში ჩამოვიდნენ ბეთვენენის სახელობის ფესტივალის დირექტორი ბატონი ფრანც ვილნაუერი და „დოიჩე ველეს“ დირექტორატის რამდენიმე წარმომადგენელი. ფესტივალზე, ტრადიციის თანახმად, ყოველწლიურად იწვევდნენ ახალგაზრდა სტუდენტებ სიმფონიურ ინსტრუმენტებს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ჩვენი ორკესტრი იმ პერიოდისთვის სრულიად ახლად შემდგარი იყო და, რა თქმა უნდა, საუკეთესო შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ჩემი დაუინებული თხოვნით შევთანხმდით, რომ ისინი ერთი წლის შემდეგ კვლავ მოსმენდნენ ორკესტრს. რა თქმა უნდა, ჩემი მხრივ ეს გარკვეული ავანტიურა იყო, მაგრამ ამ რისკს ძალიან დიდი შედეგის მოტანა შეეძლო. და მართლაც, ერთნობიანა მუშაობამ და ფესტივალზე მოვედრის სურვილმა თავისი შედეგი გამოილო. 2003წ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები სიმფონიური ორკესტრი დიდი წარმატებით გამოვიდა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიულ ფესტივალზე – ბეთვენენის სახელობის საერთაშორისო ფესტივალზე ბონში. მოწვევასთან ერთად ბონის ფესტივალმა 10 000 ევრო გამოყო ორკესტრის სიმბიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტების საჭირო ნაწილების შესაძენად. შეიძლება ითქვას, ჩვენმა სტუდენტებმა და პედაგოგებმა შეუძლებელი შეძლეს. ამის დასტურია „დოიჩე ველეს“ მიერ გამოშვებული კომპაქტდისკი კონკურსის ცოცხალი ჩანაწერით. ბონის ფესტივალი ჩვენთვის ყველასთვის იყო დიდი სკოლა და დიდი დღესასწაული.

რაც შეეხება შენობის კაპიტალურ რემონტს, ამ პრობლემის გადაჭრას სტაბილური და სოლიდური თანხების მოზიდვა ესაჭიროებოდა.

ნუ გაგიკვირდებათ, თუ ჩემს ანგარიში ხშირად გაიუღერებს ისეთი ფრაზები, როგორიცაა: „დიდი ძალის-ხმევის შედეგად“, „ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ“, „დაუინებული თხოვნით“ და ა.შ. ეს იყო ის რეალობა, რომელიც თან ახლდა ყოველ გაკეთებულ საქმეს. მოგეხსენებათ, საქმის გასაკეთებლად კონსერვატორიაში თვითონ არავინ მორბოდა და არც ფულის აღებას არავინ გვეხვეწებოდა. ეს იყო დიდი მონდომების, მოთმნებისა და ტაქტიკური სვლების შედეგად მოპოვებული თითოეული ლარი.

იმისათვის, რომ შენობის რეკონსტრუქციის საკითხი ადგილიდან დაგვეძრა, უპირველეს ყოვლისა, ძეგლთა დაცვის სამმართველოში შევქმნით კონსერვატორის შენობის პასპორტი, რომელიც ადასტურებდა, რომ იყო იყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შესული ნაცეპობა. ამ პასპორტმა დიდი სამსახური გავიწია, ვინაიდნ ძეგლის სტატუსი სახელმწიფოს ავალდებულებდა მის მოვლა-პატრონობას; უკანელ სპონსორებზე კი ეს დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

2002 წელს ჩემს იდეას კონსერვატორის შტრუნველთა საბჭოს შექმნის შესახებ მხარი დაუჭირეს ბატონებმა: მამუკა ხაგარაძემ, გოგი თოფაძემ, ავთანდილ წერტელმა, ბადრი პატარკაციონილმა. ამ ადამიანებმა ჩვენი ქვეყნისათვის უმძიმეს ნლებში ფასდაუდებული სამსახური გაუწიეს კონსერვატორიას და ზოგადად ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას. ამავე დროს კონსერვატორის შენობა, რომელიც კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, გადავიყვანეთ ადგილობრივ, მერის დაქვემდებარებაში, ამის აუკილებლობა განაპირობა იმ გარემოებაში, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან შენობის მოსავლელად თანხები არ გამოიყოფოდა. მერის კი უფლებამოსილება არ ჰქონდა კონსერვატორიზე ხარჯები გაეწია. მას შედეგ, რაც მივიღეთ კულტურისა და ქონების მართვის სამინისტროების ნებართვა, მერია უკვე ოფიციალურად იღებდა ვალდებულებას, გამოეყო გარკვეული თანხა კონსერვატორიის შენობის, როგორც თბილისის არქიტექტურული ძეგლის მოვლა-პატრონობაზე. ამგვარად, ყოველწლიურად სპონსორებისა და მერის მიერ გამოყოფილი თანხებით შენობის სართულ-სართულ რეკონსტრუქცია დავიწიოთ. შემოწირული თანხების ჩასა-

რიცხად სპეციალურად დავაარსეთ კონსერვატორიის განვითარების ფონდი. მინდა აღვნიშნო, რომ ყველა სამუშაო სრულდებოდა ბაფხელის თვეებში, 24 საათიანი რეჟიმის პირობებში, რათა სასწავლო პროცესს ხელი არ შეშლოდა.

შენობის კაპიტალური რემონტი დაიწყო IV სართულიდან, ვინაიდან წვიმისა და თოვლის გამო, სწორედ ეს სართული საჭიროებდა გადაუდებელ შეველას. დიდი ძალისხმევის შედეგად 2003წ. „ბრიტიშ პეტროლიუმის“ კომპანია დავიყოლიეთ სპონსორობაზე. იმ წელს III სართულისა და საოპერო სტუდიისათვის ახალი V სართული ერთდროულად შენდებოდა. ერთი წლის შედეგ, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფონდმა „ქართუმ“ კონსერვატორიის ისუროებული ნაწილის აღდგენა იტვირთა.

თავს არ შეგაწყვენ იმ სამუშაოების ჩამონათვლით, რაც გაკეთდა. გამოიცვალა პრაქტიკულად ყველაფერი – სახურავიდან საძირკვლამდე, და ამავე დროს შენობის რეკონსტრუქციის შედეგად კონსერვატორია გაფართოვდა: გაჩნდა ახალი 5 სართული საოპერო სტუდიისათვის სარეპეტიციო დარბაზით, აუდიტორიებით, საგრიმიოროთი და გარდერობებით; პირვანდელი სახე დაუბრუნდა უმშვენიერეს მცირე დარბაზს და ამავე დროს იგი აღიჭურვა თანამედროვე გათბობისადა კონდიციორების სისტემით; ადგილი შეიცვალა და გაფართოვდა ბიბლიოთეკა, შეიქმნა ახალი საბიბლიოთეკო საცავა; I სართულებები გაკეთდა სარეპეტიციო კლასები სტუდენტთათვის; შეიქმნა სრულიად ახალი ტიპის ფონოტეკა თანამედროვე ტექნიკით. გაჩნდა ახალი დარბაზები – კამერული, საოპერო სტუდიის, დიდი აუდიტორიები – საორკესტრო, საგუნდო, სალექციო, კონფერენციდარბაზი, საპროფესორო, სპორტდარბაზი, სასადილო, უმშვენიერესი ებო, 2 სასტუმრო ოთახი, რომელიც სპეციალურად მოეწყო კონსერვატორიის მოწვეული უცხოელი სტუმრებისათვის, მათვის, ვინც მასტერკლასებსა და კონცერტებს ატარებენ ჩვენთან. ეს თახები დიდ ფინანსურ კონომისას უწევენ ჩვენს ბიუჯეტს; კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა კონსერვატორიის შენობის მთლიან ფასადს; გამოიცვალა მთანმინდის კოლექტორი, რომელიც კონსერვატორიის შენობის ქვეშ გადის. იგი უმძიმეს, ავარიულ, მდგომა-



რეობაში იყო და საფრთხეს უქმნიდა კონსერვატორიის მთელ შენობას. გარემონტდა ლანდისის ქუჩის კოლექტორია, რომელიც მეორე შერიდან აბიანებდა კონსერვატორიის დიდ დარბაზს; 2005წ. „ქართუს“ დაფინანსებით დიდ დარბაზშიც ჩატარდა მიმდინარე რემონტი; შეძენილ იქნა ახალი, რიგით მესამე „სტენვეის“ ფირმის საკონცერტო როიალი.

მთლიანად შეიცვალა კონსერვატორიის ინვენტარი. რესტავრაცია გაუკეთდა ისტორიულ ავეჯს, ჭაღებს. დავინწყეთ კონსერვატორიის აღქურვა თანამედროვე ტექნიკით – კომპიუტერებით, მუსიკალური ცენტრებით, CD და DVD პლეიერებით. შევიძინეთ აპარატურა, რომლის მეშვეობით ძველი ჩანაწერები, რომლებიც დაღუპვის პირას იყო მისული, გადატანილ იქნა კომპაქტდისკებზე. ამით პრაქტიკულად გადავარჩინეთ ქართული მუსიკის უნიკალური ნიმუშები.

ჩვენმა ქართველმა და უკონელმა მეგობრებ-

მა თბილისის კონსერვატორიის დასახმარებლად არა ერთი საქველმოქმედო ფონდი შექმნეს: ლევ მარკიბა – პოლანდიაში, მარკ მალკოვიჩია – ამერიკაში, ელიზაბეტ გასტმა – გერმანიაში, მოგვიანებით, თამარ კორძაძე – შვეიცარიაში. დაიწყო საბიბლიოთეკო ფონდების განახლება – გამდიდრება. მ. მალკოვიჩმა საკუთარი ხარჯებით თავისი ნიუ-პორტის ფესტივალის უმდიდრესი ბიბლიოთეკის სანოტო ასლები გამოვიზავნა ამერიკის საელჩოს მეშვეობით. ფონოტეკა შეივსო გერმანელი მეცენატი ქალის ე. გასტისა და მისი მეგობრების მიერ გამოგზავნილი კომპაქტდისკებით, და დღეს მის საცავში 5000-ზე მეტი დისკია. ლევ მარკიბა საკუთრივ შექმნა საორკესტრო ლიტერატურის ბიბლიოთეკა თბილისის კონსერვატორიაში. დავიწყეთ ბრუნვა ინსტრუმენტული ფონდის შექმნაზე. შევიძინეთ „იამაპას“ ფირმის საკონცერტო როიალი, რომელიც ადრე ხმისჩმნერი ფირმა „მეგობრის“ საკუთრება იყო. მ.

მალკოვიჩის დახმარებით „იამბას“ ფირმამ საჩუქრად გადმოგვცა კლავინოლა. არაერთი ჩასაბერი, სიმებიანი და დასარტყამი ინსტრუმენტი და სათადარიგო ნაწილი მივიღეთ საჩუქრად. ამ ფონდების შექმნაში უამრავი ჩვენი მეგობარი იღებდა მონაწილეობას: სანდრა რულოვსი, ფრანსუა ლოლო, ლევ მარკიზი, გია ქობულაშვილი, თემურ ახობაძე, გვიდო ზეგერსი, ჯეფრი ჯეიმსი, მარკ მალკოვიჩი, ბადრი პატარკვიშვილი, გია ყანჩელი, სოსო ბარდანაშვილი, ვლადიმერ სპივაკოვი, ნანა გელოვანი, გიორგი ჩხერგელი, ელენ შულთჰესი და ბევრი სხვა.

ამ პროცესებში მონაწილეობას იღებდნენ ორგანიზაციებიც: ა. დიუმას სახელობის კულტურის ცენტრი, საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა, ი. გორეთს სახელობის ინსტიტუტი.

2005 წ. სარემონტო სამუშაოების გამო ერთი წლის დაგვიანებით, საბეჭიმოდ აღვინიშნეთ მცირე დარბაზის კურთხევის 100 წლისთავი.

2005 წელი აღინიშნა კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტით. გავაუქმეთ კონსერვატორის დიდი დარბაზის დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი, რომელიც მას 1979 წლიდან ჰქონდა და დავაბრუნეთ იგი კონსერვატორის ერთიან ბალანსში. ამით საბოლოოდ დაქვემდიდრდეთ მისი გამოყოფის ან გასხვისების უსაფუძვლო შიშებს.

2007 წ. პრეზიდენტის პატრონაჟით საბეჭიმოდ აღინიშნა კონსერვატორის 90 წლისთავი. დიდ და მცირე დარბაზებში ჩატარდა კონცერტების სერია, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა პროფესორ-მასწანავლებლებმა, სტუდენტებმა, მოწვევლამ სტუმრებმა და ჩვენმა სახელოვანმა კურსდამთავრებულებმა. კონსერვატორის მუზეუმში მოეწყო კონსერვატორის ისტორიის ამსახველი ექსპოზიცია. ჩატარდა კონფერენციები, მასტერკლასები, გამოიცა ინგლისური და ქართულენოვანი წიგნი-ბუკლეტები, რომლებიც ვამომცემლობა „ნოვო საიენს პაბლიშენმა“ დაბეჭდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. გამოიცა საიუბილეურ კომპაქტდისკი უნიკალური საარქივო ჩანაწერებით. საიტილეო ღონისძიებებისათვის თანხა (120 000 ლარი) გამოიყო პრეზიდენტის ფონდიდან.

მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო სტუდენტური სტი-

პენდიების საკითხს. კონსერვატორიაში ყოველთვის არსებობდა სახელმძიმელი და სახელმწიფო სტაციონარი. სამწუხაროდ, ფინანსური სიდუხტირის გამო გარკვეულ წლებში ეს სტაციონარი არ ვაიცემოდა.

2001 წლიდან აღდგა 8. ფალიაშვილის, ვ. სარაჯიშვილის, ნ. სულხანიშვილის დ. არაყიშვილის სახელმძიმელი სტაციონარი. ამის გარდა სხვადასხვა წლებში და სხვადასხვა პერიოდით დაინიშნა პრეზიდენტის, კერძო პირებისა და ფირმების სახელმძიმელი სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის. მინდა გავაცნოთ ეს სია: 1. პრეზიდენტის; 2. ლიბა ლეონსკაძის; 3. მანანა დოიჯაშვილის; 4. ვოგი თოფაძის; 4. ვლადიმერ სპივაკოვის; 4. იოსებ ბარდანაშვილის; 5. ჰენრის და სტანისლავ ნეიპაუზების; 6. ლექსო თორაძის; 7. პაატა ბურჭულაძის; 8. კოტე ფოცხვერაშვილის; 9. კუკური ჭოხონელის; 10. ეთერ ანჯაფარიძის; 11. ლევ მარკიზის; 12. გია ყანჩელი – ჯანსულ კახიძის; 13. ლიანა ისაკაძის; 14. მაია თომაძის; 15. ცავა ნამორაძის; 16. ხაურა ბუნიათიშვილის.

2004 წ. საქართველოში დაიწყო უმაღლესი განათლების რეფორმი. უდავოა, რომ უმაღლესი განათლება მოითხოვდა სერიოზულ ცვლილებებს, და ამავე დროს, გონივრულ მიდგომასაც მთელი რიგი დარგებისადმი, განსაკუთრებით კი ისეთი სპეციფიკური და წარმატებული დარგისადმი, როგორიც სამუსიკო განათლებაა...

მოგეხსენებათ, სამუსიკო განათლება ერთადერთია, რომელიც საჭიროებს უწყვეტ სისტემურ, მიზანმიმართულ სწავლას ადრეული ასაკიდან უმაღლესი სკოლის ჩათვლით. რაც სამწუხაროდ, არ იქნა გათვალისწინებული. ქვეყნის მასშტაბით არსებული 7 წლიანი სამუსიკო სკოლები გადაყვანილ იქნებ თვითდაფინანსებაზე და გარდაიქმნებ 6 წლიან სახელოვნებო სკოლებად, სადაც მუსიკის გვერდით გაჩნდა ცეკვის, ხატვის, აერობიკის, ჭრა-კერვის და ა.შ. სპეციალობები. უმაღლესი განათლების კანონის თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა საშუალო პროფესიული სასწავლებლები, სამუსიკო განათლების უმნიშვნელოვანები რგოლი, რომელიც აკავშირდა დაწყებით და უმაღლეს განათლებას. გაუქმდა ერთიანი სამუსიკო საგანმანათლებლო სტანდარტები და პროგრამები. მთელი სამუსიკო განათლება ცენტრალიზებული მართვის მიღმა დარჩა. სახელმ



წიფო დაფუნანსების შემცირებას მოჰყვა სწავლის ღირებულების გაზრდა. ამან კი არსებული სოციალური ფონდიდან გამომდინარე გამოიწვია სამუშავო განათლებაზე ორიენტირებული კონტინგენტის მკვეთრი შემცირება და შემოქმედებითი რესურსების გაძნევა.

ქვეყნის უმაღლესი განათლება შეუერთდა ბოლონის პროცესს. შეიცვალა უმაღლესი დაწესებულებების სტრუქტურა და მართვა, შემოვიდა საკრედიტო სისტემა, უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციისა და მონიტორინგის ახალი ფორმები და პრინციპები. მიუხედავად თავდაუზოგავი ბრძოლისა, იმ ეტაპზე სტრუქტურულად კანონში ვერაფრის შეცვლა ვერ მოხერხდა.

და მაინც, უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, სახელმწიფო უმაღლესებმა შევინარჩუნეთ სახელმწიფო

დაფინანსება სუფსიდიის სახით, რასაც ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ჩვენი აბიტურიენტები-სათვის ეროვნულ გამოცდებზე დავაწესეთ მინიმალური 15 ქლიანი ბლვარი. შევინარჩუნეთ მისაღები გამოცდების ჩვენებული სისტემა და შემოქმედებითი ტურები. დიდი ბრძოლის შედეგად გავათანაბრეთ დოქტორისა და საშემსრულებლო სპეციალობებში პროფესორის სტატუსი. ლომის წილი ამ გადაწყვეტილებების მიღებაში კონსერვატორიას მიუძღვის. და რაც მთავარია, კონსერვატორიამ არ ჩაატარა კადრების ოპტიმიზაცია, რომელიც საქართველოს პრაქტიკულად ყველა უმაღლეს სასწავლებელში უდიდესი დანაკარგებით და ძალიან მტკიცნეულად განხორციელდა. ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი ყველა თაობის პროფესორ-მასწავლებები.

ბოლონის პროცესთან დაკავშირებით, ცნობის სახით, მინდა პატარა ინფორმაცია მოგაწოდოთ. 2005 წ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია გახდა ევროპული უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლების ასოციაციის წევრი. ყოველწლიურ კონგრესებსა და ასამბლებზე მე არ მინახავ არც ერთი ქვეყნის კონსერვატორის წარმომადგენელი, რომელიც ბოლონის პროცესს აუგად არ მოიხსენიებდა. ერთადერთი სიკეთე, რაზედაც ყველა თანხმდება, სტუდენტებისათვის მობილობის საშუალება და ერაბმუს პროგრამის მრავალმილიონიანი დაფინანსება, რის გამოც ბოლონის პროცესზე უარს არ ამბობენ, პირიქით, მაქსიმალურად იყენებენ, და რაზეც ჩვენ სრულფასოვნად ხელი არ მივიწვდება, რადგან არა ვართ ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

ცვლილებები უმაღლესი განათლების კანონში ელგის სისწრაფით ხორციელდება. ჩვენ ცვლილობთ მოვერგოთ აუცილებელ ჩარჩოებს, სადაც არ გამოვვდის, ვიბრძით მათ შესაცვლელად, რომ არ დავკარგოთ ჩვენი ტრადიციები და ასეა დღემდე. მაგრამ ისიც უნდა ვალიაროთ, რომ ის სიხისჭე, რომელიც რეფორმის პირველ წლებში იყო, ჩვენი პრობლემების მიმართ უფრო გააზრებული მიდგომებით შეიცვალა.

მე ბევრჯერ მითქვამს და მინდა გავიმეორო, რომ თუ ჩვენ რამე გვაქვს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი – ეს ჩვენი მუსიკალური ხელოვნებაა. ჩვენს კონსერვატორიულ სფეროში უმნიშვნელო ცვლილებებიც კი დიდ ძვრებთანა დაკავშირებული და უდიდეს სიფრთხით მოიხოვს. და რაც მთავარია, რეფორმები ჩვენს სფეროში პროფესიონალების გასაკეთებელია.

სრული ქაოსი, რომელიც სამუსიკო განათლებაში შეიქმნა, საფრთხეს უქმნიდა არა მარტო კონსერვატორის მომავალს, არამედ ზოგადად ქვეყნის მუსიკალურ ხელოვნებას.

2005-06 წლებში კონსერვატორის ინიციატივით განახლებული სახით შეიქმნა უწყვეტი სამუსიკო განათლების კონცეფცია, რომელიც ერთი მხრივ, ითვალისწინებდა არსებულ სამუსიკო განათლების საუკუნოვან ტრადიციებს, მეორე მხრივ კი, – დასავლური სამუსიკო განათლების სფეროში მიმდინარე ინოვაციებს.

ამ კონცეფციამ დიდი მონონება დაიმსახურა 2008წ. თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო მუსიკალური

კონკურსების მსოფლიო ფედერაციის ასამბლეაზე.

ჩვენი მთავარი მიზანი სწავლების უწყვეტობის აღდგენა იყო. თერთმეტწლიანი სპეციალური სამუსიკო სკოლები, რომლებიც, ფაქტობრივად, მოიაზრებოდა როგორც ერთიან რგოლში შეკრული დაწყებითი შვიდი კლასი + ტექნიკურის 4 კურსი, უნდა დაფუძნებულიყო ის სასწავლებლების ბაზებზე, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით არსებობდა სხვადასხვა ქალაქში და მიღევად რეჟიმზე იყო გადაყვანილი. ამით ჩვენ შევინარჩუნებდით იმ სასწავლებლების ქონებას, ინსტრუმენტებს, ინვენტარს, ბიბლიოთეკებს და, რაც მთავარია, პროფესიულ კადრებსა და შენობებს, რომლებსაც პრივატიზაციის დიდი საფრთხე ემუქრებოდათ. ეს სასწავლებლები უნდა შექმნილიყო განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისათვის, შესაბამისად, უნდა ყოფილიყო მცირე კონტინგენტიანი, უფასო და, რაც მთავარია, მათ უნდა ჰქონოდათ მყარი სახელმწიფო დაფინანსება. უდიდესი კაციონილების გრძნობით მინდა აღვინიშნო, რომ შევძელი დამერჩმუნებინა კულტურის მინისტრი ბატონი ნიკოლოზ რურუა ასეთი სკოლების დაფუძნების აუცილებლობაში.

2009წ. კულტურის სამინისტროს მიერ მართლაც დაფუძნდა 11 წლიანი სამუსიკო სკოლები თელავში, რუსთავში და გორგში.

კონსერვატორის ინიციატივითვე ჩვენმა პროფესიონალური სკოლებისთვის შექმნეს ახალი სტანდარტები, პროგრამები და გეგმები, რომლებიც კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცდა და ქვეყნის მასშტაბით სავალდებულოდ იქნა შექმნილი ამ ტიპის სამუსიკო სკოლებში.

2009წ. სამთავრობო ბრძანებულებით, კონსერვატორის შეუერთდა მიღევად რეჟიმში მყოფი თბილისის სამუსიკო სასწავლებლების გაერთიანება თავისი ქონებით, ბიუჯეტითა და შენობა-ნაგებობებით ჩებინაშვილისა და ნუკუბიძის ქუჩებზე. დღეს ამ შენობებში ხორციელდება პროფესიული პროგრამები და დაარსდა კონსერვატორის თერთმეტწლიანი სამუსიკო სემინარია. სემინარის დაარსებას წინ უძლოდა საქართველოს პარლამენტსა და სხვადასხვა უწყებებში ხანგრძლივი მუშაობა. საჭირო იყო უმაღლესი და ზოგადი განათლების კანონებში შეტანილიყო ცვლილებები,

რაც სამუსიკო და ბოგადსაგნიმანათლებლო სკოლების ერთ შენობაში ფუნქციონირების უფლებას მოვც-ცემდა. ამით აღდგებოდა ის დიდი ტრადიცია, რომელიც ინტეგრირებულ სწავლას გულისხმობს და რომელმაც თავის დრობები უდიდესი წარმატება მოუტანა ჩვენს მუ-სიკალურ ხელოვნებას.

ეს პიტიოური ძვრები სამუსიკო განათლებაში დი-დად არის დაკავშირებული კულტურის მინისტრის ბა-ტონ ნიკოლოზ რურუას სახელთან. ეჭვგარეშეა, ეს სკოლები უახლოეს მომავალში თავის შედეგს მოიტანს და ამოავსებს იმ დღიდ ვაკუუმს, რომელიც 2004-09 წლებში შეიქმნა. ამასთან ერთად, ქალაქის მერის ბა-ტონ გიგი უგულავას მხარდაჭერით თბილისის სახე-ლოვნებო სკოლებისთვის გამოიყო სოლიდური თანხა 1 მილიონი ლარი მუსიკალურად ნიჭიერი მოსწავლე-ების დასაფინანსებლად. ბატონ გიგის კონსერვატორი-ისაგან განსაკუთრებული მადლობა ეთქმის სემინარის შენობის გამაგრებისა და რესტავრაციისათვისაც. წელს ჩუბინაშვილის ქუჩის სტრონიული შენობა, რომელიც უმძიმეს ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ფაქ-ტობრივად თავიდან აშენდა. ჩატარდა ურთოლესი და ძალგებ ძვირადლირებული სამუშაოები. ვფიქრობ, უახ-ლოეს 1-2 წლითადში სემინარის შენობის ყველა სარეკონსტრუქციო სამუშაო დასრულდება და ჩვენ გვექნება მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი სამუ-სიკო სასწავლებელი – კონსერვატორისთვის ესოდენ სასიკონსტრუქციო მნიშვნელობის კიდევ ერთი უძლიერესი საყრდენი.

მინდა ძალიან მოკლედ მოგახსენოთ იმ სასწავლო და შემოქმედებით პროცესებზე, რომელიც ამ წლებში მიმდინარეობდა:

- აღდგა სახელმწიფო გამოცდებზე მოწვეული თავმჯდომარეების ტრადიცია;
- შემოვიდეთ კონცერტმასტერებისა და პროფესორ-მასწავლებლების ღია კონ-კურსები;
- დამკვიდრდა სტუდენტურ ორგესტრთან მუშაობის ახალი, დასავლური სისტემა, რომელიც გულისხმობს წელიწადში რამდე-ნიმე მოწვეულ უცხოულ დირიჟორთან მეცა-დინეობას და კონცერტებს. უდიდესი როლი

შეასრულა ჩვენი სტუდენტური ორგესტრის ჩამოყალიბებაში ბატონმა ლ. მარკიზმა, რო-მელიც 2003 წლიდან რამდენიმე წელი ედ-გა ორგესტრს სათავეში, როგორც მოწვეული დირიჟორი;

• სისტემატურად ტარდება კათედრე-ბის საანგარიშო და საჩვენებელი კონცერტები დიდ დარბაზში;

• ტრადიციად იქცა ყოველწლიური სტუდენტური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები;

• აკადემიური სიმღერის კათედრაზე ექსპერიმენტის სახით შემოვიტანეთ დასავ-ლური ტიპის სტუდიები მეცადინეობის ფორ-მები;

• კონსერვატორის მუზეუმში, მცირე და დიდ დარბაზებში დამკვიდრდა შესანიშნავი ტრადიცია – სისტემატურად ალინიშნება კონ-სერვატორიაში მოღვაწე პროფესორ-მასწავ-ლებლების საიუბილეო თარიღები, ტარდება თემატური კონცერტები;

• 2006წ. გაფორმდა ხელშეკრულება ნიუ-იორკის გამომცემლობა „Nova Science Publisher“-თან, რაც გვაძლევს შესაძლებ-ლობას კონსერვატორის სამეცნიერო შრომე-ბი და სტატიები საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში დაიბეჭდოს;

• ეროვნული მუსიკალური კულტურის გაძლიერების მიზნით დავაარსეთ საეკლესიო მუსიკის მიმართულება. შეიქმნა სამაგისტრო და სადოკტორო პროგრამები საეკლესიო მუ-სიკასა და ეთნომუსიკოლოგიაში;

• 2008-2009 წლებში დავიწყეთ სა-დოკტორო პროგრამების განხორციელება. სხვადასხვა ინსტანციებში ჩვენი დიდი ძალის-ხმევა დასტურდა საშემსრულებლო დოქტო-რანტურის შემოღებას;

• მუსიკისმცოდნების მიმართულებაზე შეიქმნა ქართულენოვანი სახელმძღვანელო-ები;

- 2007 წლიდან კონსერვატორიამ და-ინუ პროფესიული პროგრამების განხორციე-ლება. შემოღებულ იქნა ახალი სპეციალობე-ბი: ვოკალური და ინსტრუმენტული ჯაზის ხე-ლოვნება, საჯარო სკოლების მუსიკის მასწავ-ლებლისა და ბალეტმაისტერის ხელოვნება;
- უდიდესი როლი შეასრულა პროფე-სიული დონის ამაღლებაში ჩვენმა რესპუბლი-კურმა კონკურსმა, რომელიც ყველა სპეცია-ლობაში ტარდება;
- ჩვენი კონსერვატორის პოპულა-რიბაცისა და ინტეგრირების პროცესებს დი-დად შეუწყო ხელი პიანისტთა თბილისის სა-ერთაშორისო კონკურსმა და დიდი დარბაზის საახალწლო ფესტივალმა. კონკურსების და ფესტივალებზე ჩამოსული სახელგანთქმული მუსიკოსები ატარებენ მასტერკლასებს სხვა-დასხვა სპეციალობებში. თავისი მხრივ, ისინი ხშირად იწვევენ ჩვენს სტუდენტებს სხვადასხ-ვა ქვეყნებში კონკურსებზე, კონცერტებსა და მასტერკლასებზე;
- ქართული მუსიკალური კულტურისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორი-ის საერთაშორისო აღიარებად უნდა მივიჩნი-ოთ ის ფაქტი, რომ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი 2002 წ. საერთაშორისო მუსიკა-ლური კონკურსების მსოფლიო ფედერაციის წევრი გახდა და უფრო მეტყველების 2009 წელს არჩეულ იქნა თვით ფედერაციის მართვის სტრუქტურაში;
- განსაკუთრებით მინდა ალენიშნო სა-ქართველოში უცხო ქვეყნის საელჩოების მე-გობრობა თბილისის კონსერვატორიასთან. ჩვენ არაერთი ერთობლივი, წარმატებული პროექტი განვახორციელეთ აშშ-ს, პოლო-ნეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, ნიდერლანდების, ჩეხეთის, ესტო-ნეთის, უნგრეთის, შვეიცარიის საელჩოებთან
- 2010 წელს თბილისის კონსერვატო-რიამ მოიგო ნორვეგიის მთავრობის გრანტი,

რომლის ღირებულება 600 000 ევროა. გა-ფორმდა ხელშეკრულება ოსლოს მუსიკის აკადემიასთან. ეს არის ოსლოს აკადემიისა და თბილისის კონსერვატორიის ერთობლივი ოთხნლიანი პროექტი „უმაღლესი სამუსიკო განათლების მოდერნიზაცია – 2011-14 წლები“. იგი გულისხმობს თბილისის კონსერვატორია-ში ახალი სამუსიკო ტექნოლოგიების დანერ-გვას, თანამედროვე ხმის ჩამნერი სტუდიის შექმნას, აკადემიური პერსონალის, სტუდენ-ტებისა და ადმინისტრაციის გაცვლით პროგ-რამებს. პირველი სამი სტუდენტი უკვე გაემგ-ბავრა ოსლოში სასწავლებლად.

• 2010 წლის მიწურულს ჩვენ მოვიგეთ იაპონიის მთავრობის გრანტიც, რომლის ღი-რებულება შეადგენს 90 000 ამერიკულ დო-ლარს. ამ გრანტის მოსაპოვებლად 10 წელზე მეტია ვმუშაობთ. იგი მთლიანად განკუთვნი-ლია „აამაჰას“ ფირმის ჩასაბერი და დასარ-ტყამი ინსტრუმენტების შესაძენად. ამ ინსტ-რუმენტების ერთი ნაწილი ჩვენ უკვე მიღებუ-ლი გვაქვს;

• ამ წლების მანძილზე გაფორმდა არაერთი ხელშეკრულება ორმხრივ თანამშ-რომლობაზე: მიუნიჟენის, ხარკოვის, ესტონე-თის, ოსლოს, ლატვიის, ჰამბურგის, კრაკოვის, პოზნანის, ბელორუსის, ლატვიის მუსიკალურ აკადემიების და უმაღლეს სამუსიკო სასწავ-ლებლებთან. უხლოეს მომავალში, ნოემბ-რის შუა რიცხვებში დაიდება ხელშეკრულება ლისტის სახელობის მუსიკის აკადემიასთან ბუდაპეშტში;

• მარტ 2011 წელს სხვადასხვა პრო-ექტებში მონაწილეობის მისაღებად თბილისის კონსერვატორიამ თავისი სხვადასხვა სპეცი-ალობების სტუდენტები გააგზავნა: პოზნან-ში, გდანსკში, ოსლოში, მოლდებულჩიანოში, რომში, კრაკოვში, ბაიროითში, ობიძოში, მი-ლანში.

ვფიქრობ, ძალიან შორს წაგვიყვანს ამ წლებ-ში ჩვენი სტუდენტების საერთაშორისო წარმატებების

ჩამოთვლა, ისევე როგორც იმ დიდი მუსიკოსების სახელებისა, რომლებიც მოწვეული იყვნენ ჩვენთან მასტერკლასებზე, სემინარებზე, კონცერტებზე.

სწორედ კონსერვატორიაში შექმნილმა ცივილი-ზებულმა გარემომ და ჩვენი სამუსიკო განათლების ტრადიციებმა მოიჩიდა ამდენი უცხოელი მუსიკოსი და აღუძრა მათ თანამშრომლობის სურვილი.

2000 წლიდან კონსერვატორიის ბიუჯეტი 400 000 ლარიდან გაიზარდა 3 მილიონ 300 000 ლარამდე. ხელფასების მატებამ შეადგინა 400%. მადლიერებით მინდა აღვნიშნო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უდიდესი წვლილი კონსერვატორიის ბიუჯეტის გაზრდის საქმეში.

ამ წლების მანძილზე არაერთი ქართველი და უცხოელი მეცნატისა და მეგობრის ხელშეწყობით ჩემ მიერ კონსერვატორიაში მოზიდულ იქნა 7 მილიონ ლარზე მეტი არასაბიუჯეტო თანხა.

მე მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩვენი ქვეყნის ყველა დროის მთავრობებს იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც ჩვენ მუდმივად ვგრძნობთ.

სრულიად განსაკუთრებულად მინდა გამოვყო საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის ბატონ მიხეილ მაჭავარიანის წვლილი და ერთგულება. იგი ყოველთვის დგას ჩრდილში, მაგრამ ყველა დროს ყველა პრობლემის მოგვარებაში ვვეხმარება.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ჩვენს სპონსორებს, მეცნატებს, მეგობრებს, საქართველოში აკრედიტირებულ საელჩოებს, ჩემი გუნდის თითოეულ წევრს დაწყებული მათგან, ვინც ჩემი მოღვაწეობის სათავეებთან იდგა ჩემ გვერდით – დამთავრებული დღევანდელი თანაგუნდელებით: კონსერვატორიის ადმინისტრაციას, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, მომსახურე პერსონალს – დარაჯებიდან დამლაგებლებამდე. მინდა პერსონალურად გადავუხადო მადლობა ჩემს მოადგილეს და თანამოაბრეს ქალბატონ მანანა ანდრიაძეს. მასთან მუშაობა ჩემთვის იყო დიდი სიხარული და დიდი პატივი. დაბოლოს, მადლობა ჩემს ოჯახს, ჩემს მეუღლეს ამ წლების მანძილზე ჩემი გაძლებისათვის. თუ რამე შევძელი მის მხარდაჭერასა და მოთმინებას უნდა ვუმადლოდე.

არ დავმალავ, ამ თითქმის ორი ათეული წლის მან-

ძილზე ადამიანებთან ურთიერთობაში დიდი სიხარულიც განმიცდია და დიდი იმედგაცრუებაც. რა თქმა უნდა, ყველას მოსაწონი ვერ გავაკეთე. ერთადერთი, რაც დანამდვილებით მინდა გთხოთ, არის ის, რომ არა-სოდეს პირადული არაფერი მამოძრავებდა. ყოველთვის გხელმძღვანელობდი ჩვენი კონსერვატორიისა და სამუსიკო განათლების ინტერესებით. ყოველთვის კუდილობდი კუოფილიყავი სამართლიანი. თუ რამდენად შევძელი ეს – თქვენი განსასჯელია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ წლებში ბევრი ახალი სპეციალობა შევიძინე, ისეთები როგორიცაა: ეკონომისტი, მენეჯერი, ბუღალტერი, მშენებელი, და ბევრი კიდევ სხვა, ჩემი პროფესიისთვის არასდროს მიღალატია. ყოველთვის ვიყავი და დავრჩები მუსიკოსად, პიანისტად, და ღრმად მწამს, რომ სწორედ პროფესიისადმი სიყვარულმა, ერთგულებამ და ჩემმა პროფესიულმა ავტორიტეტმა შემაძლებინა ყოველივე ის, რაც გაკეთდა.

იმდინარება, დღევანდელი ჩემი ანგარში თქვენ მიერ არ აღიქმება არც თავის ქებად და არც ცრუ თავმდაბლობად. ეს ის სიმართლეა, რომლითაც მე ამ წლების მანძილზე ვიკოვრე.

დაბოლოს, ყველასათვის ცნობილია, რომ თბილის სახელმწიფო კონსერვატორია გახლავთ | უმაღლესი სასწავლებელი მთელ ამიერკავკასიაში, რომელიც 1917 წელს დაარსდა. აქედან მოყოლებული იყო ყოველთვის იყო ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის ავანგარდში. მას უმძიმეს წლებშიც კი არ დაუკარგავს თავისი ღირსება და პროფესიული სიმაღლე. სულ რამდენიმე დღეში აკადემიური საბჭო კონსერვატორიის ახალ რექტორს აირჩივს. მე ღრმად მწამს, რომ იგი იმ ღირებულებების, პრინციპებისა და ტრადიციების ერთგული იქნება, რომლითაც, აი, უკვე საუკუნეა ამაყობს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია და მთელი ჩვენი ქვეყანა.

გმადლობთ ყურადღებისთვის

## პისკარიძეს დიდ თეატრი ავილოვებენ

დიდი თეატრის გახსნის გრანდიოზულ ცერემონიაზე დიდი თეატრის პრიმა ბალეორნი ნიკოლოზ ცისკარიძე, რომელიც 20 წელია ამ თეატრის წამყვანი სოლისტია, არ მიიწვიეს. საქმე ის არის, რომ ნიკოლოზ ცისკარიძემ დიდი თეატრის ისტორიული სკენის საზეიმო გახსნის წინა დღეებში გააკრიტიკა თეატრის ექვსწლიანი რეკონსტუქცია და მას „ვანდალიზმი“ უწოდა. ცისკარიძემ „კომსომოლსკაია პრავდა“ –ს განცემადა, რომ მას ავიწროებენ თეატრში: „მე ძალებები ამისსნეს, რომ ახლა აღარაფრის იმედი არ უნდა მქონდეს... მე კი არსად წასვლას არ ვაპირებ... თეატრის ადმინისტრაციას არცერთი მიზები არა აქვს იმისა, რომ გამათავისუფლოს“ – თქვა სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის პრიმა მოცეკვავემ. მისი გათავისუფლების მოთხოვნით დიდ თეატრში ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. რუსეთის კულტურის მინისტრმა ალექსანდრე ავდეევმა უარყო ცისკარიძის ბრალდებები, ხოლო რესტაურაციები შეურაცხყოფილი იყნენ მისი ბრალდებებით და ყველაფერი უარყეს.

და მიუნენის ფილარმონიის ერთობლივ პროექტს „გერგიევის შოსტაკოვიჩი“. 2011-2012 წე. სეზონში მიუნენის ფილარმონიული ორკესტრის და მარინის თეატრის ორკესტრის ძალებით, სოლისტების ოლგა სავოასა და მხატვალ პეტრენკოს მონაწილეობით, გალერი გერგიევის დირიჟორობით შესრულდება შოსტაკოვიჩის თხუთმეტივე სიმფონია. პროექტი ორი ნაწილისაგან შედგება – 5 კონცერტი მიუნენის ფილარმონიული ორკესტრის შესრულებით, ოთხი – მარინის თეატრის. ადრე ასეთი პროექტი „შოსტაკოვიჩის ყველა სიმფონია“ გალერი გერგიევმა განახორციელა მარინის თეატრის ორკესტრთან, ლონდონის სიმფონიურ ორკესტრთან, როტერდამის ფილარმონიულ და ვენის ფილარმონიულ ორკესტრებთან.

მიუნენის ფილარმონიულ ორკესტრთან პირველი კონცერტი გაიმართა 2 ნოემბერს და შესრულდა შოსტაკოვიჩი I და IV სიმფონიები, შემდეგი კონცერტები გაიმართება 21, 22 დეკემბერს და 2012 წლის 18-19 ივლისს. მარინის თეატრის ორკესტრთან – 2012 წლის 24, 25 მარტს, 5 და 6 მაისს მიუნენში. დაგეგმილია დისკების გამოცემაც.

დისკრიმინაციაში დაადანაშაულა, ვინაიდან მას არ მისცეს კონკურსში მონაწილეობისათვის რევისტრაციის უფლება. საჩივარი გაეგზავნა 88 წლის მოსამართლეს რობერტ პეტრენკოს, რომელიც თვითონაც ჭარმავ ასაკშია. პეტრენკომა საჩივარი ფორმალური შეცდომების საბაბით უკან დააბრუნა. შემოწერმა განმეორებით შეიტანა საჩივარი იმ იმედით, რომ მას სხვა მოსამართლე განიხილავდა, მაგრამ ის კვლავ პეტრენკონთან მოხვდა, რომელმაც კვლავ უარყოფითი განაჩენი გამოიყნა. მუსიკოსის თქმით, მოსამართლე ასაკის გამო უკვე ვეღარ ფლობს „სათანადო ფიტკურ და ფსიქოლოგიურ უნარებს“ ასეთი საქმის წარმოებისათვის...

ნიუ-იორკელი მევიოლინე, რომელმაც შარშან, ნიუ-იორკის ბალეტის ორკესტრში 25 წლიანი მუშაობის შემდეგ სამუშაო დაკარგა, ფიქრობდა ამ კონკურსით გამოესწორებინა თავისი ფინანსური მდგომარეობა, რომელშიც გამარჯვებული 54 000 ევროთი ჯილდოვდება.

## SCHIMMEL-ი და ეკოლოგია

ფორტეპიანოს ერთერთმა უმსხვილესმა გერმანულმა მწარმოებელმა კომპანიამ SCHIMMEL-მა აქცენტი ეკოლოგიაზე გადაიტანა და ამ მიზებით სახურავებები დააყენა რევიონში უმსხვილესი ფოტოგალერეანური ენერგეტიკული მოწყობილობა. კომპანიის Hannes Schimmel-Vogel-ის

## ეკოლოგიის მოსამართლის ნიანაღვაზე

60 წლის ნიუ-იორკელმა მუსიკოსმა მარტინ შემოწერმა 16-25 წლის მუსიკოსებისათვის განკუთვნილი ადგილობრივი კონკურსი ასაკობრივ

დირექტორმა შეაქო ამჟამინდელი ფედერალური მთავრობა იმ კანონების მიღებისათვის, რომლებიც მიმართულია ელექტროენერგიის დაბოგვისაკენ. ახალ დანადგარში (რომელიც გამოიყენებს ენერგიას მზის ბადაკების მეშვეობით) და ამ პროცესში მათი წარმოების ყოველ-დღიურ შენატანში SCHIMMEL-ი ხედავს იმის ნიშანს, რომ მომავალში ეკოლოგიურობა გახდება მათი “წარმოების ფილოსოფიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი”. ახალი მოწყობილობის სიმძლავრეა 600 kWp, რომელიც საშუალებას იძლევა უზრუნველყოს ელექტროენერგიით 150 საოჯახო მეურნეობა. წლიურად ეს ატმოსფეროში CO2-ის გამოფრქვევას ამცირებს 330 000 კილოგრამით.

კომპანიამ 2010 წელს აღნიშნა თავისი 125 წლის იუბილე. ვინაიდან ფორტეპიანოს დამზადება ძალგედ ხარჯისა ენერგიის გამოყენების თვალსაზრისით, ფირმა გულისყურით მოეკიდა ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის საკითხებს. ასე მაგალითად, კომპანია უკვე 20 წელია იყენებს ბიოფილურს, რომელიც ეფექტურად ასუფთავებს შეღებვისა და გალაქვის პროცესში ატმოსფეროში გამოფრქვეულ ჰაერს.

## უნიკალური ანსამბლი

გაყიდვაში გამოჩნდა ახალი, ნოვატორული და ამბიური პროექტის «The Goat Rodeo Sessions»-ის ალბომი, რომელიც აერთიანებს ოთხ ბრწყინვალურ ვირტუოზ შემსრულე-

ბელს – ცნობილ ვიოლონჩიელისტს იო-იო-მას, მევიოლინეს სტიუარტ დუნკანს, კონტრაბასისტს ედგარ მეიერს და მანდოლინაზე შემსრულებელს კრის ტილს. მუსიკოსებმა შექმნეს უნიკალური ანსამბლი, რომლებიც უკარავენ მულტიუნირულ მუსიკას სიმბიონებისათვის. ინსტრუმენტული მუსიკის გარდა ფირფიტაზე არის ორი ვოკალური ტრეკი მომღერალ აოფი ო'დონოვანის მონაწილეობით. ალბომის კითრული ვერსია იყიდება პორტალის *arnes & Noble*-ის მეშვეობით და შეიცავს ორ ექსკლუზიურ ბონუს-ტრეკს – კომპოზიციას «ostly Six Eight» და «Parallax». სტანდარტულ ვერსიაში შედის 11 ახალი კომპოზიცია.

## გალცგურგი: ფასასახელის ეპვეტანილები

წელიწადნახევრის წინ გალცგურგის პროკურატურამ სააღდგომო ფესტივალის ხელმძღვანელობა თანხების – 2 მილიონი ევროს – უაზრო ფლანგვაში დაადანაშაულა. ახლა უკვე ახალი მონაცემები გამოქვეყნდა, სადაც დასახლებულნი არიან ეჭვმიტანილები. მათ შორისაა – სააღდგომო ფესტივალის ყოფილი დირექტორი მიშეღ დევაიტი და ყოფილი კომერციული დირექტორი კლაის კრემბერი.

ეს აფიორა გამომჟღავნდა ჯერ კიდევ 2009 წელს, რასაც მოჰყვა დუვაიტისა და კრემბერის განთავისუფლება. დღეისათვის ამ აფიორაში ეჭვმიტანილია უკვე 14 ადამიანი.

## პირ გულები – ხეგა- ჰერცის ლაურეატი

ფრანგი კომპოზიტორი და დირიჟორი პიერ ბულები მეგა-ჰერცის ლაურეატი გახდა. ამ პრემიით ხელოვნებისა და მედიატექნოლოგიის ცენტრი (**ZKM**) 2007 წლიდან აჯილდოებს შემოქმედთ. დაჯილდოვება ხდება გერმანიის ქალაქ კარლსრუეში სამხრეთ-დასავლეთის ექსპერიმენტულ რადიოსთან ერთად. პრემიის დამფუძნებელთა ყურადღება შეჩერდა პიერ ბულები, მის ელექტრონული ნაწარმებებზე «...explosante fixe...», «Répons», «Dialogue de l'ombre double» da «Anthèmes II».

უიურის აზრით ამ ნაწარმოებებით კომპოზიტორმა გამოიწვია მიზანმიმართული იმპულსები, რომლებმაც ბოლო 40 წლის მანძილზე მუსიკის ისტორიის განვითარებაზე იქნიეს გავლენა. დაჯილდოება გაიმართება კარლსრუეში 2011 წლის ნოემბრის ბოლოს.

ხელშემწყობი გრანტები პირველად გადაეცა რამდენიმე კომპოზიტორ-ექსპერიმენტატორს: ამერიკელ აარონ აინბონდს, ირანელ მაჯიდ თაჰრირს, კანადელ ანტონი ლიონს, გერმანელ ბენედიქტ შიფერს და იტალიელ ანდრეა ვიგანის.

# ექსკლუზიური ინტერვიუ კშიშტოფ პენდერეცკისთან

კშიშტოფ პენდერეცკი (პოლონეთი) – საქვეყნოდ ცნობილი კომპოზიტორი და დირიჟორი. კრაკოვის კონსერვატორიაში სწავლის დაწყებამდე გამოდიოდა, როგორც მევიოლინე და მის მიერ ჩამოყალიბებული გიმნაზიური ორკესტრის, აგრეთვე მშობლიურ ქალაქ დემბიცის სასულე ორკესტრის დირიჟორი. სახელი გაითქვა პოლონეთის კომპოზიტორთა კავშირის მიერ გამართულ კონკურსზე გამარჯვების შემდეგ (1959). მსოფლიო აღიარება მოიპოვა 1960 წ. ავანგარდული ნანარმოების „ხიროსიმის მსხვერპლთა დატირება“ შექმნის შემდეგ. 1980-იანი წლების შემდეგ ავანგარდული სტილი ნეორომანტიკულით შეცვალა. ავტორია 7 სიმფონიის, 3 ოპერის, მრავალი ვოკალური, საგუნდო და სხვა ნანარმოების.

(2011 წლის ჩაიკოვსკის სახ. კონკურსზე თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორი კშიშტოფ პენდერეცკი უიურის წევრი იყო. მას ესაუბრა მუსიკისმცოდნე რომან ბერჩენკო).

## ინტერვიუ იბეჭდება შემოკლებით

– მაესტრო პენდერეცკი, გმადლობთ, რომ დაგვთანამდებით ინტერვიუმ მე გახდავართ რომან ბერჩენკო, რადიო „ორფეოსის“ დირექტორის თანაშემწე. ესაა რუსეთში ერთადერთი არხი, რომელიც 24 საათის განმავლობაში გადასცემს აკადემიურ მუსიკას და მის შესახებ ესაუბრება მსმენელს. ჩვენ ძალგზე მოხარულნი ვართ, რომ შეძელით ჩვენთან შეხვედრა და მოგვეცით ყველა იმ კითხვის დასმის შესაძლებლობა, რომელიც ჩვენ მსმენელს აინტერესებს.

მინდა დავინაყო საჩქერით და გადმოგცეთ თქვენ მიერ ჩაიკოვსკის კონკურსისათვის სპეციალურად დაწერილი თქვენი ნანარმოების „Violoncello totale“-ის ჩანაწერი ედგარ მოროს შესრულებით, რომელიც საუკეთესოდ აღიარეს.

– გმადლობთ. მე ჯერ არ მომისმენია ეს ნანარმოები.

– მინდა დავინაყო ამ ნანარმოებით მიღებული შთაბეჭ-

დილებით და დაგისვათ კითხვები. ასე მგონია, რომ ეს ნანარმოები არის მთელი თქვენი შემოქმედების პროექტია. აგხსნი თუ რატომ. იქ არის ძალიან ბევრი მახასიათებელი, რომელსაც მე, როგორ განათლებით მუსიკისმცოდნე, ვხედავ სხვა თქვენს ნანარმოებებში. პირველ ყოვლისა, ძიებები ტემბრული გამომსახველობის კუთხით – საოცრად მდიდარი ტემბრული პალიტრაა... იქ არის შესანიშნავი მომენტი, როდესაც ნანარმოების შეაში, მუსიკა თითქოს განჩავდება და გადადის არამუსიკაში. ესევე ძალიან სიმპოზიურია, ასე მგონია. და კიდევ, ასევე ყურადღება მივაქციე საბბგერიან მოტივს – ეს ან კადეშია, ან სომხური მონოდია... ფრიგიული მოტივი, რომლითაც მთავრდება ნანარმოები, გვესმის ორჯერ: პირველად ვრცლად, ხოლო მეორედ მოკლედ, ფინალში – ეს თითქოს პროექტია თქვენი სასულიერო ნანარმოებებისა. ამ კუთხით, თქვენი „Violoncel-



**Io totale**" ძალგე კლასიკურია, მოწიფული და ძალიან მკვეთრად წარმოადგენს თქვენს შემოქმედებას მთლიანად. ფიქრობდით თუ არა ამაზე, როდესაც წერდით ნაწარმოებს?

— რა თქმა უნდა, მე არ ვგეგმავდა ამ პატარა ნაწარმოებში მთელი ჩემი შემოქმედების წარმოდგენას. გაცნობიერებული მქონდა, რომ კონკურსში მიღებდნენ მონაწილეობას შესანიშნავი ვიოლონჩელისტები, რომელთა დონე ძალიან მაღალია. ამიტომ, „Violoncello totale” —ში ჩადებულია ბევრი ტექნიკური სირთულე. ამ ნაწარმოებს ასევე შეიძლება ვუწოდოთ „კაპრიჩიო” — ეს უფრო ზუსტი იქნებოდა. მასში არაა გამოყენებული ციტატები ჩემი სხვა ნაწარმოებიდან, მაგრამ წარმოდგენილია საკომპოზიტორო ხერხები, რომელთაც მე ჯერ კიდევ 60-იან წლებში ვიყენებდი, დაწყებული „კაპრიჩიო ზიგფრიდ პალმისათვის”. ზიგფრიდი შთამა-

გონიერდა მე, ის ძალიან ავანგარდულად უკრავდა და შესრულებაში ყოველთვის დებდა რაღაც საკუთარს.

— შეიძლება თუ არა ვიოლონჩელი თქვენ საყვარელ ინსტრუმენტად მივიჩნიოთ? თუ თანახმა ხართ, მაშინ რატომ?

— მოხდა ისე, რომ ჩემი საკმაოდ ხანგრძლივი საკომპოზიტორო ცხოვრების მანძილზე შევხვდი შესანიშნავ ვიოლონჩელისტებს, რომლებიც ჩემს მუსიკას უკრავდნენ.

ყველაფერი ზიგფრიდ პალმით დაიწყო — იგი მე ჯერ კიდევ 50-იან წლებში გავიცანი. ის მაშინ კონცერტმასისტერი იყო კიოლნის ორკესტრში. ის უკრავდა მუსიკას, რომლის დაკვრა მაშინ არავის უნდოდა. შემდეგ მე დავუმეგობრდი სლავა როსტროპოვიჩს და მისთვის ბევრი ნაწარმოები დავწერე, მათ შორის — მისი ოხოვნით — ობზულება მისი სახელობის პარიზის კონკურ-

## **მსოფლიო კლასიკოსები**

სისათვის. ეს იყო ერთ-ერთი პირველი კონკურსი, შესაძლოა პირველიც კი. მე მაშინ დავწერე „Per Slava”, რომელიც, საბეჭნიეროდ, დღემდე სრულდება. საზოგადოდ, ვცდილობ ვწერო ნაწარმოებები, რომლებსაც უცბად კი არ ივიწყებენ, არამედ უკრავენ. შემდეგ მე ვმეგობრობდი ბორის პერგამენტშიკოვთან, რომლისთვისაც დავწერე დივერტისტენტი. ამ ნაწარმოებსაც ასევე ხშირად უკრავენ. გარდა ამისა ვმეგობრობ დავიდ გერინგასთან... ივან მონიგეტისთან... 60-იანი წლებით დაწყებული ვიოლონჩელი, მისი აგებულების გათვალისწინებით, ჩემთვის გახდა უნივერსალური ინსტრუმენტი. ვიოლონჩელის კორპუსიც ხომ შეიძლება გამოიყენო როგორც ინსტრუმენტი – დაკვრა შეიძლება არა მხოლოდ სიმებზე. ბუნებრივია, ნაწარმოებები, რომლებიც მე ვიოლონჩელისათვის დავწერე, დაკავშირებულნი არიან ჩემს მეგობარ-ვიოლონჩელისტეთან, მათი გათვალისწინებითაა შექმნილი.

– თქვენს მიერ დასახელებულ შესანიშნავ ვიოლონჩელისტა შორის, მსტისლავ როსტროპოვიჩი მიუღწეველ მწვერვალამდე ამაღლდა. შეიძლება ითქვას თუ არა, რომ ამ ინსტრუმენტან თქვენი მდიდარი ურთიერთობის მიუხედავად, ვიოლონჩელი – ესაა, უპირველეს ყოვლისა, როსტროპოვიჩის ხმა?

– დას. ის შეისწავლიდა მუსიკას, ცხოვრობდა მუსიკით. მისი დაკვრა განასახიერებდა მთელ მის არსს. სლავა იყო, ალბათ, ერთადერთი ვიოლონჩელისტი, რომელიც ხალიან ბევრ ახალ მუსიკას უკრავდა. მისთვის დაიწერა 100-ზე მეტი კონცერტი და უთვალავი რაოდენობის კამერული ნაწარმოები.

– დაწყებული პროკოფიევის სიმფონია-კონცერტით...

– პროკოფიევიც და შოსტავიჩიც... ყველანი მისთვის წერდნენ...

– თქვენ არაერთხელ აღგინიშნავთ, რომ დღეს ვერ ხედავთ კონკორდისტთა მკვეთრ სახელებს. რას იტყვით შემსრულებელთა შესახებ? ბოლო ხანებში თქვენთვის რომელი მუსიკის ადმოაჩინეთ? იქნებ ეს ჩაიკოვსკის კონკურსზე მოხდა?

– თქვენი საუბარი ვიოლონჩელის გარშემო ტრიალებს, არადა მე ხომ ახლახანს პეტრი ბურგში ვუდირიუორე ჩემს «Concerto Grosso»-ს ვიოლონჩელისა და ორკესტრისათვის. შემსრულებელთა შორის იყვნენ

შესანიშნავი ვიოლონჩელისტები: კლაუდიო ბოხორკე-სი – (სხვათა შორის, ბორის პერგამენტშიკოვის მოწაფე), შემდეგ დანიულო იშიბაკა – გერმანელი მუსიკოსი იაპონური ფესვებით...

– რა თქმა უნდა, მე არა მხოლოდ ვიოლონჩელისათვის ვწერ. მიზეზი იმისა, რომ მე ამდენი ნაწარმოები დავწერე სიმებიანებისათვის, ისაა, რომ ჯერ კიდევ სიყმან-ვილეში მევიოლანე-ვირტუოზი მინდოდა გამოვსულიყავი და სრულიადაც არ ვაპირებდი კომპოზიტორობას.

ნაწარმოებებს ვწერდი ჩემთვის. ომისა და შემდგომ წლებშიც ნოტები არ იყო. ჩვენ დავკარგეთ ყველაფერი. ჩვენი სახლი გაიქურდა, ნაილს თუკი რამ ვკებადა.

ამიტომ თვითონ უნდა დამეწერა ჩემთვის კომპოზიციები. ჩემი პროფესორი, რომელთანაც ვსწავლობდი პატარა ქალაქ დემბიკაში, ასევე წერდა ჩემთვის, მაგრამ ეს ძალიან არ მომწონდა და 6-7 წლის ასაკში უკვე თვითონ ვწერდი. ეს უბრალოდ აუცილებლობა იყო. თუმცა კვლავ მინდოდა ვირტუოზი გავჭრარიყავი. შემდეგ კომპოზიციამ გაიმარჯვა და ვიოლინო მივაწოვე.

– თქვენ მუსიკალური ავანგარდის ერთ-ერთი ლიდერი იყავით. რა იყო თქვენთვის ავანგარდული მუსიკა – რელიგია, პროტესტი გაბატონებული იდეოლოგიის წინააღმდეგ, სურვილი დაგვეგმოვნებინათ აკრძალული ხილი, ცხოვრების წესი, აზროვნების საშუალება?

– სწრაფვა ტრადიციების მსხვრევისა პირველად ომის შემდგომ წლებში გაჩნდა. ჩვენ ყველას გვინდოდა დაგვევიწყებინა ომის საშინელებანი და აგვეშენებინა ახალი სამყარო – ყველას თავის მინდობრე და ისე, როგორც შეეძლო. ავანგარდი გაჩნდა გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, მაგრამ ძალიან მალე ჩვენამდეც მოვიდა, თუმცა – მე ვსაუბრობ 50-იან წლებზე – ჩვენს შორის თითქმის არავითარი კონტაქტი არ იყო, იმდენად, რამდენადაც უცხოეთის პასპორტის აღება შეუძლებელი იყო, თუმცა ცოტა უფრო იოლი, ვიდრე თქვენთან, რუსეთში, მაგრამ 50-იან წლებამდე უცხოეთში გასვლა დიდ ბედნიერებას წარმოადგენდა... ავანგარდი გაჩნდა სკანდინავიის ქვეყნებში და ამერიკაშიც – ეს იყო ახალი ენა, რომლის მეშვეობითაც ჩვენ გვინდოდა ერთმანეთთან გვესაუბრა. თუმცადა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება ელექ-

ტრონიგა იყო. მინდოდა აღმომეჩინა ის, რაც მანამდე არ არსებობდა. 1957 წელს შეიქმნა ელექტრონული სტუდია ვარშავაში – ძალიან მაღლ, სულ რაღაც ერთ ან ორ წელიწადში, მას შემდეგ, რაც ის გაჩნდა კიოლნში, მიღავაში. ალბათ, ეს იყო გარდამტეხი მომენტი ჩემს ცხოვრებაში. მე შევეჩხე რაღაცას, მანამდე აბსოლუტურად უცნობს. კერძოდ, ჩემი პირველი ნაწარმოებები იყო მცდელობა გამომეცა ეს ელექტრონული ბგერები იმ ჩვეულებრივი ინსტრუმენტებით, რომლებიც მე ვიცოდი. მე კი ცყველაზე კარგად ვიცოდი სიმებიანი ინსტრუმენტები. ამგვარად, მე დაკავებული ვიყავი ექსპერიმენტებით და არა იმდენად ვიოლონჩელით, რამდენადაც კონტრაბასით, რომელიც ამისათვის ბევრად უფრო შესაფერისი იყო.

– თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში ავანგარდიდან ნეორომანტიზმები და ნეოკლასიკიზმები გადასვლა ერთ-ერთი საეტაპო მოვლენაა...

– მე არ მიყვარს ეს განსაზღვრება – ნეორომანტიზმი იმიტომ, რომ ეს მცდარია. ვიღაცამ, ოდესაც, მცონი ინგლისურ ენციკლოპედიაში, დაწერა ჩემი ნეორომანტიზმის შესახებ. სინამდვილეში ეს იყო რომანტიზმთან მიახლოების პერიოდი, რომანტიკული ტრადიციების გაგრძელების მცდელობა და ეს არცუ დიდხანს გრძელდებოდა – სულ რაღაც 4-5 წელი. პირველი კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, ოპერა „დაკარგული სამოთხე“, მეორე სიმფონია... ხოლო შემდეგ, როგორც მცონა, ვიბოვე საკუთარი ენა. მასში, უდავოდ, არის რომანტიზმის ელემენტები, მაგრამ ისინი არ განსაზღვრავენ ჩემს სტილს.

– ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ 70-იანი წლების ბოლოდან თქვენს მიერ დაწერილი ნაწარმოებები უფრო კლასიკურია, უფრო ტრადიციულია, ვიდრე ის, რასაც 50-60-იანი წლების ბოლოს წერდით?

– ჩემი აზრით ასეთია ყოველგვარი ავანგარდის ბედი. მაგალითად, ფერწერაში: კუბიზმი იარსება ოთხი წელი, მერე მას მიუერთდა მხატვრების მასა, მაგრამ, ისინი არა, ვინც კუბიზმი გამოიგონა, მაგალითად, პიკასო. ამ დროისათვის ისინი უკვე სხვა გზით წავიდნენ. ვფიქრობ, რომ თვით უდიდესი აღმოჩენებიც კი, როდესაც ისინი კლასიკად იქცევა, თავისი ორდინარულობით უკვე აღარ მაინტერესებს და ვაგრძელებ გზას.

მაგრამ თქვენ დამისვით კითხვა, რომელზეც არ მიჰასუსია. ეს ეხება რელიგიურ მუსიკას. მე ვსაუბრობ 50-იან წლებზე, როდესაც, ისევე, როგორც თქვენთან, რუსეთში, თუმც, შესაძლოა, ნაკლები სარისხით, პოლონეთშიც ეპროდნენ რელიგიას. მე ვადავწყვიტე გარკვეული პომიცია დამეკავებინა. და, რა თქმა უნდა, ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ყოფილიყ „უდანოვური“ ესთეტიკა. ერთ-ერთი მიმართულება, რომლითაც მე შემეძლო დავპირისპირებოდი „უდანოვშინას“, იყო ელექტრონიკა, რომელიც ამ დროისათვის აღმოგაჩინე ჩემთვის. და მეორე მიმდინარეობა, სადაც მე საკუთარი პოზიციის გამოხატვა შემეძლო, იყო რელიგიური მუსიკა. აქაც არის ერთი თავისებურება. მე ცნობილი ვარ, როგორც კათოლიკური ნაწარმოებების ავტორი, მაგრამ ეს ასე არაა. მაგალითად, მაშინათვე, როგორც კი შეიქმნა „ვნებანი ლუკას მიხედვით“, დავწერე „ცისკრის ლოცვა“ და შემდეგ კიდევ რამდენიმე მართლმადიდებლური ნაწარმოები; ასევე დავწერე „იერუსალიმის შვიდი კარიბჭე“ – სადაც შეა მონაკვეთმი არის ფრაგმენტი ძველებრაულ ენაზე... დავწერე „კადემი“. ამგვარად, რელიგიური მუსიკა მაინტერესებს ძალიან ფართო ასპექტით.

– ამბობენ, რომ სოფია გუბაიდულინამ, პირველად რომ მოისმინა 70-იანი წლების შუა და ბოლო პერიოდის ოპუსები, მათ შორის თქვენი, რომლებსაც შესაძლებელია ვუნდოოთ „ახალი უბრალოება“, თქვა: „მე არ დავწებდები“. უარის თქმა ავანგარდზე ხომ არ იყო თქვენი მხრიდან კაპიტულაცია, განდგომა?

– მე არასდროს განვმდევარვარ. როგორც მე მეონია, ესაა ახალი ავანგარდი, ენობრივი ძიებანი. ჩვენ საუბარი დავწინეთ პატარა ნაწარმოებით «Violoncello totale». ის დაწერილია ჩემ ენაზე. თქვენ ექვებდით რაღაც კავშირებს 60-იან წლებთან. დიახ, ეს ასეა. მაგრამ ეს ყველაფერი ჩემი ენაა. ვფიქრობ, რომ 70-იან წლებში მე მოვახდინე გარკვეული სინთეზი, ანუ იყო ავანგარდის მრავალი ელემენტი, მაგრამ სხვაგვარად ჩაწერილი. მაგალითად, კონცერტში ვიოლინოსათვის არის კლასტრები, მაგრამ ზუსტად განერილი ინსტრუმენტებისათვის – სრულიად განსხვავებულად, ვიდრე მე 60-იან წლებში ვწერდი.

– შემდეგი კითხვა უკავშირდება თქვენ გამონათქვამს,

## სოფლით კლასიკოსები

რომელმაც მე ძალიან დამანიტერება. თქვენ ბრძანებდით: „ყოველი ბგერის ფერი იცვლება გამომდინარე ჩემი შეგრძებებიდან. სანოტო ტექსტის ჩანერის დროს მე ვიყენებ ფერს.“ და მეორე თქვენი გამონათქვები დაკავშირებული თქვენ მუსიკასთან ანუეთ ვაიდას ფილმისათვის „კატინი“: „ამ ფილმისათვის ჩემი მუსიკის ტონები არის შსხვილი, დატვირთული, სავსე, ძირითადად მუქი და ამასთან არცთუ მონოქრომული შეფერილობის უპირატესობით.“ ნიშნავს თუ არა ეს, რომ მსგავსად რიმსკი-კორსაკოვის, სკრიაბინისა და სხვა კომპოზიტორებისა, თქვენ მუსიკა გესმით ფერში?

— ხშირად კი, მაგრამ ეს ისე კონკრეტული კი არაა, რომ როცა მესმის საყვირები — ეს წითელია, ხოლო ვალუორნები — მაგალითად, ფორთოხლისფერი. თუმცა ჩემში ხშირად წარმოიშობა ასოციაციები კონკრეტული ინსტრუმენტის ბგერასა და რომელიმე ფერს შორის. სიმბიანები, როგორც წესი, ჩემთვის დაკავშირებულია მწვანე ფერთან. სონორისტიკა ჩემს წარმოდგენაში დაკავშირებულია ფერთან, მაგრამ არა ისე მკაფიოდ, როგორც სკრიაბინთან. არავითარი თეორიის წამოყენება არ მინდა, ეს განკუთვნილია ჩემი პირადი მოხმარებისათვის. როცა მონახაბებს ვაკეთებ, მე მას ფერს ვუკავშირებ, რათა შემდეგ გავისხენო, რომ მაგალითად, აქ უნდა იყო ლითონის ჩასაბერები...

— არ შემიძლია არ გვითხოთ თქვენი დაუმთავრებელი თხზულებების შესახებ, მით უფრო, რომ მათ შორის არის ნანარმოებები, მჭიდროდ დაკავშირებული რუსულ კულტურასთან: ბულგაკოვის რომანის „ოსტატი და მარგარიტას“ ცალკეული თავების საფუძველზე შექმნილი „ვნებანი იოანეს მიხედვით“, ორატორია (ზოგი ცნობით — სიმღერების ციკლი) სერგეი ესენინის ლექსებზე. რას წერთ ამ ბოლო თვეებში, დღეებში, როგორ მიდის სამუშაო? როდის და სად მოვისმენთ პრემიერებს?

— მე მუდმივად ვთხიავ მუსიკას, ეს ჩემი ძირითადი საქმიანობაა. აქაც კი, ვმუშაობ რა კონკურსის უიურიში, მე ვაკეთებ ჩემი კომპოზიციების ჩანაწერებს. ჩანაფიქრი ძალიან ბევრი მაქვს, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი არ რეალიზდება. ყველა ჩანაფიქრი რომ განვახორციელო, ორასი, სამასი წელი უნდა ვიკოვრო. მაგრამ ის, რაც თქვენ გაიხსენეთ, სხვა. აუცილებლად მინდა ამას

დავუპრუნდე და დავწერო. ახლახანს დავწერე სიმღერების ორი დიდი ციკლი ორკესტრთან ერთად, ერთი — ესაა მერვე სიმფონია, მეორე — ნანარმოებები მიძღვნილი შოპენის საიბილეო წლისადმი. ძალიან მინდა დავწერო ციკლი ესენინის ლექსებზე. ბარიტონისათვის, ტექსტებიც კი შევარჩიე. უკვე მზად მაქვს რაღაც ლიბრეტოს მსგავსი. მეორე ოპერი, რომელზეც თქვენ მკითხეთ — „ვნებანი იოანეს მიხედვით“. ამ ნანარმოებისათვის ტექსტებს ვავროვებ. „ვნებანი“ არ შეიძლება ერთი, ორი თვის, თუნდაც წლის განმავლობაში დაიწეროს. ვფიქრობ, ეს იქნება სრულიად სხვა „ვნებანი“, არა ისეთი, როგორიც აქამდე იყო.

— მუშაობა გრძელდება და ჩვენ იმედი გვაქვს...  
— ვიმედოვნებ, რომ ამ ნანარმოებებს, რომლებიც მე დავგვემე და მინდა დავწერო, დავასრულებ.

— როდის მოვისმენთ თქვენ მეცხრე სიმფონიას?

— მეცხრე სიმფონია, ეს ისევეა, როგორც რეკვიემის შექმნა. არსებობს შიში, რომ ის შეიძლება უკანასკნელი ნანარმოები შეიქნეს. მაგრამ მე ეს გადავლახე: დავწერე რეკვიემი და ცოცხალი ვარ. იგივეა მე-9 სიმფონიის შემთხვევაშიც. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როდესაც კომპოზიტორები წერდნენ ბევრად მეტ სიმფონიას, მაგრამ ტრადიციით, მე-19 საუკუნის შეს ხნიდან მოყოლებული დღემდე, შოსტავოჩისა და მიასკოვსკის გამოკლებით, კომპოზიტორები არ წერენ მეტი რაოდენობის სიმფონიებს. ხოლო მეცხრე ნიშნავს, რომ ციკლი დამთავრებულია. მე კი არ მინდა ციკლის დამთავრება. ვიმედოვნებ, რომ მოვასწრებ მეცხრე სიმფონიის დაწერას.

— მომაგალ წელს მუსიკალური სამყარო აღნიშნავს ჯონ კეიჯის დაბადების 100 წლისთავს. თქვენ იქნოდით ერთმანეთს, იქონია თუ არა მან თქვენზე რაიმე გავლენა, როგორ აფასებთ დღეს მის ნანარმოებებს, მის როლს XX საუკუნის ისტორიაში?

— მან უდიდესი გავლენა მოახდინა, განსაკუთრებით ჩემი თაობის კომპოზიტორებზე, ანუ დასავლეთ ევროპაზე, პოლონეთზე. ის უფრო ფილოსოფოვისი იყო მუსიკაში, ვიდრე კომპოზიტორი. მაგრამ მისი წყალობით მუსიკა გასცდა მოჯადოებულ წრეს. ანუ, შესაძლებელია გახვიდე ესტრადაზე რამდენიმე აპარატით (მაგალითად, რადიოთი) და ჩართო ისინი და ეს ნარმოად-

გენდეს ნაწარმოებს. ცხადია, ჩნდაფიქრი ასურდულად გამოიყერბა, მაგრამ მართალი ხომ ისაა, ვინც ეს გა- მოიგონა. მან მრავალი ისეთი რამ შემოგვთავაზა, რაც მანამდე წარმოუდგენელი იყო. ვფიქრობ, რომ გარკ- ველ პერიოდში მან ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მუსიკაში.

— თუ ყველა იმ ნაწარმოებთაგან, რომელიც თქვენ და- გინერიათ, შემოგვთავაზებენ მხოლოდ ერთი პარტიტუ- რის გადარჩენას, რას ამოირჩევდით?

— არ ვიცი... შესაძლოა „ვნებებს ლუკას მიხედვით”.

— და თუ თქვენ მთელი ევროპული მუსიკიდან შემოგ- თავაზებდნენ ერთადერთი ნაწარმოების ამორჩევას, რას დაუტოვებდით შთამომავლობას?

— ბახის სი მნიორულ მესას.

— თუ შეიძლება დაასახელეთ ადამიანები, რომლებიც თქვენ მიგაჩინათ ყველაზე უდიდესად ისტორიაში, ხე- ლოვნებაში...

— ესეც როთული კითხვაა... არ ვიცი. თუ ეს ეხება, მა- გალითად, მეცნიერებას, მაშინ ძევრი სახელია.

მაგრამ, იმდენად, რამდენადაც ბუნებით ვარ დაკავე- ბული, დარვინი წარმოადგენს ჩემთვის ყველა დროის მეცნიერს.

— თქვენ უბარმაბარი პედაგოგიური გამოცდილება გაქვთ. მრავალი წელი იყავით კრაკოვის უმაღლესი მუსიკალური სკოლის რექტორი, მიგყავდათ კომპოზი- ციის კლასი იელის უნივერსიტეტში (აშშ), სხვა კონ- სერვატორიებში და უმაღლეს სასწავლებლებში. რას ეუბნებით სტუდენტებს პირველ გაკვეთილზე, პირველ ლექციაზე?

— მე ვმოქმედებ სწორედ ისევე, როგორც ჩემი პირვე- ლი პედაგოგი. ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, ადრე ჩავაბარე გამოსაშვები გამოცდები და მამამ გამგზავნა კრაკოვ- ში. მან მომიქებნა მუსიკის თეორიის პედაგოგი და მე, როგორც მახსოვეს, ჩავედი ძალიან მძიმე ჩემოდნით, რომელშიც მეწყო ჩემი კომპოზიციები: კონცერტები ვიოლინსათვის, ფორტეპიანოსათვის. ამ პედაგოგმა- იგნაცი სკოლიშევსკიმ, დამაყენა მე საკომპოზიტორო მოღვაწეობის გზაზე. ჩემი ნაწარმოებების დათვალიე- რებას მან სამი დღე მოანდომა, შემდეგ დამიბარა სასა- უბროდ და მიბრძანა დამევინყებინა ყველაფერი, რაც აქამდე დამიწერია — დავინწყოთ გაკვეთილები კონტ-

რაბუნქეტიდანო. მიმაჩინა, რომ ეს ძალიან ბრძნული გა- დაწყვეტილება იყო.

— ვისთვის წერთ მუსიკას? ვინაა თქვენი იდეალური მსმენელი?

— პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, მე ვწერ ჩემთვის. მიხარია, თუკი ვპოლობ მსმენელს. მაგრამ მუსიკის შექმნა — ეს ჩემი მოთხოვნილებაა, ჩემი ერთადერთი შესაძლებლობა, იმდენად, რამდენადაც მე ნაკლებად ვარ მაღალი საზოგადოების ადამიანი, რომელსაც ბევ- რი მეგობრები ჰყავს. მე უფრო მშვიდი, საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანი გახლავართ და მუსიკა წარმოად- გენს ჩემთვის რაღაც ენის მაგვარს, რომლითაც, ალ- ბათ, ყველაზე იოლად ვსაუბრობ.

— საიდუმლო არაა, რომ აკადემიური მუსიკის აუდიტო- რია ბოლო ათწლეულებში მკვეთრად შემცირდა. საუბ- რობენ ასევე, რომ კლასიკური მუსიკა მოკვდა. სიტუა- ციას კატასტროფულად მიიჩნევთ?

— არა. მეც ოდესძლაც ასე ვფიქრობდი და ვწერდი კიდევ ამის თაობაზე, მაგრამ შემდეგ შევიცვალე მოსაზრება. ეს ასე არაა. აქამდე ასეთი შესაძლებლობები არასდ- როს ყოფილა — კლასიკური მუსიკის ასეთი ხელმი- საწყდომობა, ამ რაოდენობის ფესტივალები. მხოლოდ პოლონეთში ის ათეულობით ტარდება. ყოველ ქალაქ- ში დღეს რამოდენიმე ფესტივალია. კლასიკური მუსიკა დიდი დობით სრულდება. ამგვარად, ვფიქრობ, სიტუა- ცია სხვაგვარად გამოიყერება: კლასიკურმა მუსიკამ დააპყრო სალის, ის მუდმივად სრულდება რადიოთი. ჩვენ, ცხადია, გვგონია, რომ კლასიკური მუსიკა მეტი უნდა იყოს და პოპ-მუსიკა ნაკლები. მაგრამ სერიო- ბულ მუსიკას თავისი ადგილი უჭირავს და არასდროს არ ჰყოლია მას ამდენი მმენელი. მართალია, ხში- რად ერთი და იგივე მეორდება — ვთქვათ, მუდმივად სრულდება ვივალდეს „წელიწადის დრონი”, არადა შესაძლებელია შესრულდეს მისი სხვა ნაწარმოებებიც. ბეთჰოვენის სიმფონიებიდან სრულდება ძირითადად მეშვიდე, მეცხრე, რა თქმა უნდა, მეხუთე, მაგრამ მე- ოთხე და მერვე თიოქმის არ სრულდება, არადა ისინი შესანიშნავია. თუმცა ეს უკვე სხვა საკითხია...

— თქვენ ერთხელ ბრძანეთ: „დღეს ბეთჰოვენი, ისევე, როგორც ბევრი სხვა კლასიკოსი, მასობრივმა კულტუ- რამ მიითვისა”. თქვენ — ყველაზე პოპულარული თა-

## მსოფლიო კლასიკოსები

ნამედროვე კომპოზიტორი პრძნდებით, დაუნის გვირგვინებით შემკული, პრემიებით, ოფიციალურად აღიარებული უდიდესად და ყველაზე საუკეთესოდ. როგორ ფქრობთ — თქვენც ხომ არ მიგითვისათ მასობრივმა კულტურამ?

— ამას, რა თქმა უნდა, დრო სჭირდება. საბოგადოდ კი, მასოვს, 60-იან წლებში ჩემს მუსიკაზე როგორ იცინოდნენ. დასკინოდნენ მუსიკოსებიც. არავის უნდოდა მისი დაკვრა. რამოდენიმე დიდი ორკესტრი შეენიანა ამდევა და არ შეასრულა, მაგალითად, „ნიროსიმას მსხვერპლთა დატირება”. მასოვს სტოკოლმის რადიო ორკესტრმა, იყალის რადიოსა და ტელევიზიის ორკესტრმა რომში, საოპერო ორკესტრმა მიუნხენში — თქვა, რომ არ დაუკრავს ამ მუსიკას, იმდენად, რამდენადაც ამან შეიძლება ინსტრუმენტები გაანადგუროს და ა.შ. ეს არც ისე იოლი იყო, მაგრამ ვფიქრობ — მნელია მოითხოვო ყველა ნანარმობის შესრულება...

— კითხვა მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე. ის, ვინც არ ჩანს ეკრანებზე, საინფორმაციო ვებ-გვერდებზე, გაზიერების პირველ გვერდებსა და ურნალების ყდებზე — დღეს ის, თითქოს, არ არსებობს. თქვენ ეთანხმებით ამას? განუხებთ თუ არა თქვენი იმიჯი მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში? ცდილობთ თუ არა ამის კონფრონტირებას, გაუმჯობესებას?

— ასე მცონია, რომ კომპოზიტორის რანგში რუსეთში უფრო პოპულარული ვარ, ვიდრე პოლონეთში. ჩემი მუსიკა არა ყველგან პოპულარული. გარდა ამისა, არ მივჩინევ, რომ ჩემი თხზულებები ყველგან უნდა შესრულდეს და რომ ხშირად უნდა ვჩანდე ტელევიზიორის ეკრანზე. არა. მე უფრო შშივიდი ადამიანი ვარ. ვფიქრობ, თუ მუსიკა კარგია, ის იპოვის თავის ადგილს, თავის კუთხე-კუნტულს.

— თქვენ ბრძანებდით, რომ დირიჟორობას ხელი მიჰყავით დიდწილად იმისათვის, რომ შეგესრულებინათ თქვენი ნანარმოებები ისე, როგორც ჩაფიქრებული გქონდათ. თუმცა თქვენი რეპერტუარი ფართოა და უნივერსალური. აქტუალურია თუ არა თქვენთვის თქვენი ნანარმოებების სწორი ინტერპრეტაციის საკითხი? კი-დევ ვის, კშიშტოფ პენდერეცკის გარდა, შესწევს უნარი კარგად უდირიჟოროს კშიშტოფ პენდერეცკის მუსიკას? — სულაც არ ვამტკიცებ, რომ მე ვარ საკუთარი მუსი-

კის საუკეთესო ინტერპრეტატორი. სრულიადაც არა. ის, რასაც მე ვამბობდი, თანაც საკმაოდ დიდი ხნის წინ, ეხებოდა იმ ნანარმოებებს, რომლებიც დაწერილი იყო ახალი ნიშნების მეშვეობით, ახალ ენაზე. ამ ნიშნების ნაკითხვა უნდა გქინავლა. რამოდენიმეჯერ მოხდა ისე, რომ მე ვერ ვცინდი ჩემს ნანარმოებს, როდესაც მას ასრულებდნენ. მაგრამ მიგვიანებით მე უარი ვთქვი ჩანერის ამ მეთოდზე და დიდი ხანია უკვე ჩვეულებრივი ნოტაციით ვსარგებლობ. ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემს მუსიკას უდიდესი დირიჟორები დირიჟორობდნენ, დაწყებული იუკინ ორმანდით, ჰერბერტ ფონ კარაიანით... ზუბინ მეტა, ლორინ მააზელი... ახლა ვალერი გერგიევი. ეს ბედნიერებაა. ზუსტად ასევე, ძალიან მიმართლებდა უდიდეს ინსტრუმენტალისტებშიც.

— თქვენ ბევრი რამ გაიხსენთ მსტისლავ როსტროპოვიჩთან მეგობრობის შესახებ, მაგალითად ის, თუ თქვენი გაცნობისას, ტრადიციისამებრ, როგორ დალიეთ ერთი ბოთლი არაყი და მაშინათვე მეგობრები გახდით...

— თავიდან შამპანური და მერე არაყი...

— შამპანურის შესახებ პრესა არაფერს იტყობინებოდა. საუბრობდით, აგრეთვე, თქვენს ნაცნობობაზე დიმიტრი შოსტაკოვიჩთან. მოიგონეთ ისიც, რომ ურთიერთობა გქონდათ სვიატოსლავ რიტერთან, თუმცა მის შესახებ თითქმის არაფერი გიამბხიათ. როგორი დაგმახსოვრდათ ეს გენიალური მუსიკოსი?

— რიხტერი ძალიან ხშირად ჩამოდიოდა პოლონეთში. მას დღიდაც არ ხიბლავდა დედაქალაქში, ნაცონალურ ფილარმონიაში გამოსვლა, მაგრამ სიამოგნებით უკრავდა, მაგალითად, ზაკოპანეში (ესაა პატარა ქალაქი პოლონეთის მთებში), სასტუმროში, სადაც დარბაზი სულ 100-150 კაციანი იყო, თანაც ის იქ ძალიან ცუდ ინსტრუმენტები უკრავდა. ისეთ კონცერტებიც კი ვყოფილვარ, როდესაც იგი უპრალო პიანინოზე უკრავდა, იმდენად, რამდენადაც იქ არ იყო როიალი. ის გენიალური მუსიკოსი იყო, ასეთები უკვე აღარ არიან. იგი შეიძლება შევადაროთ, ალბათ, მხოლოდ გერგიევს. ესაა ბუნებრივი მუსიკალობა, რომელსაც ვერ ისწავლი. რიხტერს რადენჯერმე შევხვედრივარ. ის უკრავდა იმას, რასაც პოლონეთში თითქმის არავინ არ უკრავს და არც იციან მისი დაკვრა — ერთ კონცერტზე შმიანოგვაც „ნიღბები“ და „მეტოპები“. ძალიან რთული

მუსიკაა. ახლაც კი, ჩემთვისაც კი, კომპოზიტორისათვის. ამ ნაწარმოებების მოსმენა ძნელია, საოცრად როული მუსიკაა. ის კი ჩამოდიოდა — სწორედ ზაკოპანეში და უკრავდა ასი, ამასთან, აბსოლუტურად შემთხვევითი მსმენელისათვის. მან მე უბრალოდ დამატყვევა. ის დიდ დარბაზებშიც უკრავდა — მასშიც გამაოგნებელი კონცერტი კრაკოვის ფილარმონიაში. ჩვენ მას მთელ პოლონეთში დავყვებოდით მოსასმენად. ის გენიალური პანისტი იყო.

— ახალგაზრდობაში თქვენ მუშაობდით პოლონეთის რადიოს ექსპერიმენტულ სტუდიაში, სადაც ქმნიდით ელექტრონულ კომპოზიციებს. უსმენთ კი თქვენ რადიოს დღეს?

— ამ სტუდიაში ცოტა ნაწარმოები დავწერე — ძირითადად მუსიკა თეატრისათვის, კინოსთვის. ამით ვმოულობდი ფულს. მაგრამ, როგორც ვთქვი, ელექტრონულმა მუსიკამ ჩამომაყალიბა, თუმცა ამ ტექნიკაში დავწერე მხოლოდ ორი ნაწარმოები: „61-ე ფსალმუნი” და „სიკვდილის ბრიგადა”, რომელიც სწორედ დღეს აღმოაჩინეს, 50 წლის შემდეგ. მალე ის აუდირდება რადიოთი. ესაა თქმა, რომელთანაც დაბრუნება არ მინდა.

— თვითონ თქვენ უსმენთ რადიოს?

— კერძოდ, არა. მე ყველაფერი მიშლის ხელს. კონცერტებშიც ძალიან იმჟიათად დავდივარ... მოსკოვში — როგორც უიურის წევრი, ვალდებული ვარ. ისე კი არა. ვცდილობ ყოველდღე რაღაც დაეწერო. ყოველთვის ვინწყებ რამოდენიმე ნაწარმოებს ერთდროულად და შემდეგ წლების მანძილზე ვმუშაობ მათ დასრულებაზე. მაგალითად, პოლონერი რეკვიემი დავასრულე მხოლოდ 24 წლის შემდეგ. არის ნაწარმოებები, რომლებიც იქმნებოდნენ ძალიან, ძალიან დიდხანს.

— თქვენ უამრავი ჯილდო გაქვთ, პრემიები, ორდენები. რომელი ჯილდოა თქვენთვის ყველაზე ფასეული?

— ძალიან ბევრი ჯილდო მაქს მიღებული. არ ვიცი... ვფიქრობ, რომ ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანია პირველი ჯილდო. მაგალითად, სწავლის დამთავრების შემდეგ აუცილებლად მინდოდა გავტებავრებულიყავი დარმშტატში, თანამედროვე მუსიკის კურსებზე. იქ ეს კურსები 50-იანი წლების შუა წლებში ჩამოყალიბდა. ყოველ წელს ვწერდი განცხადებას უცხოეთის პასპორტის მისაღებად და ვერ ვიღებდი მას. ბოლოს

და ბოლოს წავიკითხე გატებში, რომ გამოცხადებულია კონკურსი ახალგაზრდა კომპოზიტორებისათვის და პირველი პრემია — სწორედ უცხოეთის პასპორტი იყო დასავლეთში წასასვლელად. მაშინ გადავწყვიტე, რომ ეს პრემია უნდა მიმღლო. დავწერე სხვადასხვა სტილის სამი ნაწარმოები, მოვიღე ყველა პრემია და პასპორტი, მაგრამ ამ დროისათვის უკვე გადავითიქმერე დარმშტატში წასვლა — მე გვემგზავრე იტალიაში.

— თქვენ შვილიშვილს თქვენი მეუღლის პატივსაცემად დაარქევს სახელი. ეს პენდერეცკების ოჯახში პანი ელ-უებერას მთავარ როლს მიანიშნებს?

— ჩემ შვილიშვილს ჰქვია მარია ელუებეტა. ელუებეტა მეორე სახელია. რა თქმა უნდა, ჩემი მეუღლე მნიშვნელოვან როლს თამაშობს — ის უწევს ორგანიზებას ჩემს ცხოვრებას. ისაა ბეთჰოვენის ფესტივალის დირექტორი, სადაც ბოგეურ მეც მპატიუებს. მაგრამ, ამის გარდა, ის მათავისუფლებს იმისაგან, რაც მე არ მიყვარს — ელექტრონული წერილების, ფაქტების წერისაგან. ამას ყველაფერს ჩემი მეუღლე აკეთებს. სხვაგვარად მე უბალოდ დავიღუპებოდი. ხოლო შვილიშვილი — რას იჩამ, ყველა პაპამ იცის: როდესაც იბადება პირველი შვილიშვილი, ბიჭი თუ გოგონა, მთელი სამყარო იცვლება. ეს შვილებზე ბევრად მნიშვნელოვანია, მხოლოდ მაშინ იწყებ გაცნობიერებას თუ რა არის ბავშვი.

— იმიარებს თუ არა პანი ელუებეტა თქვენს სიყვარულს ვიოლონჩელოსადმი? ჩვენ ვიცით, რომ ის კურირებს პაბლო კაბალსის სახელობის ვიოლონჩელისტების კონკურსს...

— დიახ. ეს ფესტივალი ტარდებოდა პუერტო-რიკოში. მე დირექტორი ვიყავი — მაგრამ მხოლოდ ნომინალურად, მეუღლემ კი მთელი ფესტივალის ორგანიზება განხაორციელა. და საერთოდ, ამ ფესტივალს მეუღლესთან ერთად 10 წელი ვხელმძღვანელობდი. მე ვიყავი ჩემი ცოლის მრჩეველი.

— გადავიდეთ თქვენს პარკზე. პრესა წერდა, რომ 2007 წლისათვის იქ შვიდი მებაღე მუშაობდა, თუმცა ბაღი პერიოდულად ფართოვდება. რამდენი ადამიანი მუშაობს იქ ახლა?

— სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად. ის ხომ 30 ჰექტარია, პარკი გაფართოვდა, მაგრამ მე მექანიზე-

## **მსოფლიო კლასიკოსები**

ბული მაქვს – რამდენიმე ტრაქტორი მუშაობს, რომლებიც ათეულობით ადამიანს ამცირებს. ამრიგად, ჩემს ბალს ახლა შვიდი-რვა ადამიანი უვლის. ზაფხულობით ეს ჩემი ძირითადი სამუშაოა.

– თქვენს პარკში ისეთივე დიქტატორი ხართ, როგორც სადირიუორო პულტან? გინევთ თუ არა დაუდევარი ან გარმაცი მუშების დასჯა?

– არა, ცხოვრებაში მე დიქტატორი არა ვარ. სამწეხა-როდ, ჩემი არავის ეშინია – არც სახლში, არც პარკში. მათ იყანებ, რომ არასდროს არავის წყენიბება არ შემიძლია. ჩვენ ახლა სერიოზული გეგმები გვაქვს – შემდეგ თვეში ჩემი პარკის გვერდით იწყება დიდი საკონცერტო დარბაზის შექებლობა. სამინისტრომ მოიფიქ-რა სახელწოდება, რომელიც არ მომწონს – კშიშტოფ პენდერეკის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ცენტრი. ჩვენ მივიღეთ გრანტი ევროკავშირისგან და ვაშენებთ აკადემიას – მე ასე ვუწოდებ მას. მაგრამ იქ კომპოზიტორები კი არ ისნავლიან – არ ჭვერა, რომ შესაძლებელია მუსიკის წერის სწავლა – არამედ ინსტრუმენტალისტები.

– თქვენ ბრძანებდით რომ ცდილობთ არ დაუკრათ თქვენს ბალში, რათა არ დააზიანოთ ხეები, თუმცა დღეს თქვენს ბალში აშენებთ საერთაშორისო მუსიკალურ ცენტრს, სადაც ბუნებრივია იუდერებს ბევრი მუსიკა. რატომ შეცვალეთ გადაწყვეტილება არ დაგეკრათ ბალში? თქვენმა ხეებმა თანხმობა განვიცხადეს მუსიკაზე ბალში?

– ეს ხუმრობა იყო. მსმენია, რომ მცენარეებზე ცდებს აქარებენ. მაგალითად, ბახის და ვივალდის მუსიკის მოსმენისას ძალიან კარგად იტრდებოდნენ, ხოლო შენბერგის მუსიკის შესრულებისას – ჭკნებოდნენ. ეს მუსიკალური ცენტრი, აკადემია – ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი წამოწყებაა ჩემთვის და ამით ვიქები დაკავებული. მინდა ჩემ შემდეგ დავტოვო რაღაც – არა მხოლოდ მუსიკა, არა მხოლოდ ხეები. მე მინდა შევქმნა ახალგაზრდა, ნიჭიერი ადამიანებისათვის განათლების მიღების შესაძლებლობა. ჩვენ უკვე შევქმნით ასეთი კურსები, მოვიწვიეთ ძალიან ცნობილი მუსიკოსები. ეს იქნება გაფართოებული ჰუმანიტარული განათლება.

– რა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად

თქვენს ცხოვრებაში?

– რა თქმა უნდა, ესაა მუსიკა, მაგრამ ასევე ჩემი ხეებიც, რომლებიც დავრგე და რომლებმაც ფესვები გაიდგას. ეს იმის დასტურია, რომ ვარსებობდი – კვალია, რომელსაც დავტოვებ ჩემ შემდეგ. მე ძალიან ბევრი მიმღებაურია მთელს მსოფლიოში, ცენტრობდი სხვა-დასხვა ქვეყნებში, მაგრამ მას მერე, რაც დავრგე ხეები ლუსოვიცაში – ასე ეწოდება ამ ადგილს – მე ველოდები იქ დაბრუნებას. ოდესლაც ველოდებოდი გამგზავრებას, ხოლო ახლა ველოდები დაბრუნებას. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა ჩემს ცხოვრებაში.

– რას ნანობთ ყველაზე მეტად?

– მე არცთუ ბევრი მიზები მაქვს სანახებლად. ვფიქრობ, რაც მინდოდა, ყველაფერს მივაღწიე. ერთადერთი რასაც ვნანობ – ნანარმოებებია, რომლებიც ვერ დავწერე. შემეძლო დამეწერა, მაგრამ ვერ მოვასწარი.

– აგიხდათ ოცნებები? რაზე ოცნებობთ?

– იმაზე, რომ დრო მეტი მქონდეს. ეს ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა. მქონდეს ხუთი თავისუფალი თვე, დავწერო სიმფონია და ვუჯდე ჩემს მაგიდას ლუსოვიცაში.

– თქვენ ბედიერი ადამიანი ხართ?

– დიახ.